

რეიტინგები: ქართული მედია რისკებში • რომელი დარგები იგებს?

მაისი, 2017

Forbes

GEORGIA



**სიზღიდრის
ალმანახი**

დიდი ფული, დიდი ეგო, დიდი დაპირისპირება

რეკორდული წელი:

2,043 მილიარდერი

319 ჩინელი

195 ახალწვეული

ჯამური ქონება:

\$ 7.7 ტრილიონი


ფასი 7 ლარი

ISSN 2233-3487



9 772233 348006





60 | სპეცროეჟი - მსოფლიო მილიარდერები



28 | სტრატეგიები

Forbes GEORGIA

ფაქტი და კომენტარი

10 | რატომ არ გვყავს მეტი მილიარდერი? // სტივ ფორბსი

LEADERBOARD

12 | ათციფრიან ქონებათა სამი ათწლეული

14 | ყველაზე მდიდარი 40-წლამდელები

ახალგაზრდები, ნიჭიერები და... ძალიან, ძალიან მდიდრები: ათციფრიანი ქონების მფლობელებს საკმაოდ ნაყოფიერი წელი ჰქონდათ.

15 | ბალერინებულები და სიდიდან ბარიცხულები

ვის არ გაუმართლა წელს? ვის მოაკლდა ერთი წელი? ვინ დაზარალდა და დაკარგა ქონება?



WYNDHAM
HOTEL GROUP

ექსკლუზიური კომპლექსი თბილისში

ი. ჭავჭავაძის გამზ. 49 ბ

+995 557 90 00 00


კვ/მ **1300\$** -დან

საცხოვრებელი

კვ/მ **1100\$** -დან

აპარტამენტები

სასტუმრო



ALLIANCE
GROUP

პრემიუმ აპარტამენტები ბათუმში

შ. ნიშნიაშვილის ქ. 5

+995 557 40 00 00

კვ/მ **1200\$** -დან

აპარტამენტები



COURTYARD
Marriott

COURTYARD®
Marriott®



66 | სპეცპროექტი



28 | სტრატეგიები

16 | სალამი და მშვიდობით ტკბილეულის ბარონი, გაქირავებების მეფე და ამაყი დეტროიტელი, რომელმაც ქონება პიკით იშოვა: მილიარდერთა გამოსათხოვარი.

18 | ქართული მედიკ რიცხვებში მედიათავისუფლების შეფასება და სარეკლამო ბაზარი

მოსაზრება

20 | საქართველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეიტინგებში // **ბესო ნამჩავაძე**

24 | ჩემპიონთა ლიგა - ყველა გამარჯვებულმა // **ზაზა აბაშიძე**

26 | ამერიკულ-ქართული მსჯელობა განვითარებაზე // **მაშუკა წერეთელი**

სტრატეგიები

28 | საქმე, რომელსაც შედეგი მოაქვს

იმ პროგრამის შედეგები, რომელსაც „BP საქართველო“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებში ახორციელებს.

ავტორი: ელენე კვანთილაშვილი



Available at AROMATEQUE - 17, Shavteli str 0105 Tbilis - 591 54 07 53





ანტრეპრენიორები

32 | ღრუბლებს ექსპორტიორი
 მას შემდეგ რაც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის 80% ჩაანაცვლა, ქართული ღრუბლები ევროპულ ბაზრებს იპყრობს. აზერბაიჯანის შემდეგ „დენოლას“ ნაწარმი გერმანიაში შევიდა.
 ავტორი: ხათუნა ხვედელიძე

სპეცპროექტი: მსოფლიოს მილიარდერები

36 | In Trump They Trust
 დღემდე ნაკლებად ცნობილი მილიარდერებისა და ბოლოლების წყება მთელი მსოფლიოდან უცებ უპრეცედენტო პოზიციაში აღმოჩნდა: როგორ უნდა ისარგებლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან პარტნიორობით? ხარბი დილერებით დაწყებული, მითოვებული გარიგებებით დამთავრებული, გაიცანით 36 მინიტრამპი.
 ავტორი: დენ ალექსანდერი


42 | ტრამპის კლონი
 ჰარი ტანოესოედიბლოს უფრო მეტი საერთო აქვს 45-ე პრეზიდენტთან, ვიდრე ძვირფასი კურორტებია. ინდონეზიელი მილიარდერი ნამდვილ მინიტრამპად იქცა თავისი სილამაზის კონკურსების, სატელევიზიო შოუებისა და გაუთავებელი ტვიტინგის ჩათვლით. ახლა კი უკვე ნიადაგს იმზადებს, მსოფლიოს მეოთხე ყველაზე დიდი ქვეყნის პრეზიდენტი რომ გახდეს.
 ავტორი: ებრაჰმ ბრაუნ

50 | პრეზიდენტის აზარტული მეგობარი
 ცნობილი ფაქტია, რომ დონალდ ტრამპი ატლანტიკ-სოტიში ჩაფლავდა, მაგრამ ვეგასში მეტად წარმატებული იყო, რაც მისი პარტნიორის, მილიარდერი ფილ რაფინის დამსახურებაა. ეს უკანასკნელი იქ ახალი TRUMP CASINO-ს გახსნისთვის დგამს ნაბიჯებს.
 ავტორი: დენ ალექსანდერი

56 | კუნთმაგარი კაცის შუაგასი
 რობი და ხოსე ანტონიოები სულ მალე TRUMP TOWER-ს გახსნიან მანილაში. ამასთან, ხოსე ფილიპინების სავაჭრო დესპანიცა ამერიკაში. დამთხვევა?
 ავტორი: ებრაჰმ ბრაუნ

57 | დონალდი უდაბნოდან
 მარკეტინგის უბადლო ოსტატი ჰუსაინ საჯვანი სანაძლეს დებს, რომ კვლავ შეძლებს ტრამპის გაყიდვას დუბაიში.
 ავტორი: ებრაჰმ ბრაუნ


58 | რა ღირს დღეს პრეზიდენტი ტრამპი?
 მიდტაუნ-მანჭეტენის უძრავ ქონებას არ უდგას კარგი დღეები და არც დონალდის სიმდიდრეს, რომელიც \$3.5 მილიარდამდე შემცირდა.



**Think globally,
act locally,
cooperate internationally**



 **Finanzgruppe**
Sparkassenstiftung für
internationale Kooperation



www.sbfic.com

60 | სიმდიდრის ალმანახი

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ჩვენს გზამკვლევს 30 წელი შეუსრულდა. წელს ჩვენ რეკორდული რაოდენობის, 2,043 მილიარდერი აღმოვაჩინეთ. ჯამში, მათი ქონება \$7.7 ტრილიონს შეადგენს. აქ თითოეული მათგანი შეგიძლიათ იხილოთ.

ეკონომიკა

102 | რომელი ღარგები იგებს?

ავტორი: ბუსო ნაზარაძე

FORBES LIFE

106 | ALLIANCE GROUP-ის სახეს უსვლის ქართულ არქიტექტურას

აზრები

112 | კეთილდღეობის შესახებ



106 | FORBES LIFE

Forbes GEORGIA

მთავარი რედაქტორი
გიორგი ისაკაძე

ალმანახის რედაქტორები
შოთა დიდშელაშვილი, ელენე კვანჭილაშვილი

არტდირექტორი, ფოტორედაქტორი
სერგა ნემსიწვერიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი
გოგი ქავთარაძე

დამკაბადონებელი
ქეთა შორჟოლიანი

ფოტოგრაფები
ხათუნა ხუციშვილი, ჯაბა ჩიტიძე

.....
ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს
სააქციო საზოგადოება
Media Partners

გამომცემელი
მაია მირიჯანაშვილი

გაყიდვების დირექტორი
ლელი მირიჯანაშვილი

FORBES, INC
PRESIDENT AND EDITOR-IN-CHIEF Steve Forbes
CHIEF OPERATING OFFICER Timothy C. Forbes
VICE CHAIRMAN Christopher Forbes

ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

აპრილი 2017, N 63

რედაქციის მისამართი: სამარტველი, 0160, თბილისი, გამრეკელის 19, ბილ.: (+995 32) 223 77 07; 0-800-ლი: info@forbes.ge
Forbes Georgia არის ყოველთვიური გამოცემა. საბალეტო ფასი 7 ლარი.
ჟურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia დარეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს. ISSN 2233-3487



დაბეჭდილი სააგენტო "ომეგა ტექნიკა" PRINTED BY "OMEGA TECH" PRINT HOUSE
საბეჭდო, თბილისი, საკაფიო 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ბეჭდვის ნომერი 00 995 32 253 03 62 TELEPHONE: 00 995 32 253 03 62

Copyright 2011 სააქციო საზოგადოება Media Partners, საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. სამარტველი ნიშანი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს სააქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75
გამოცემა იყენებს ბესარიონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს:
„ბეგ გარდიან ვეგობტური“ და „ბეგ პრინა“.

INTERNATIONAL
BUSINESS
FORUM **BATUMI 2017**




LEADERS WORTH FOLLOWING

2 DAYS / 6 SPEAKERS



PIERLUIGI COLLINA
World's #1 Referee by FIFA



MARSHALL GOLDSMITH
World's most influential leadership thinker (2015 and 2011)



DANANJAYA HETTIARACHCHI
World Champion of Public Speaking



SEAN FITZPATRICK
A Rugby Legend, Former Captain of the All Blacks



KEVIN GASKEL
Former CEO of Porsche



JOHN KING
Co Author of Tribal Leadership - New York Times #1 Best seller

GET YOUR TICKETS
+995 577 777 331

tickets@ibf.ge
contact@ibf.ge

www.ibf.ge
www.facebook.com/Prospect.ge

22 - 23 May, 2017
Euphoria Hotel Batumi

SPONSORS



PEUGEOT



RENAULT



Host



EUPHORIA
BATUMI HOTEL

SUPPORTERS



Forbes



PARTNERS



„ყოველთა საუნჯეთა წილ მოიგე გონიერება“

რატომ არ გვყავს მეტი მილიარდერი?

ავტორი: სტივ ფორბსი, FORBES-ის მთავარი რედაქტორი

მთავრობებს, და განსაკუთრებით

აშშ-ის მთავრობას, ბოლო ორმოცი წლის მანძილზე უფრო გონივრული მონეტარული, ფისკალური და რეგულაციური პოლიტიკა რომ გაეთარებინათ, გლობალურ მილიარდერთა რიცხვი 20,000 იქნებოდა - ათჯერ მეტი, ვიდრე მიმდინარე ნომერში წარმოდგეილი 2,043-ია.

სიმდიდრის შექმნა - როგორც ბოსტნეულის, ხეების, ხილისა და ყვავილების - ყველაზე ნაყოფიერად კეთილგანწყობილ გარემოში ხდება. 1970-იანებიდან მოყოლებული, ცუდი პოლიტიკა ლამის წესადაა ქცეული.

ფული დღეს ყველაზე მცდარად გაგებული საკითხია. დღემდე, ეკონომისტების წმინდა წიგნის თანახმად, ეკონომიკის წარმართველი ძალა ფულის მარაგისა და ხარჯის მანიპულირებაა, ისევე როგორც საჭის ტრიალი - მანქანისთვის. რეალობაში, ცენტრალური ბანკების მონეტარულ აქტივობებთან დაკავშირებით ერთადერთი კითხვა იჩენს თავს: რა მასშტაბების იქნება მათგან გამომწვეული ზარალი? უმთავრესი მაგალითი, ცხადია, ფედერალური რეზერვია, რომელთა სიბრყველები, 2008-09 წლების ეკონომიკური კრიზისიდან მოყოლებული, სულს ხდის აშშ-ის ეკონომიკას.

ფული არ არის სიმდიდრე. ის ამარტივებს პროდუქტებისა და სერვისების ყიდვასა და გაყიდვისა. ის ზომავს მათ



ღირებულებას, ისევე როგორც საათი ზომავს დროს. ის დაახლოებით იგივეა, რაც საკუთრების დამადასტურებელი ქვითარი თუ ბილეთი. ოქროს სტანდარტი, რომელიც აშშ-მა 1971-ში მიატოვა, ვალუტებს უკეთ უნარჩუნებს სტაბილურობას, ვიდრე ნებისმიერი სხვა სისტემა. სტაბილური ფული ამარტივებს ნაყოფიერ ინვესტირებას, რის გარეშეც ვერთარ სიმდიდრეს ვერ შევქმნიდით.

გადასახადები ტვირთია. მაღალი ტარიფები აბრკოლებს ეკონომიკურ ზრდას. როცა 1960-იანებსა და 1970-იანებში ევროპამ დამატებითი ღირებულების გადასახადები

(VAT) დააწესა ცამდე ასულ საშემოსავლო გადასახადებთან ერთად, ზრდის ტემპები დაეცა.

ერთი კრიტიკული შეკითხვა: გაიმეორებს აშშ ევროპის შეცდომას და შემოიღებს 20%-იან კვაზი-VAT-ს, რომელსაც საზღვრის რეგულირების გადასახადი ჰქვია? დაუჯერებელია, მაგრამ არაერთი ისტებლიშმენტის რესპუბლიკელი მომუშავე ოჯახების საწინააღმდეგოდ მიმართულ ამ გადასახადს აქტიურად უჭერს მხარს. ეკონომიკის დამბეჩავებელი რეგულაციები სოკობივით მრავლდება. საბუნდოვროდ, ტრამპის ადმინისტრაცია მოწადინებული ჩანს, ამ გადასახადების ეკვივალენტებს უკომპრომისო ომი გამოუცხადოს.

სტაბილური ფული, დაბალი გადასახადები, საღი აზრით ნაკარნახევი წესები. ყოველად მარტივია. და მიანიც - პოლიტიკურად ყოველად რთული მისაღწევი. **F**

ლიდერის ეტალონები ბათუმში

2017 წლის 22-23 მაისს ბათუმი კავკასიის მასშტაბით პირველ საერთაშორისო ბიზნესფორუმს (IBF Batumi) უმასპინძლებს. ღონისძიება სასტუმრო „ეიფორიაში“ გამართება და მასში ექვემდებარება მსოფლიო კლასის სპიკერი და 14 ქვეყნის 800 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას.

საერთაშორისო ბიზნესფორუმი გახლავთ სფეროს პირველი და ყველაზე მასშტაბური ღონისძიება როგორც საქართველოში, ასევე მთელ რეგიონში. ეს არის უნიკალური ფორმატის მქონე ბიზნესფორუმი, რომელიც აერთიანებს, ერთი მხრივ, მსოფლიო კლასის სპიკერებს, მსხვილი ბიზნესისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს, და, მეორე მხრივ, სტარტაპებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიდერებსა და მედიას. გაგაცნობთ IBF სპიკერებს:



დანანაზია ჰეიტიარაჩი

გახლავთ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონი საჯარო გამოსვლებში. ის არის ადამიანური რესურსების განვითარების სპეციალისტი ტოპ-მენეჯერებთან და ბიზნესის მფლობელებთან მუშაობის დიდი გამოცდილებით; დანანაზია მათ პერსონალურ განვითარებასა და საჯარო გამოსვლის ტექნიკის დახვეწაში ეხმარება. IBF-ის მსმენელს ის გაუზიარებს უნიკალურ გამოცდილებას და ისაუბრებს ეფექტიან კომუნიკაციასა და მის როლზე გაყიდვებში.

შონ ფინცბატრიკი

რაგბის ლეგენდაა, ის ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრების All Blacks-ის კაპიტანი იყო. შონს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ახალი ზელანდიის საუკეთესო მორაგბეს. 1997 წელს ფიცბატრიკი ახალი ზელანდიის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. მან დააარსა Front Row Group of Companies-ი და არის ავტორი წიგნისა „Winning Matters“. შონ ფინცბატრიკი ფორუმის მონაწილეებს გაუზიარებს თავის უნიკალურ გამოცდილებას და ისაუბრებს წარმატების მიღწევის სტრატეგიებზე.

პიერლუიჯი კოლინა

ფიფამ წლის #1 მსაჯად ექვსჯერ აღიარა. დევიდ ბეკჰემის თქმით, ის მსოფლიოს საუკეთესო მსაჯია. დღესდღეობით კოლინა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა. ფეხბურთელების აბრით, მისი წარმატების საიდუმლო პატივისცემაა. მან თამაშის ყველაზე მაღალ საფეხურს მიაღწია და ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებით, სამართლიანობითა და დამამჯობებელი გავლენით გაითქვა სახელი. პალის უნივერსიტეტმა კოლინა „სპორტულ სამყაროში შეტანილი წვლილისთვის“, მეცნიერებათა დოქტორის წოდებით დააჯილდოვა. დღეს კოლინა ქოუჩია და მისი შესწავლის სფეროს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება. კოლინა, ფაქტობრივად, ამ საქმის რეკორდსმენია, რასაც თავადვე გაანდობს IBF-ის მსმენელს.

პიპინ ბასკალი

„პორშესა“ და „ლამბორგინის“ ხელმძღვანელი იყო. გასკელის მრავალფეროვანი გამოცდილება ბევრს აკვირებს. ის ოთხი წარმატებული კომპანიის, მსოფლიო დონის ბრენდების მთავარი აღმასრულებელი და სერიული მენეჯერია, რომელმაც საერთაშორისო კომპანიები ააშენა. კვინმა მოახერხა მილიარდი გირვანქა სტერლინგის ღირებულების აქციების შექმნა არაერთი ბრენდისთვის და ამავდროულად გამონახა დრო მსოფლიოს ყველაზე მაღალი მწვერვალის დაპყრობისთვის, ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსების მოვლისა და როკვუგუში დაკვირვისთვისაც. როგორია კრეატივის როლი ციფრულ ხანაში – ამ გამოცდილებას ის IBF-ის მსმენელს გაუზიარებს.

მარშალ გოლდსმიტი

ორჯერ დაასახელეს მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ლიდერების მთაბროვნედ. ის ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ქოუჩია. Forbes-მა მარშალ გოლდსმიტი ყველაზე პატივსაცემი ქოუჩების ხუთეულში შეიყვანა, ხოლო Wall Street Journal-მა – ტრენერთა ათეულში. მარშალის უნარმა ტოპ-ლიდერებისთვის შედეგების მიღწევისა, 150-ზე მეტ CEO-სა და მათ მმართველ გუნდებს უბიძგა საკუთარი სამუშაო გარემოს შეცვლისკენ, რადგან მათ სურთ მარშალ გოლდსმიტის პრაქტიკული და აპრობირებული მეთოდების თავიანთ პრაქტიკაში დანერგვა.


ჯონ კინგი

CultureSync-ის დამფუძნებელი პარტნიორი და პრეზიდენტი. ამას გარდა, მან დააფუძნა „ჯონ კინგის პარტნიორები“. ის გახლავთ The New York Times-ის ბესტსელერის ავტორი, საერთაშორისოდ აღიარებული უფროსი მასწავლებელი, მწვრთნელი და ლიდერი. მისი წიგნი Tribal Leadership-ი ითვლება ყველა დროის საუკეთესო სახელმძღვანელოდ გუნდური მმართველობის კონცეფციებში. IBF-ის მსმენელი სწორედ მისგან მოისმენს გუნდურობის მთავარი პრინციპების, ასევე ლიდერის განვითარების საფეხურების შესახებ.


www.ibf.ge

LEADERS WORTH FOLLOWING

INTERNATIONAL BUSINESS FORUM



PIERLUIGI COLLINA



MARSHALL GOLDSMITH



DANANJAYA HETTIARACHCHI



SEAN FITZPATRICK



KEVIN GASKEL



JOHN KING

2 DAYS / 6 SPEAKERS

EUPHORIA HOTEL BATUMI, GEORGIA
22 - 23 MAY, 2017

LeaderBoard

მილიარდერები

ათციფრიან ქონებათა სამი ათწლეული

სხვა მსმ არაფერი, სწორი დროს შერჩევა მართლაც ოსტატურად გამოვკდის. თითქმის 30 წლის წინ Forbes-მა მსოფლიოს მილიარდერთა პირველი რეიტინგი გამოაქვეყნა. ზუსტად ორი კვირის შემდეგ, „შავ ორშაბათს“, Dow ერთ სესიაში 22%-ით დაკარგა და მწვავედ დააზიანა ზოგიერთი ამ მილიარდერის ქონება. ამის შემდეგ სიტუაცია გამთავისწორდა: წელს, საფონდო ბირჟებისა და ფართო მოხმარების საქონლის ბაზრების გლობალური მოძვლავრების პერიოდში, მსოფლიოს მილიარდერთა რიცხვმა რეკორდულ 2,043-ს მიაღწია (ჩვენს სადებიუტო სიაში მხოლოდ 140 მოხვდა). გეოგრაფიული და გენდერული მრავალფეროვნებაც გაიზარდა – პირველი გაცილებით უფრო თვალში ხაყემა, ვიდრე მერე. მოდი, (ძალიან მდიდარი) მოგონებები გავაცოცხლოთ.



1987

1987 წლის შემდეგ, სტაბილურად, მხოლოდ 20 ადამიანი ხვდება მილიარდერთა რეიტინგში. მათ შორის არიან ბილ გეიტსი, უორენ ბაფეტი, ლი კაშინი, ჰ. როს პერო უფროსი და დევიდ როკველერი.

- აშშ
- ბრაზილია
- ინდოეთი
- რუსეთი
- ჩინეთი
- იაპონია
- სხვა:



1988

რეიტინგში ნარკოტიკების სამი კოლუმბიელი მეფე, მათ რიგებში, პაბლო ესკობარი, ხვდება, თავიანთი კოკაინზე შემკადარი ქონებებით: თითოს \$5 მილიარდზე მეტი აქვს.

1989

ნიუ-იორკის უძრავი ქონების ტიტანები, დარსტების ოჯახი, \$1 მილიარდად ფასობენ. ოც წელზე მეტი გადის და ოჯახი ჩამოშორებულ მეგვიდრეს, რობერტ დარსტს – HBO-ს სერების, „წყველის“ შთამავონებულს, მკვლელობისთვის აკაჯიბენ.

1990

მილიარდერთა რეიტინგში გატარებული ორი წლის თავზე, გაკორტების წინაშე მდგომი დონალდ ტრამპი სიას ტოვებს.



1992

Wal-Mart-ის დამფუძნებელი სემ უოლტონი 74 წლის ასაკში კვდება; მისი ოჯახის ქონება \$18.5 მილიარდად ფასობს; დღეს უოლტონის მემკვიდრეების ჯამური ქონება \$118.6 მილიარდად შეადგენს.



1994

აფრიკის პირველი მილიარდერი სამხრეთაფრიკელი პაილი ოპენჰაიმერია – ოქროსა და ალმასების მანანტი.



„ვარსკვლავური ომები“ 20 წლის ხდება. ჯორჯ ლუკასი ჩვენს რეიტინგში პირველად შემოდგამს ფეხს.

1998

1997 წლის ამიური ფინანსური კრიზისის, ფრინველის გრიპისა და სხვა მოვლენების შემდეგ, ამის საშუალო მილიარდერი \$300 მილიონით არის გაღარიბებული.



1999

L'Oréal-ის მემკვიდრე ლილიან ბეტანდური, \$13.9-მილიარდიანი ქონებით, პირველი ქალია, ვინც ტოპ-10-ით უკლებს იკავავს გემას.



2001

Black Entertainment Television-ის დამფუძნებელი რობერტ ჯონსონი პირველი აფრიკელი ამერიკელი მილიარდერი ხდება.



1999

ახალი მილიარდერის დაბადება: ტი უორნერი Beanie Babies-ის გლობალური მანიდან ხევის ნახულობს.



2000

Oracle-ის აქციები, სულ ცოტა, 500%-ით იზრდება და ლარი ელისონი, \$47-მილიარდიანი ქონებით, სის მეორე ადგილს იკავებს.

600 მილიარდერი რიხხვი

500

400

300

200

100

0

1987

1988

1989

1990

1991

1992

1993

1994

1995

1996

1997

1998

1999

2000

2001

2002

ჯამური მონება \$295 მილარდ

\$338 მილარდ

\$435 მილარდ

\$542 მილარდ

\$582 მილარდ

\$602 მილარდ

\$565 მილარდ

\$762 მილარდ

\$892 მილარდ

\$1.1 ტრლნ

\$1.2 ტრლნ

\$1.1 ტრლნ

\$819 მილარდ

\$898 მილარდ

\$1.8 ტრლნ

\$1.5 ტრლნ

1980-იანები კარგა ხნის დამთავრებულია, რომ იპონელი მილიარდერთა რიგები მიკურ 41-ს აცნებს. დღეს 33-ნი არიან.

2002
დოტ-კომპუტის გასკომის შედეგად, სიას ოთხმოცდასამი მილიარდერი ტოვებს, მათ შორის, Yahoo-ს თანადამფუძნებლები, კერი ისანი და დევიდ ფილო.



2011

მოსკოვი მილიარდერთა დედამიწაზე ხდება: 79 მათგანისთვის ის სახლია. ასეთი რამ სხვა ქალაქს არ ახსოვს.

2017

თვითნაბადი ქალები ახლა გლობალურ მილიარდერთა 2,79%-ს წარმოადგენენ, ათი წლის წინ მხოლოდ 19%-ის სახით იყვნენ წარმოდგენილნი.



დონალდ ტრამპი (\$3.5 მილიარდი) ამერიკის 45-ე პრეზიდენტი ხდება.



2007

იაპონელი იოშიაკი ცუჯუმი, ჩვენი სადებიუტო რეიტინგის ყველაზე მდიდარი კაცი, სიას ტოვებს.

2008

უორენ ბაფეტი, თავისი \$62 მილიარდით, ბილ გეიტსს (\$58 მილიარდი) უსწრებს და მსოფლიოს უმდიდრესი კაცი ხდება.



2010

უორენ ბაფეტი და ბილ გეიტსი (Living Pledge-ის შესახებ აკეთებენ განცხადებას – პირობისა, რომ სიმდიდრის ძირითად ნაწილს საქველმოქმედო მიზნებს შევნიშნავენ. მას მერე 157 ადამიანს დაუდია მსგავსი პირობა, მათი უმეტესობა მილიარდერები არიან.



2015

მისი უსპორტულესობა, მაიკლ ჯორდანი, თავისი \$1 მილიარდით, რეიტინგს უერთდება.



2013

ანგოლის სტაჟიანი პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილი იზაბელ დოს სანტოსი აფრიკის უმდიდრესი ქალი ხდება (\$2 მილიარდი).



2004

ახლახან 30 წელს მიღწეული სერგეი ბრინი და ლარი პეიჯი ნიიქსე-იდან რეიტინგს უერთდებიან.

2006

ჰინდ ჰარირი, ლიბანის მოკლული პრემიერ-მინისტრის, რაფიკ ჰარირის, ქალიშვილი, რეიტინგს 22 წლის ასაკში, ყველაზე ახალგაზრდა წევრის რანგში უერთდება.



2005

მარტა სტიუარტი სიას პირველად იმ თვეში უერთდება, როცა დანამაჟის დაფარვის გამო ციხეში გატარებული ხუთი თვის შემდეგ თავისუფლდება.



2003

ოპრა უინფრი პირველი აფრიკელი ამერიკელი მილიარდერი ქალი ხდება.



თავისი კომპანიის ოფიციალური ჩაშვებიდან სულ რაღაც ოთხი წლის თავზე, 23 წლის ასაკში, რეიტინგს Facebook-ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი უერთდება და ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა თვითნაბადი მილიარდერის სტატუსსაც იმკვიდრებს.



2009

გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, მილიარდერები \$2 ტრილიონს კარგავენ; ჩვენს სიაში, ნინა ნელთან შედარებით, 30%-ით ნაკლები მილიარდერი ხვდება.




2012

ილონ მასკს – ელექტრომანქანების, მისი ენერჯისა და განმეორებით გამოყენებადი რაკეტების იმპრესარიუს ჩვენს რეიტინგში დებიუტი აქვს.




2014

ბრაზილიელი აიკე ბატისტას ქონება \$30 მილიარდიდან \$300 მილიონამდე ეცემა; ეს მას შემდეგ ხდება, რაც მისი ნავთობის აღმოჩენი ფირმა, OX-ი, თავს გაკოტრებულად აცხადებს.



2016

მსოფლიოს პირველი „დრონების მილიარდერი“ – ფრენკ ვანგი, ლუდი და სვიფტ სიუ – წინეთიდან გვესალმებიან.



LeaderBoard

მილიარდობები

ახალგაზრდები და მოუსვენრები



„ორი ათას ჩვიდმეტი ჩვენი წელი იქნება! აბა, როგორ?!“ – ენერჯული აპლოდისმენტის ფონზე მიკროფონში გაჰყვირის Paytm-ის აღმასრულებელი დირექტორი, პროექტორით განათებული ვიჯი შეხარ შარმა. მობილური გადახდების სტარტაპის იანვარში გამართული წლიური წვეულების მთავარ გამირს მოლხენის მიზეზი ნამდვილად აქვს – ინდოეთში ქალაქის ვალუტის ჩაჩოჩება Paytm-ისთვის მეტად მოგებიანი გამოდგა, 38 წლის შარმა კი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერად იქცა.

Alibaba-ს დაფინანსებულმა Paytm-მა მოღვაწეობა მარტივი მობილური საფულის რანგში დაიწყო, მერე კი სურსათის შესაძენ, ფრენების დასაჯავშნ, ელექტროენერჯის გადასახადის დასაფარ და სხვათა პლატფორმად გაფართოვდა. როცა გასულ წოემბერს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდიმ ქვეყნის ქალაქის ვალუტის 86% უეცრად ბრუნვიდან ამოილო (მცდელობა, რომ გადასახადებისთვის თავის არიდებისა და ფულის გათეთრების პრობლემები აღმოეფხვრა), შარმამ შესაძლებლობის სუნი იყნოსა. Paytm-მა სარეკლამო კამპანია წამოიწყო და თავისი აბლიკაციის ვერსიები 11 ენაზე გამოუშვა იმ იმედით, რომ Paytm-ს რურალურ ინდოეთშიც ჩაიტანდა.

სქემამ იმუშავა: ათ დღეში პლატფორმის ყოველდღიური ტრანზაქციების რიცხვი გაორმაგდა და 5 მილიონად იქცა, ხოლო მას მერე 7 მილიონამდე ავიდა. თებერვალში Paytm-მა 200 მილიონი მომხმარებელი გაიჩინა, რაც 64%-იანი ზრდაა 2016 წლის იანვრის შემდეგ. შარმას ახალი პროექტი ონლაინ-გადახდების ბანკია, რომელიც მარტში ჩაუშვა. „ჩვენი მისია ამ ქვეყნის საბოლოოდ შეცვლაა“, – ამბობს ის.

ყველაზე მდიდარი 40-წლამდელები

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 56 40-წლამდეელი მილიარდერია, მათგან 30 კი თვითნაბადია (შარშან მათი რიცხვი 36 იყო). საქმე ბრწყინვალედ მისდით: მართალია, ზოგის ქონება უცვლელი დარჩა, წლევეანდელი რეიტინგის არც ერთი 40-წლამდელის ქონება არ შემცირებულა ბოლო წელიწადში. ამ ჯგუფის ჯამური ქონება \$138.7 მილიარდს უტოლდება.

ნეითან ბლენარჩუიკი

33 **\$3.8** მლრდ
Airbnb

დრიუ ჰიუსტონი

34 **\$1** მლრდ
Dropbox

ლიუ რუოპანი

34 **\$1.3** მლრდ
ტექნოლოგია

მვან შარკი

34 **\$1** მლრდ
Pinterest

ბენ სილბერმანი

34 **\$1.6** მლრდ
Pinterest

კირილ შამალოვი

34 **\$1.3** მლრდ
ნავთობქიმიკატები

ელჰარდო სავარინი

34 **\$7.9** მლრდ
Facebook

ბრაიან ჩესკი

35 **\$3.8** მლრდ
Airbnb

ჯო გეგია

35 **\$3.8** მლრდ
Airbnb

ფრენკ ვანნი

36 **\$3.6** მლრდ
დრონები

ორიონ ჰინდავი

37 **\$1** მლრდ
პროგრამული უზრუნველყოფა

ჩუან ბანგსინი

37 **\$2.5** მლრდ
სწავლება

საოი ფარაჰუარი

37 **\$2.1** მლრდ
ბიზნესის პროგრამული უზრუნველყოფა

შონ პარკერი

37 **\$2.6** მლრდ
Facebook

მაიკ კინონ-ბრუკსი

37 **\$2.1** მლრდ
ბიზნესის პროგრამული უზრუნველყოფა

მარკუს პერსონი

37 **\$1.4** მლრდ
Minecraft

ადამ ნიუმანი

37 **\$2.5** მლრდ
WeWork

გარემ კემპი

38 **\$6.3** მლრდ
Uber

ჩუოი იფინი

38 (ახალი) **\$1** მლრდ
ქიმიკატები, შეფუთვა

ვიჯაი შხარ შარმა

38 (ახალი) **\$1.3** მლრდ
მობილური გადახდები

რობერტ პერა

39 **\$3** მლრდ
უკაბელო ქსელის აპარატები

სუ ბო

39 (ახალი) **\$4.1** მლრდ
მობილური თამაშები

LeaderBoard

მილიარდერები გალარბიებულნი

წლის ყველაზე აღსანიშნავი გარიგებები

წლიდან წლივით მილიარდერთა კლუბს წინა წლის რეიტინგში მოხვედრილი სამოცდათვრამეტი მილიარდერი გამოაკლდა, რაც „ნასულთა“ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2013-ის შემდეგ. დაძაბულმა საფონდო ბირჟამ ჩინეთში ამ ქვეყნის 33 მილიარდერი ჩამოაშორა სიას; ამასობაში, ამერიკაში, 7 მილიარდერის ათციფრიანი სტატუსი ცხრადა (ან ნაკლებად) ჩამოქვეითდა. რეიტინგი ჩვენ კიდევ რამდენიმეს დაგატოვებინეთ, ვინაიდან მათი სიმდიდრე ახლა მათ დიდ ოჯახშია გადანაწილებული. აქ მოყვანილ ხუთს განსაკუთრებით დამინტრიგებლად წაუბოროცდა ფეხი.

ფაი თაფლოა ნიგერი

2016 წლის ქონება: \$1.8 მლრდ
2017 წლის ქონება: \$275 მლნ

ოტედოლას, რომელიც 79%-იან წილს ფლორს ლაგოსში დაფუძნებულ Forte Oil-ში, ქონების უზარმაზარი ნაწილი ჩამოეჭრა, რაც გასულ წელს აქციების 83%-იან ვარდნას უნდა მივაწეროთ. მის ქონებას კიდევ ერთი დარტყმაც მიადგა: იმ პერიოდში ნიგერიული ნაირა დოლართან მიმართებით 37%-ით გაუფასურდა, თუმცა მისთვის ეს უცხო მდგომარეობა არ არის: მილიარდერთა რეიტინგს ის 2009-ში შეუერთდა, მომდევნო წელს კი, დიდი ვალისა და ნავთობის ცუდი ვაჭრობის გამო, ამ რეიტინგს გამოაკლდა.



კუნ იაუ ლიტი ჩინეთი


2016 წლის ქონება: \$1.3 მლრდ
2017 წლის ქონება: \$745 მლნ

ჰუნის Regina Miracle International-ის აქციები გასულ წელს 45%-ით დაეცა. კომპანია, რომელიც Victoria's Secret-სა და Calvin Klein-ს ბუსტბალეტრები და საცვლებით ამარაგებს, თავისი უმსხვილესი კლიენტის, L Brands-ის (Victoria's Secret-ის მშობლის) მხრიდან შემცირებული შეკვეთების გამო დაზიანდა. კიდევ ერთი ფაქტორიც არის: სანარმოო ბაზა Regina Miracle-ს შეეცვლინა (ჩინეთი) ვიეტნამში გადააქვს, რაც წარმოებას აფერხებს.

საჩინ პანსალი და ბინი პანსალი ინდოეთი

2016 წლის ქონება: \$1.2 მლრდ თითო
2017 წლის ქონება: \$950 მლნ თითო

Amazon-ის ელ-ვაჭრობის პლატფორმის, Flipkart-ის ამ ყოველ ორ ინჟინერს პრობლემები შეექმნა. წამყვანი ტელანტების გადინება მწველი იძულებული გახდა, მართვის სათავეები Tiger Global Management-ის (დიდი ინვესტორის) ყოფილი დირექტორისთვის გადაეხადა, რომელიც Flipkart-ის აღმასრულებელ დირექტორად იანვარში მოგვევლინა. ასევე, გავრცელებული ცნობებით, 2015 წლის საინვესტიციო რაუნდზე ინვესტორებმა ფირმის ღირებულება \$15 მილიარდამდე ჩამოაქვეითეს. პანსალები, რომლებიც ნათესავები არ არიან (ფოტოზე ბინია), ამბობენ, რომ ჩავარდნები მხოლოდ „თეორიულია“ და დამატებითი \$1.5 მილიარდის მოძიებას ცდილობენ.



ნარუაგუ ბაბა იაკონია

2016 წლის ქონება: \$1.2 მლრდ
2017 წლის ქონება: \$690 მლნ

ბაბა თავიდანვე ჩაება მობილურ თამაშებში და თავისი კომპანია, Colopl-ი, 2008-ში დააარსა – დაახლოებით იმ დროს, როცა 30-ის შესრულდა, მაგრამ ტოკიოს საფონდო ბირჟაზე მბრუნავმა ბიზნესმა მომხმარებლებისა და ინვესტორების თვალში პრესტიჟი დაკარგა. მისი პოპულარული თამაშების, White Cat Tennis-ის და White Cat Project-ის გაყიდვები დაგარდნილია, გასულ წელს კი კომპანიის აქციებიც 38%-ით დაეცა, რამაც ბაბას ქონება გაამეჩხერა. Colopl-ი ფსონს ახლა სხვის მიერ შექმნილ ვირტუალურ რეალობის თამაშებზე დებს და ორ სხვადასხვა საინვესტიციო ფონდში \$100 მილიონს აბანდებს.



მილიარდერები ვალუტის კონფლსიები

ამ ნომერში წარმოდგენილ კანდიდატებს და მალმებს, შესაძლოა, არ მოეწონოთ ამის მოსმენა, მაგრამ სიმდიდრე – ყოველ შემთხვევაში, აშშ დოლარებში გამოიზომი – არ გახლავთ პირშინადად ანტრეპრენიორული გამჭრიახობის შედეგი. ვალუტის ფლუქტუაციამ შინაშენლოვანია. უმეტესი ვალუტების მიმართ დოლარი მყარი იყო, რამაც დოლარის ვალუტაში გამოხატული ქონების მქონე მილიარდერების რიცხვი რამდენიმე ქვეყანაში შეამცირა. საპირისპიროდ, შესუსტებულია დოლარმა ისეთ ქვეყნებში, როგორც რუსეთი და ბრაზილია, იქსური მილიარდერების რაოდენობის ზრდას შეუწყო ხელი.

	რუსული რუბლი	ბრაზილიური რეალი	კოლუმბიური პესო	ეგვიპტური მირგანა	ბრიტანული მირგანა	ჩინური რენმინბი
ცვლილება ღირებულებაში	+35%	+29%	+17%	-51%	-14%	-4%
მილიარდერთა რიცხვი 2016 წელთან შედარებით	+19	+12	უცვლელი	+1	+4	+68
ცვლილება მილიარდერთა ქონებაში	+103.7 მლრდ	+37 მლრდ	+3.5 მლრდ	+3.9 მლრდ	+700 მლნ	+215.7 მლრდ

ყველა მაჩვენებელი ასახავს ცვლილებებს 2016 წლის 12 თებერვლიდან 2017 წლის 17 თებერვლამდე. რაც შეეხება სარეზერვო ვალუტის სამშობლოს, აშშ-ს 25-ით მეტი მილიარდერი ჰყავს შარშანდელიან შედარებით; მათი ჯამური ქონება \$357.8 მილიარდით გაიზარდა.

LeaderBoard

მოსაგონარი

სალამი და მშვიდობით

მაიკ ილიჩი, 87 აშშ, \$6 მლრდ | საკვები და სასმელი

1959 წელს, ცოლთან, მარიანთან ერთად, პივერების ქსელი Little Caesars-ი დააარსა. დეტროიტში დაბადებულმა და სტაიანმა მკვიდრმა უამრავი ფული ჩაღვარა შეგრეცხული შშობლიური ქალაქის გამოსაცოცხლებლად. ფლობდა ბეისბოლის კლუბს Detroit Tigers-ს და ჰოკეის კლუბს Red Wings-ს. მისი კომპანიის \$1.2-მილიარდიანი District Detroit-ის შერეული დეველოპერული პროექტის განხორციელება ქალაქის ცენტრში კვლავაც გრძელდება.



მაიკ ილიჩი

ჩენ იუ-ტუნი, 91
ჰონკონგი, \$14.5 მლრდ | უძრავი ქონება



დივერსიფიკირებული ბიზნეს-მენის კონგლომერატის ყველაზე გამორჩეულ ბოლინგებს, სამკაულების კომპანია Chow Tai Fook-სა და უძრავი ქონების New World Development-ს,

დღეს მისი ვაჟი, ჰენრი მართავს. Forbes-ის 1987 წლის მილიარდერთა სადებიუტო რეიტინგის წევრმა დაწყებითი სკოლა მიატოვა; მისი სიმამრი სამკაულების მალაიზიებს ფლობდა, რომლებიც ჩენმა 1960-იან და 70-იან წლებში იყიდა და ჰონკონგის უმსხვილეს სამკაულების ქსელად აქცია.

ჟან-კლოდ დეკო, 78
საფრანგეთი, \$6.5 მლრდ | მდიანი და შოპიონი



ამ გარერეკლამების პიონერმა (რეკლამები პარიზის საჯარო ტუალეტებში მისი საფირმო ინოვაცია იყო) 1964 წელს JCDecaux დააფუძნა – მისი გარდაცვალების მომენტისთვის მსოფლიოს უმსხვილესი გარერეკლამების ფირმა. 2014-ში კომპანიამ გინესის მსოფლიო რეკორდი დაამყარა: საულის არაბეთში, ერთიადის მეფე ხალიდის საერთაშორისო აეროპორტში უშვებელი, 32,000 კვადრატული ფუტის ბილბორდი ჩამოკიდა.

პაინს-მეორე ბაუსი | 82
გერმანია, \$3.8 მლრდ | მოდა

კენი ბუსუშია | 91
იაპონია, \$2.9 მლრდ | კაზინოები

ბერნარდო კაპროტი | 90
იტალია, \$2.4 მლრდ | საკვები და სასმელი

ლონ ჩერნი | 77
აშშ, \$1 მლრდ | უძრავი ქონება

კურტ ენგელჰორნი | 90
Germany, \$6.2 bil | HEALTH CARE

ურსულა ენგელჰორნი | 93
გერმანია, \$3.8 მლრდ | ჰანდაცვა

როზა ანა მანიო ბარაგომოლი | 83
იტალია, \$3.3 მლრდ | საკვები და სასმელი

ედსონ დე გოდოი ბუენო | 73
ბრაზილია, \$1.9 მლრდ | ჰანდაცვა

ფრანსისკო იმენს დე სა დის ბრანკო | 81
ბრაზილია, \$2.1 მლრდ | საკვები და სასმელი

საკვები და სასმელი | 86
შვეიცარია, \$2.3 მლრდ | ღვინა

ერიკა პოლ-სტოვაკი | 97
გერმანია, \$1.3 მლრდ | მოდა

კონრად პრეზისი | 82
აშშ, \$1.2 მლრდ | უძრავი ქონება

დინ შაიტი | 93
აშშ, \$2.4 მლრდ | სარეკლამო

კარლოს ბულგერონი | 71
არგენტინა, \$2.25 მლრდ | ნავთობი და გაზი

ჯორჯ კავენდიშ გროსვენორი, 64
დიდი ბრიტანეთი, \$13 მლრდ | უძრავი ქონება



ინგლისის ვესტმინსტერის ჰერცოგისა და სამეფო ოჯახის მეგობრის (მისი ვაჟი, ჰიუ, გავრცელებული ცნობებით, პრინც ჯორჯის ნათლიაა) კომპანია, Grosvenor Estate-ი, მსოფლიოს 60 ქალაქში განაგებს უძრავ ქონებას და მსხვილი, ღირებულ ბოლინგები აქვს როგორც ლონდონში, ისე მთელ დიდ ბრიტანეთში.


ფორესტ მარს უმსროსი, 84
აშშ, \$23.4 მლრდ | საკვები და სასმელი



1911 წელს ბაბუამისის მიერ დაარსებული, მისივე გვარის მატარებელი ტკბილეულების კომპანიის შემკვიდრე ბიზნესი 1959 წელს შეუერთდა – იმდროინდელ Price Waterhouse-ში მუშაობის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ. 1975 წელს, ძმა ჯონთან ერთად, კომპანიის თანაპრეზიდენტი გახდა და კომპანია გლობალურ კონგლომერატად აქცია, 80,000 თანამშრომლითა და \$35-მილიარდიანი წლიური შემოსავლით.

ჯიკ ტილიორი, 94
აშშ, \$5.3 მლრდ | სარეკლამო

1957 წელს სენტ-ლუისში Enterprise Holdings-ი დააფუძნა – მანქანების გაქირავების კომპანია, რომელსაც სახელი იმ ავიაციაში-დის პატრისაგან შეურჩია, სადაც თავად მსახურობდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ბიზნესი, რომელსაც ახლა მისი ვაჟი განაგებს, გასაქირავებელი მანქანების უმსხვილეს ქსელს ფლობს; დაახლოებით 1.9 მილიონი მსუბუქი და სატვირთო მანქანა Enterprise-ის, Alamo-სა და National-ის ბრენდებითა წარმოდგენილი.



ნავთობი და გაზი

სანამ მილიარდერები გახდებოდნენ

შეძლებთ, გამოიგნოთ, რომელი მილიარდერი რომელ არამილიარდერულ სამუშაოს ასრულებდა გამილიარდერებამდე? სწორი პასუხები ბოლოში წერია.

1. შირილ სანდბერგი FACEBOOK	2. ჯინ კუში WHATSAPP	3. რინარდ ბრენსონი VIRGIN	4. ტაკინ შინავატრა პოლიტიკოსი/მანაბი	5. პარლს სლიმ ელუ მეხსიპური ფელაქომუნ-პაციები	6. კერი პეროფო PERENCO OIL	7. ჩარლზ დოლანი MADISON SQUARE GARDEN CO.	8. ფრედერიკ სმიტი FEDEX	9. ერსონ მილჩანი NEW REGENCY ENTERPRISES	10. შორჟა კაპულო ლემანი 3G CAPITAL
ა. ალმბერის მასხავლე-ბელი	ბ. სურსათის მადამის დამლაგებელი	გ. იარაღებით მოვაჭრე	დ. მოდელი	ე. ჩოგბურთელი, რომელიც WIMBLEDON-ში გამოვიდა	ვ. საშობაო ნაძვის ხეების მომწოდებელი	ზ. ჭარისკაცი; თავი დააღვინა ვიტიტონის ირიბის	თ. აპერტივების ინსტრუმენტი	ი. პოლიციის ლეიტენანტი-პოლიკომისი	კ. ყველაზე საყურადღებო მომწოდებელი ტელევიზიარში



Orient Logic

საუკეთესო მეგობარი - საუკეთესო პარტნიორი

22 წელი IT ბიზნესში

IT და ბიზნეს გადაწყვეტილებები



IT ინფრასტრუქტურა



ქსელური
ინფრასტრუქტურა



მონაცემთა
დამუშავების
ცენტრები




პროგრამული
უზრუნველყოფა

LeaderBoard

მედია

თავისუფალი ხუთეული

2017 წლის მსოფლიო მედიის თავისუფლების ინდექსში სკანდინავიური ქვეყნების სრული დომინირებაა. ინდექსი 180 ქვეყანას აფასებს ისეთი ინდიკატორებით, როგორცაა შეტევა ჟურნალისტებზე და მედიის ხმის ჩახშობა.






























- 1  ნორვეგია
- 2  შვედეთი
- 3  ფინეთი
- 4  დანია
- 5  ნიდერლანდები

ქართული მედია თავისუფალია?

2017 წლის მედიის თავისუფლების მსოფლიო ინდექსში, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აქვეყნებს, საქართველო, წინა წლის მსგავსად, 180 ქვეყანას შორის, 64-ე ადგილს იკავებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის კი მეოთხე ადგილზე იმყოფება და მხოლოდ ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას ჩამორჩება. ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოლო წლებში საქართველოში მედიაგარემო გაუმჯობესებულია, რაც ძირითადად კომპანიების მფლობელების გამჭვირვალობისა და სატელევიზიო მაუწყებლობის პლურალიზმით არის გამოწვეული. ანგარიშში ხაზგასმითაა მოხსენიებული „რუსთავი 2“-ის შემთხვევა, რომლის ბედიც პლურალიზმის არსებობის თვალსაზრისით, ქვეყნისთვის „გამოცდას წარმოადგენს“.

კოსტსაბჭოთა ქვეყნები მედიის თავისუფლების მსოფლიო ინდექსში:

მთლიან ჩამონათვალში

12		ესტონეთი		102		უკრაინა	
28		ლატვია		148		რუსეთი	
36		ლიტვა		149		ტაჯიკეთი	
64		საქართველო		153		ბელორუსია	
79		სომხეთი		157		ყაზახეთი	
80		მოლდოვა		162		აზერბაიჯანი	
89		ყირგიზეთი		169		უზბეკეთი	
				178		თურქმენეთი	

სარეკლამო ბაზარი

2016 წელს სარეკლამო მდიდობა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. შეიქმნა ერთი სარეკლამო გაყიდვების სახლი – შპს „ინტერმედია“, რომელიც მთავარი რვა ტელევიზიული ექვსი ტელევიზიის – „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „მაესტროს“, GDS-ის, „მარასა“ და „კომედი არხის“ სარეკლამო დროს სრულად გაყიდის, „TV პირველი-სა“ და „კავკასიის“ შემთხვევაში კი – ნაწილობრივ. ტელეკომპანიების მიერ დეკლარირებული სარეკლამო შემოსავლებისა და ინტერვიუების საფუძველზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გასული წლის სარეკლამო მედიამბარის მიმოიხილა.

რეგიონული ტელევიზიების შემოსავალი

2016 წელი რეგიონული მედიისთვის ოდნავ უფრო შემოსავლიანი იყო, თუმცა ყველა ძირითადი გამოწვევა, განსაკუთრებით კი ფინანსური სახის, კვლავ დღის წესრიგში რჩება. ბოლო წლების დინამიკის გათვალისწინებით, პრობლემების აღმოფხვრას უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ.

რეგიონული ტელევიზიების შემოსავალი რეკლამიდან და სპონსორისგან

	2016 (ლარი)	2016 (აშშ დოლარი)	2015 (ლარი)	2015 (აშშ დოლარი)
ტელერეკლამი 25	607.1 k	256.6 k	561.1 k	247.2 k
ტელერეკლამი რიონი	255.8 k	109.1 k	194 k	85.9 k
ქვემო ქართლის ტელერეკლამი კომპ. 249 k		107.7 k	234.2 k	104.5 k
ტელერეკლამი კომპ. თრიალეთი 236 k		100 k	168.1 k	74.1 k
ტელერეკლამი კომპ. „გურჯაანი“ 195.1 k		83.3 k	100.9 k	44.1 k
დამ. ტელერეკლამი კომპ. ოდიში 190.9 k		81.5 k	129.6 k	57.4 k
ტელეკომპანია დია 144.5 k		59.8 k	13.1 k	5.6 k
მარნეული ტვ 124.5 k		53.2 k	61.8 k	27.2 k
ტელეკომპ. „თანამგზავრი“ 89.8 k		38.2 k	32.4 k	14 k
სამ. კომპ. მეგრე ტალა 81.6 k		34.6 k	65 k	28.6 k
დამ. ტელეკომპანია ეგრისი 77.4 k		33 k	48 k	21.1 k
სამ. კომპ. იმერეთი 62.5 k		27 k	39 k	16.9 k
იმპერია 58.3 k		24.8 k	34.9 k	15 k
ტელერეკლამი კომპ. ბორჯომი 51.7 k		22.1 k	26.7 k	11.8 k
ტელერეკლამი კომპ. ზარი 46.9 k		20.1 k	37.6 k	16.6 k
მეგა ტვ 44 k		18.8 k	75.5 k	32 k
ტელერეკლამი კორპ. ინფორმაციული ტელევიზია არგო 39 k		16.7 k	5.1 k	2.3 k

ტელეკომპანიების შემოსავალი

გასულ წელს ტელეკომპანიების ჯამურმა შემოსავალმა რეკლამებიდან და სპონსორებისგან მიღებული თანხიდან 83.7 მლნ ლარი (35.3 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა. ეს რიცხვი 10 მლნ ლარით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მონაცემზე.

ტელეკომპანიების ჯამური შემოსავალი რეკლამიდან და სპონსორებიდან

	2016 (ლარი)	2016 (აშშ დოლარი)	2015 (ლარი)	2015 (აშშ დოლარი)	სხვაობა ლარში (%)	სხვაობა აშშ დოლარში (%)
იანვარი	3.5 m	1.4 m	4.8 m	2.5 m	-28	-42.6
თებერვალი	4.3 m	1.8 m	4.8 m	2.3 m	-9.2	-23.7
მარტი	6.3 m	2.7 m	6.8 m	3.1 m	-7	-14.7
აპრილი	6.6 m	2.9 m	6.6 m	2.9 m	0.1	-0.3
მაისი	7.5 m	3.4 m	7.9 m	3.4 m	-5.1	0.9
ივნისი	7.2 m	3.3 m	7.3 m	3.2 m	-2	1.4
ივლისი	5.9 m	2.5 m	5.7 m	2.5 m	4.3	0.7
აგვისტო	3 m	1.3 m	3.2 m	1.4 m	-6	-6
სექტემბერი	9.5 m	4.1 m	4.5 m	1.9 m	108.7	116.6
ოქტომბერი	9.4 m	4 m	6.3 m	2.6 m	49.4	51.5
ნოემბერი	8.8 m	3.6 m	6.8 m	2.8 m	29	25.1
დეკემბერი	11.7 m	4.4 m	8.4 m	3.5 m	39.8	26.5
სულ	83.7 m	35.3 m	73.1 m	32.2 m	14.5	9.7

სწრაფად მზარდები

გასულ წელს რამდენიმე ტელევიზიამ სარეკლამო შემოსავალი მნიშვნელოვნად გაზარდა. 11-ჯერ მეტი ფული მიიღო ამ კომპონენტთან „TV პირველი“, ხოლო „იმერია“ შემოსავალი 2,5-ჯერ გაზარდა.

	2015	2016
„TV პირველი“	113.6 ათასი ლარი	1.3 მლნ ლარი
„იმერია“	747.5 ათასი ლარი	1.9 მლნ ლარი
„ობიექტივი“	553.6 ათასი ლარი	1 მლნ ლარი
„კავკასია“	420.1 ათასი ლარი	734.8 ათასი ლარი
„რუსთავი 2“	35.6 მლნ ლარი	38.4 მლნ ლარი
„მაესტრო“	5.1 მლნ ლარი	5.5 მლნ ლარი
„იმედი“	24.2 მლნ ლარი	24.8 მლნ ლარი
GDS	1,7 მლნ ლარი	2 მლნ ლარი

შემოსავლები პოლიტიკური რეკლამიდან

პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავლით პირველ ადგილს „იმედი“ იკავებს, რომელმაც თითქმის 1 მლნ ლარით მეტი გამოიმუშავა, ვიდრე მისმა უშუალო კონკურენტმა. სარეკლამო შემოსავლებში პოლიტიკური რეკლამის პროცენტული წილით კი პირველ ადგილს „TV პირველი“ იკავებს.

სარეკლამო შემოსავალი

TV პირველი	26.7%	344,649.17
GDS	25.87%	524,054.9
ობიექტივი	23.03%	239,945.25
კავკასია	18.13%	133,201.5
იმედი	13.73%	3,407,137
მაესტრო	13.3%	729,896
რუსთავი 2	6.68%	2,563,737.5
იმერია TV	4.82%	90,087.92

სარეკლამო შემოსავლებში პოლიტიკური რეკლამის პროცენტული წილი

პოლიტიკური რეკლამა რეგიონულ ტელევიზიებში

2016 წელს რეგიონულ მედიაში სარეკლამო შემოსავლების ზრდა დაფიქსირდა, რაც პოლიტიკური რეკლამებით იყო გამოწვეული. პირველი ადგილი ტელეკომპანია „რიონმა“ დაიკავა, 134,344-ლარიანი შემოსავლით.

პოლიტიკური რეკლამის გადანაწილება რეგიონულ ტელევიზიებში

რიონი	134,343.66
ოდიში	92,872
თრიალეთი	77,727
დია	73,187
გურჯაანი	63,493

შემოსავლები მოცემულია ლარებში

საქართველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეიტინგებში



2004 წლიდან საქართველო ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელ საერთაშორისო რეიტინგებში მნიშვნელოვნად დაწინაურდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (მე-13 ადგილი) და ბიზნესის კეთების (Doing Business) ინდექსი (მე-16 ადგილი). თუმცა საქართველოს ბიზნესგარემოს ნაკლად რჩება კერძო საკუთრების არასათანადო დაცვა. ეს იმ დროს, როდესაც კარგად დაცული საკუთრების უფლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი (თუ გადამწყვეტი არა) ფაქტორია. იმას, თუ როგორ არის დაცული კერძო საკუთრების უფლება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რამდენიმე საერთაშორისო ორგანი-

ზაცია იკვლევს. კვლევების შედეგად კი ქვეყნების რეიტინგები ქვეყნდება. პირველ რიგში განვიხილავთ საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსს (International Property Rights Index), რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ამერიკული ორგანიზაცია „საკუთრების უფლების ალიანსი“ (Property Rights Alliance). აღნიშნული ინდექსის 2016 წლის რეიტინგში საქართველო 90-ე ადგილს იკავებს. საკუთრების დაცვის დონე მაქსიმუმ 10 ქულით ფასდება. გამოკვლეული 128 ქვეყნიდან საქართველომ 4.6 ქულა მოიპოვა, 4.6 ქულა აქვს ასევე რუსეთს, კენიას, მალის, მალავის, ტანზანიას, უგანდასა და გვატემალას. საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება, ესენია: ქვეყნის სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო, ფიზიკური საკუთრების დაცვა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. საქართველოს ყველაზე ცუდი მდგომარეობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით აქვს - 2.4 ქულა 10-დან და 128 ქვეყანას შორის 125-ე ადგილზეა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთ-ერთი ქვეკომპონენტია

საავტორო უფლებების დაცვა, სადაც საქართველოს 10-დან 1 ქულა აქვს. საავტორო უფლებები 104 ქვეყანაშია შესწავლილი და საქართველოს 102-ე ადგილი უჭირავს. ფიზიკური საკუთრების დაცვის მხრივ საქართველო გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, 5.9 ქულა აქვს და 128 ქვეყანას შორის 55-ე ადგილზეა. ფიზიკური საკუთრების დაცვის შეფასების კრიტერიუმებია: საკუთრების დაცულობა, ქონების რეგისტრაციის სიმარტივე და სესხის ხელმისაწვდომობა. საკუთრების დაცულობაში საქართველოს 5.6 ქულა აქვს და 55-ე ადგილზეა, ქონების რეგისტრაციის სიმარტივეთ მაქსიმალური ქულა - 10 მოიპოვა და პირველ ადგილზეა. ყველაზე ცუდი მდგომარეობა სესხის ხელმისაწვდომობის კუთხით აქვს - 2.3 ქულა და 99-ე ადგილი. სესხის ხელმისაწვდომობა საკუთრების დაცვის პირობად ითვლება, რადგან თუ მესაკუთრეს ფინანსური პრობლემები აქვს და სესხის აღება უჭირს, ქონების გაყიდვა მოუწევს. ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოში საქართველოს 5.4 ქულა აქვს და 128 ქვეყანას შორის 48-ე

ადგილს იკავებს. სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება: სასამართლოს დამოუკიდებლობა, კანონის უზენაესობა, პოლიტიკური სტაბილურობა და კორუფციის კონტროლი. აღნიშნული კრიტერიუმებით შეფასებისას საკუთრების უფლების ალიანსი ძირითადად მსოფლიო ბანკის შესაბამის მონაცემებს ეყრდნობა.

სასამართლოს დამოუკიდებლობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად თავისუფალია სასამართლო მთავრობისა და ბიზნესგუფების გავლენისგან. საქართველოს 5.2 ქულა აქვს და 52-ე ადგილს იკავებს. კანონის უზენაესობა კანონისადმი თანასწორობას, კრიმინალის დონეს, პოლიციის მუშაობის ხარისხსა და სხვა მსგავს საკითხებს მოიცავს. საქართველოს 5.4 ქულა აქვს და 52-ე ადგილზეა. პოლიტიკურ სტაბილურობაში საქართველოს 4.5 ქულა აქვს და მე-80 ადგილზეა. კორუფციის კონტროლში 6.5 ქულით საქართველო 34-ე ადგილზეა.


ინდექსის კომპონენტების განხილვიდან გამომდინარე, რომ საქართველოს 90-ე ადგილს ინტელექტუალური საკუთრების ცუდად დაცვა განაპირობებს და თითქოს, ფიზიკური ქონების დაცვაში, სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოში ნორმალური მდგომარეობაა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეიტინგი მხოლოდ 128 ქვეყანას მოიცავს და მსოფლიოს ყველა ქვეყანას რომ მოიცავდეს, საქართველოს გაცილებით ცუდი პოზიციები ექნებოდა.

პოლიტიკური კუთხით იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ ბოლო წლებში საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს. აღნიშნულ ინდექსში საქართველო პირველად 2010 წელს მოხვდა და 3.7 ქულით 113-ე ადგილი დაიკავა. 2013 წლამდე საქართველოს ქულა 4.2-მდე გაიზარდა, მაგრამ მაინც 113-ე ადგილზე დარჩა. 2014 წლიდან კი პოზიციის გაუმჯობესების ტენდენცია უკვე აშკარაა.

საკუთრების დაცვის საერთაშორისო

საკუთრების დაცვის პროგრესი

საქართველოს საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსში ბოლო წლებში საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს.



ინდექსის რეიტინგში პირველ ადგილს ფინეთი იკავებს 8.4 ქულით. შემდეგ მოდის ახალი ზელანდია, ლუქსემბურგი და ნორვეგია 8.3 ქულით. ყველაზე ცუდად კი კერძო საკუთრება ვენესუელაშია დაცული - ვენესუელა 128-ე ადგილზეა 2.7 ქულით.

საკუთრების დაცვა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევას გავლენიანი შვეიცარიული ორგანიზაცია - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) ახორციელებს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საკუთრების დაცვის დონის განსაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით ხდება: კითხვარი საქართველოში მოქმედ ასობით ბიზნესმენს უშუალოდ ეგზავნება, სადაც მათ უნდა უპასუხონ, თუ რამდენად კარგად არის დაცული ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების უფლება საქართველოში. რესპონდენტები თავიანთ პოზიციას 1-დან 7 ქულამდე შეფასებით გამოხატავენ. 1 - ძალიან ცუდს, 7 კი ძალიან კარგს

ნიშნავს.

2016 წლის (2016 წელი შეფასებულია მარტ-აპრილის მდგომარეობით) კვლევამ 138 ქვეყანა მოიცვა. საქართველომ საკუთრების უფლების დაცვაში 54-ე ადგილი (4.4 ქულა) დაიკავა. ფიზიკური საკუთრების დაცვით საქართველო 43-ე (4.8 ქულა), ხოლო ინტელექტუალური საკუთრების დაცვით 99-ე (3.6 ქულა) პოზიციაზეა. მიუხედავად იმისა, რომ 54-ე ადგილი და 4.4 ქულა კარგად დაცული საკუთრების უფლების დონეს არ შეესაბამება, ბოლო 4 წელიწადში 75 ადგილით დაწინაურება კარგი შედეგია. ფიზიკური საკუთრების დაცვაში საქართველოს პოზიცია 88, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში 27 ადგილით გაუმჯობესდა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2010-2012 წლებში კერძო საკუთრების უფლების დაცვაში საქართველოს პოზიცია უარესდებოდა და რეიტინგის ბოლო ადგილებს უახლოვდებოდა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით კერძო საკუთრება ყველაზე კარგად შეიცავიან და ფინეთშია დაცული (6.5 ქულა 7-დან).

საქართველოს ადგილი მსოფლიოში

საქართველოს პოზიცია კერძო საკუთრების უფლების დაცვაში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით.

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
კერძო საკუთრების უფლების დაცვა	104	116	118	129	124	93	78	54
ფიზიკური საკუთრების	109	120	120	131	120	85	58	43
ქულა	3.5	3.2	3.2	3.1	3.4	3.9	4.3	4.8
ინტელექტუალური საკუთრების	100	97	105	126	124	106	101	99
ქულა	2.8	2.9	2.8	2.6	2.7	3.1	3.3	3.6

შემდეგ მოდიან ლუქსემბურგი, სინგაპური და შვედეთი. ყველაზე ცუდად კი ვენესუელაშია (1.8 ქულა) დაცული. ქვეყანაში კერძო საკუთრების დაცვის საკითხს კიდევ ერთი გავლენიანი ამერიკული ორგანიზაცია - The Heritage Foundation-ი იკვლევს. აღნიშნული ორგანიზაცია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს ყოველწლიურად აქვეყნებს, სადაც ეკონომიკური

თავისუფლების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი საკუთრების უფლების დაცვის დონეა. საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა (100-დან 55.1) სწორედ ამ კრიტერიუმში აქვს და მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მე-13 ადგილზე ვართ, ცალკე აღებულ საკუთრების დაცვაში 77-ე ადგილს (185 ქვეყნიდან) ვიკავებთ. საკუთრების დაცვის შეფასება ქვე-

ყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაანალიზებით ხდება. აკვირდებიან შემდეგ საკითხებს: ფიზიკური ქონების დაცვა, ინტელექტუალური ქონების დაცვა, ინვესტორთა დაცვა, ქონების ექსპროპრიაციის რისკი და მიწის ადმინისტრირების ხარისხი (ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება).

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართვება ყველაზე კარგად სინგაპურშია დაცული (100-დან 97.1 ქულა), შემდეგ მოდის ახალი ზეელანდია (96.1 ქულა), გაერთიანებული სამეფო (93.8 ქულა) და ჰონკონგი (93.7 ქულა). ბოლო ადგილს კი აქაც ვენესუელა იკავებს 6.8 ქულით.

ზემოთ განხილული სამი რეიტინგის შეჯამებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების უკეთ დაცვა საქართველოს ბიზნესგარემოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. ამ მიმართულებით ორი გადაამწყვეტი ნაბიჯია გადასადგმელი: 1. არსებული კანონების უკეთ დაცვა და სასამართლოს ეფექტიანობის ზრდა და 2. საკუთრების უფლების დაცვის მეტი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის შესაძლებლობის თითქმის გაუქმება ან მაქსიმალურად გართულება. **F**

საკუთრების მცველების ათეული

საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსის რეიტინგში პირველ ადგილს ფინეთი იკავებს, ბოლოს კი ვენესუელა.

ქვეყანა	ქულა
1 ფინეთი	8.4
2 ახალი ზელანდია	8.3
3 ლუქსემბურგი	8.3
4 ნორვეგია	8.3
5 შვეიცარია	8.2
6 სინგაპური	8.1
7 შვედეთი	8.1
8 იაპონია	8.1
9 ნიდერლანდები	8.0
10 კანადა	8.0

წყარო: : საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსის 2016 წლის რეიტინგი

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი

FM 102.8

RADIO
BEGINS WITH
US



heretifm.com
tbilisifm.com
relaxwebradio.com



„ჩემპიონთა ლიგა“ - ყველა გამარჯვებულმა



აბა, თითქმის გაილია კიდევ ერთი „ჩემპიონთა ლიგა“, მგონი, რიგით სამოცდამეორე და უთქმელად ხომ არ დავტოვებდით? რამდენიმე დღეც და მრგვალი ბურთის ხმას ტელევიზორიდან სექტემბრამდე ვეღარ გავიგონებთ. კი, მართალია, რომ ზაფხულშიც ზოგიერთი მოუსვენარი გუნდი, მომავალ სეზონში ლიგაზე მოხვედრის იმედად ახმაურდება და საკუთარ პატარა, ხშირად ფეხბურთთან ახლად დამეგობრებულ ქალაქებში მეტოქეს გამეტებით დაუპირისპირდება, მაგრამ აბა, ეგ რა სათქმელია? ფეხბურთი ისაა, აი სულ რამდენიმე დღეში მთელ მსოფლიოს რომ გააგიჟებს და ნერვიულ გულშემატკივრებს ჯერ ტელევიზორთან, ხოლო შემდეგ ვირტუალურ სამყაროში ცქმუტვას დააწყებინებს. მოკლედ, სანამ ფინალი მოსულა, დრო ვიხვლეთოთ და 2016-2017 წლის ჩემპიონთა ლიგას თვალი გადავაგვლოთ.

მგონი, წელს გამართლდა ფრაზა, რომელსაც თითქმის ყველა ჩემპიონატის დროს გავიგონებთ: „ასეთი ჯერ არ ყოფილაო“. ჯერ კიდევ დაუსრულებელი წლევეანდელი ლიგა შარშანდელს ნამდვილად სჯობია. ცხადია, არა მხოლოდ საფეხბურთო ნაწილით, არამედ ციფრებით, რომლებიც მილიონობით დოლარს, ამდენივე გულშემატკივრის გულს და უამრავ სპონსორს ითვლის. მიმდინარე წელს „უეფას“ 282 მილიონი ევრო დაუჯდა „ჩემპიონთა ლიგის“, მისი

პატარა ძმის – „ევროპის ლიგის“ და ამ ორ ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდების ერთმატირანი ზიდიდის, ანუ „უეფას სუპერთასის“ ორგანიზება. აღნიშნული თანხა მთლიანი ბიუჯეტის (€2,35 მილიარდი) მხოლოდ 12%-ს შეადგენს. ეს მოკრძალებული დასაწყისია, ევროში გამოსახული შთამბეჭდავი მაჩვენებლები ახლა იწყება.

მხოლოდ „ჩემპიონთა ლიგის“ საპრიზო ფონდი წელს რეკორდულად დიდ თანხას – 1,31 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც 10%-ით აღემატება 2015-2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (€1,25 მილიარდი). მონაწილე გუნდები ამ ფულს ორი კრიტერიუმით ინაწილებენ :

1) ფიქსირებული ფონდი (€761.9 მლნ) – ამ პორციიდან ფულადი კომპენსაციის მიღება გუნდის ასპარეზობაზე დამოკიდებულია. მარტო ასპარეზობისთვის ოცდათორმეტე გუნდმა 12.7 მლნ ევრო მიიღო. ჯგუფურ ეტაპზე ყოველი გამარჯვება დამატებით €1,5 მლნ ღირდა, ხოლო ფრე 500 000 ევროდ დაფასდა. 1/8 ფინალში მონაწილე გუნდებმა €6 მილიონი მიიღეს, ხოლო 1/4 ფინალში გასვლით €6.5 მილიონი ევრო გამოიმუშავეს. მადრიდის „რეალი“, „იუვენტუსი“, „მონაკო“ და „ატლეტიკო“, ანუ ნახევარფინალისტები დამატებით €7.5 მილიონს გამოიმუშავებენ. ფინალში დამარცხებულს €11 მილიონი შეხვდება, ხოლო გამარჯვებულისთვის €15,5 მილიონი არის გამოყოფილი. საბოლოო ჯამში, ჩემპიონი კლუბი სანუკვარ თასთან ერთად, ჯამურად €54 მილიონიდან 57.2 მილიონამდე მიიღებს მხოლოდ ამ კომპონენტებიდან. მეორე კომპონენტის – ტელეტრანსლაციებიდან მიღებული ფულის ჩათვლით, გამარჯვებული „ჩემპიონთა ლიგიდან“ დაახლოებით 100 მილიონ

ევროს წაიღებს.
2) საბაზრო ფონდი (€507 მილიონი) – გულისხმობს სატელევიზიო ტრანსლაციებიდან მიღებულ თანხებს, რომლებიც მოასპარეზე გუნდის ქვეყანასა და ჩატარებული თამაშების რაოდენობაზე დამოკიდებულია. „დიდი ოთხეულის“ (ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია) წევრი ქვეყნის კლუბები ტრადიციულად ამ ნაწილში ყველაზე მეტ ფულს გამოიმუშავენ. მაგალითისთვის, გასულ წელს, მადრიდის „რეალიმა“ €40.6 მილიონი გამოიმუშავა ამ კომპონენტებიდან, რასაც ფიქსირებული შემოსავალი – €53,4 მლნ დაემატა და ჯამურად €94 მილიონი შეადგინა.

რეკორდულია ტურნირზე მოთამაშე ფეხბურთელების საერთო ღირებულება და ის € 8,28 მილიარდს შეადგენს. კლუბების „ღირებულების“ თვალსაზრისით პირველ ადგილზე მადრიდის „რეალია“, რომლის ფეხბურთელების საბაზრო ფასი ჯამურად €764,8 მილიარდს შეადგენს. თითქმის ანალოგიური მაჩვენებელი აქვს სახლში დროზე ადრე დაბრუნებულ „ბარსელონას“, რომლის ფეხბურთელებიც წელს €756,5 მილიონად არიან შეფასებული. შემდეგ მოდის მიუნხენის „რეკორდმაისტერსი“ (€566 მლნ) მანჩესტერის „სიტი“ (€525 მლნ) და მადრიდის „ატლეტიკო“ (€501 მლნ). მიმდინარე სეზონის ყველაზე „ღარიბი“ გუნდი ქართველი ფეხბურთელის, ვაკო ყაზაიშვილის ვარშავის „ლეგია“ იყო, რომლის ფეხბურთელების საერთო ღირებულებამაც €32,3 მილიონი შეადგინა. ლიგაზე მოასპარეზე ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელების სუთელში ორი ესპანური გრანდის წარმომადგენლები მოხვდნენ, ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:



1) ლეო მესი („ბარსელონა“) - €120 მლნ, 2) კრისტიანო რონალდო („რეალი“) - €100 მლნ, 3) ნეიმარი („ბარსელონა“) - €100 მლნ, 4) გარეტ ბეილი („რეალი“) - €90 მლნ, 5) ლუის სუარესი („ბარსელონა“) - €90 მლნ. ყველაზე „იაფი“ კი „პორტოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველი რუბენ ნევესია, რომლის საბაზრო ფასიც 10 მილიონი ევროა.

ტრადიციულად მრისხანეა ტურნირის სპონსორი კომპანიების ჩამონათვალი. 2016-17 სეზონში მთავარი პარტნიორები შემდეგი კომპანიები არიან: „ფორდი“, „უნიკრედიტი“, „სონი“, „მასტერქარდი“, „ადიდასი“, „ნისანი“, „გაბზრომი“, „პეპსი“ და „ლეისი“. უცვლელი დარჩა წესი, რომ კლუბს მაისურზე მხოლოდ ერთი სპონსორი კომპანიის რეკლამირება შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ქვეყანაში სტუმრად მყოფი გუნდის სპონსორი კომპანიის პროდუქციის რეკლამირება აკრძალულია (მაგალითად, ალკოჰოლის), მაშინ ფეხბურთელებს მოედანზე გასვლა „სუფთა“ მაისურით მოუწევთ. შთამბეჭდავია მაყურებელთა რაოდენობაც. ამ დრომდე ჯამში 5,7 მილიონი ადამიანი დაესწრო ჩემპიონთა ლიგის მატჩს სტადიონზე. პირველ ადგილზე ბარსელონის სტადიონია, თამაშს საშუალოდ 85,8 ათასი ადამიანი ესწრებოდა. დარჩენილი კლუბებიდან კი მადრიდის „რეალი“ ლიდერობს – მის თამაშს ტრიბუნებიდან 75,1 ათასი ქომაგი ადევნებდა თვალს. დასწრების 100%-იანი შედეგი კი მიუნხენის „ბაიერნის“ სტადიონზე დაფიქსირდა, რომელიც 70 ათას ადამიანს იტევს და მთელი სეზონის განმავლობაში იქ არცერთი თავისუფალი ადგილი არ დარჩენილა. პროცენტულად ყველაზე ცოტა გულშემატკივარი ზაგრების „დინამოს“ თამაშებზე

დაფიქსირდა, რაც გასაკვირი სულაც არ არის. წელს ხორვატები ისე საშინლად აგორავებდნენ ბურთს, რომ სტადიონზე ყოფნას სახლში დარჩენა და კარგად გამოძინება სჯობდა. „მაქსიმირის“ არენაზე დაცარიელებული ტრიბუნები ფეხბურთელებმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

დავებუნდეთ ისევ სპორტულ მხარეს. ტრადიცია არც წელს დაირღვა – ინგლისის კლუბებმა კვლავ დროზე ადრე მიაშურეს მშობლიურ ალბიონს. ერთადერთი ნუგეში შარშან მოულოდნელად გამარჯვებული „ლესტერი“ იყო, რომელმაც 1/4 ფინალამდე გმირულად იბრძოლა, თუმცა დიეგო სიმენონეს „ხიტობებს“ ვერაფერი მოუხერხა. შექსპირის ბიჭებმა კიდევ ერთხელ ჩაგვისახეს იმედი, რომ ფეხბურთი ჯერ არ მოკვდარა და მისი თამაში დიდი ფულის გარეშე, უწინდელი შემართებით კვლავ შესაძლებელია. თუნდაც მარტო ამიტომ იმსახურებს „ლესტერი“ ჩვენგან მადლობას, ინგლისელებზე რომ არაფერი ვთქვათ. კარგი დღე არც გერმანულ კლუბებს დაადგათ, იტალიიდან კი თავი ტრადიციულად ტურინის „იუვენტუსმა“ გამოიჩინა, რომელიც ამ სტატიის დაბეჭდვიდან რამდენიმე დღეში „მონაკოს“ დამარცხებას და ფინალში გასვლას შეუცდება. ხო, „მონაკო“ ცალკე აღნიშვნის ღირსია. ბურთის კოხტად გამგორებელი ახალგაზრდები მთელი წელია, გულშემატკივარს ლამაზი ფეხბურთით ანებივრებენ. კილიან მბაპე – ეს სახელი და გვარი კი მოკლე დროში მთელმა მსოფლიომ დაიმასხოვრა. მონაკოელების მთავარი დამრტყმელი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, თუმცა ბევრი მის კოჭებში მომავალ ტიერი ანრის ხედავს. მასთან ერთად გუნდი ნახევარფინალში იტალიელების დამარცხებას და 13 წლის შემდეგ პირველად, ფინალში

გასვლას გეგმავს. ვნახოთ, მოახერხებენ თუ არა მორიგი ამბიციური მიზნის მიღწევას. მეორე მხარეს ესპანელები, უფრო კონკრეტულად კი მადრიდელები გაარკვევენ ურთიერთობას. „ატლეტიკომ“ ბოლო სამ წელიწადში ორჯერ წააგო ლიგის ფინალი „რეალთან“, ამიტომ წელს შესანიშნავი შანსი ეძლევა, სასურველი რევანში რეალობად აქციოს. თავის მხრივ დამატებითი მოტივაცია აქვს ზინედინ ზიდანის გუნდს. ფინალში გასვლისა და ტურნირის მოგების შემთხვევაში, მადრიდის „რეალი“ გახდება პირველი გუნდი, რომელიც „ჩემპიონთა ლიგის“ ტიტულს ზედიზედ ორჯერ მოიგებს. სამეფო კლუბს უპრეცედენტო ისტორიული ფაქტების დაფიქსირება კი ძალიან უყვარს. მაისის პირველ ნახევარში მადრიდში ნამდვილ ესპანურ კორიდას ვიხილავთ. ამ ეტაპზე ჯამში 120 მატჩია ნათამაშები და 365 გოლია გასული. წლეგანდელ წელს ერთ მატჩში საშუალოდ სამი გოლი გადის, ანუ ყოველ 31 წუთში – ერთი გოლი. ბომბარდირი ლეო მესია 11 გოლით, თუმცა მისი გუნდი ჩემპიონატს უკვე გამოეთიშა. დარჩენილი ფეხბურთელებიდან მასთან ყველაზე ახლოს კრისტიანო რონალდოა – 7 გატანილი გოლით. არგენტინელთან სხვაობის შესამცირებლად მას მინიმუმ ორი თამაში აქვს წინ.

ხუთი თამაშიც და წლეგანელ ჩემპიონთა ლიგას ზაფხულის მზის ჩასვლამდე დავემშვიდობებით. ერთი მეგობრული რჩევა მექნება – თუკი რომელიმე დარჩენილ გუნდზე გაგიჟებით არ ხართ შეყვარებული, მაშინ „იუვენტუსს“ უგულშემატკივრეთ. განა მის კარიერას ჩრდილს მიაყენებს, მაგრამ იმსახურებს 39 წლის ჭაღარა ბერკაცი ამ თანის აღმართვას. მოკლედ, წარმატებები ჯანლუჯი ბუფონს. **F**

ამერიკულ-ქართული მსჯელობა განვითარებაზე



2017 წლის 23 მაისს ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭო თავის მეოცე წლიურ კონფერენციას უმასპინძლებს „მარიოტ თბილისში“. კონფერენციაში ტრადიციულად დაგეგმილია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების, ერთობლივი პროექტების მონაწილე ამერიკული და ქართული კომპანიების წარმომადგენლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობა. მაგრამ წლებანდელი კონფერენცია განსხვავებული იქნება იმით, რომ გაიმართება დისკუსია საქართველოს სამეურნეო განვითარების სტრატეგიულ ხედვაზე, რომელმაც შეიძლება ქვეყანა დაჩქარებული ზრდის, უმუშევრობისა და დეპოპულაციის პრობლემების მოგვარების მიმართულებით წაიყვანოს.

საიდუმლო არ არის, რომ უმუშევრობა და დეპოპულაცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემებია, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებად გადაიქცა. საქართველოდან ემიგრაციის

პროცესი 90-იანი წლების დასაწყისიდან გაძლიერდა და დღესაც გრძელდება, რასაც უკვე აქვს სერიოზული შედეგები საქართველოს უსაფრთხოებისთვის. ქვეყანას უმეტესწილად მობილური, ადაპტაციის უნარის მქონე ადამიანები, უფრო ხშირად ახალგაზრდები ტოვებენ, რაც საბჭოთა სისტემით და შემდგომი უმძიმესი გარდამავალი პერიოდით ისედაც საკმაოდ დაზიანებულ „ადამიანურ კაპიტალს“ კიდევ უფრო აკნინებს.

გაეროს 2050 წლისათვის გაკეთებულ პროგნოზებში რეგიონში დეპოპულაციის ტემპებით საქართველო ლიდერობს და ამის მთავარი მიზეზი ემიგრაციაა. ხალხი ქვეყნიდან მიდის უკეთესი ცხოვრების იმედით, ხოლო ვინც რჩება, ბევრ შვილს ვერ აჩენს სოციალური, ეკონომიკური, განათლებისა და სხვა პრობლემების მოუგვარებლობის გამო. მთა და ბარი იცლება იმიტომ, რომ ადამიანებს საქმე არა აქვთ, ვერც თავს ინახავენ, ვერც ოჯახს, განვითარებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მოგვწონს თუ არა, სანამ ადამიანები დაუსაქმებელი იქნებიან, დემოგრაფიული პრობლემა ვერ გადაწყდება. დასაქმების პრობლემების მოგვარებას ინვესტიციები სჭირდება – ქართულიც და უცხოურიც. გლობალურ ეკონომიკურ პროცესში ინტეგრირებისა და უცხოური კაპიტალის გარეშე ახალი სამუშაო ადგილები ვერ შეიქმნება. ამას გარდა, საჭიროა ადამიანური კაპიტალი, პირველ რიგში მენეჯერული კლასი, ვისაც შეუძლია კაპიტალისა და ბიზნეს-დედების სივლცხლისუნარიან საქმიან და სამეწარმეო წარმატებად ქცევა, თანაც

ისე, რომ ქვეყნის ტრადიციული ფასეულობითი სისტემა არ დააზიანოს და დაარღვიოს. ამის მაგალითები საკმაოდ არის მსოფლიოში.

საქართველო ბოლო ათი წელია, ბევრი საერთაშორისო ინდექსის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი და ნაკლებად რეგულირებადი ქვეყანაა საქმიანობისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი ინვესტიციებზე, ახალი, სტაბილური და კარგად ანაზღაურებული სამუშაო ადგილების შექმნაზე რატომღაც ვერ აისახება. ბოლო ათი წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, საქართველოში სამემოსავლო გადასახადების გადამხდელობა რაოდენობა არ იზრდება და შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთ მესამედს არ აღემატება. ეს მონაცემი კორელაციაშია გამოკითხვების შედეგებთან, რომელთა მიხედვით საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი თვლის თავს დასაქმებულად. კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ის იქნება, თუ როგორ უნდა გავამართლოთ ინდექსებში ასახული წარმატება მეტი ინვესტიციის მოპოვებითა და საკმარისი სამუშაო ადგილების შექმნით.

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ სახელმწიფო მთავარი დამსაქმებელიც და მთავარი „ინვესტორიც“. სახელმწიფოს დომინაციის პირობებში კერძო ინიციატივა შეზღუდული და სახელმწიფოზე მიბმული, რასაც ბევრი პრობლემა ახლავს თან. შეზღუდული კერძო ინიციატივის პირობებში არც მენეჯერული კლასი



იქმნება სათანადო ტემპით და არც ინვესტიციები ხორციელდება იმ მასშტაბით, რომ ქვეყანას საკმარისი სამუშაო ადგილები და შესაბამისად, მეტი ზრდა და კეთილდღეობა მოუტანოს. სახელმწიფო აგრძელებს იმის მოლოდინის შექმნას, რომ ის მოაგვარებს ადამიანების პრობლემებს, და ადამიანებიც ელოდებიან იმ დროს, როცა სახელმწიფო მოუგვარებს მათ ამ პრობლემებს. ეს სურათი, ბუნებრივია, უტრირებულია, მაგრამ საქმის არსს საკმაოდ კარგად ასახავს.

სამწუხაროდ, პოლიტიკური კლასისა და მოსახლეობის დიდ ნაწილში ჯერ კიდევ დომინირებს აზრი, რომ შეიძლება არსებობდეს კეთილი სახელმწიფო, ან კეთილი ადამიანი ამ სახელმწიფოს სათავეში, რომელიც ყველა პრობლემას თუ არა, უმეტესობას მაინც მოაგვარებს. მთავარია, სახელმწიფომ გადასახადებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით ისე გადააწილოს სიმდიდრე, რომ ყველამ კარგად იგრძნოს თავი. საქართველოსთანა ღარიბ ქვეყანაში ეს რომ შეუძლებელია, ამაზე, სამწუხაროდ, ბევრი არ საუბრობს. მაგალითად სკანდინავიის სახელმწიფოები მოჰყავთ, რომლებშიც თითქოს ასეთმა სოციალუ-

რი სოლიდარობისა და „გადანაწილების“ მექანიზმებმა შექმნა სიმდიდრე.

სინამდვილეში, სოლიდარობისა და სოციალიზმის იდეების ცხოვრებაში გატარებით გამდიდრებული ღარიბი სახელმწიფოები არ არსებობს. არსებობს უკვე მდიდარი სახელმწიფოების, მაგალითად, შვედეთისა ან ნორვეგიის მხრიდან სოლიდარობის პრინციპების დამკვიდრების მაგალითები. ოღონდ მკითხველს უნდა გაგახსენოთ, რომ შვედეთი ასი წლის განმავლობაში კაპიტალიზმის პირობებში მდიდრდებოდა და ორი მსოფლიო ომის დროს გერმანიის სამხედრო მანქანისთვის რესურსების ერთ-ერთი მთავარი მიწოდებელი იყო, რაც შვედეთის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი გახლდათ. ნორვეგია ევროპის უმდიდრესი ქვეყანაა ნავთობის, გაზისა და ჰიდრორესურსების მიხედვით. მის სიმდიდრეს ეს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პრაგმატული საბაზრო მექანიზმები უდევს საფუძვლად.

იმ ადამიანებს, ვისაც დღეს საქართველოში სოციალისტური, გადანაწილების იდეების აღდგენა სურს, მერაბ მამარდაშვილის ნაშრომიდან ციტატა მინდა შევასენო, რომელიც, მართა-

ლია, საბჭოთა რეალობას ასახავდა, მაგრამ იმ რეალობისგან მენტალიტეტის თვალსაზრისით შორს დღესაც არ ვართ: „დემოკრატია შრომის თავისუფლებაა და არა შრომის აუცილებლობა, როგორც სოციალისტურ და კომუნისტურ უტოპიებშია ფორმულირებული. შრომის თავისუფლება ნიშნავს საქმის გაკეთებას ისე, როგორც ეს თავად ადამიანს სურს... შრომის განადგურება სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანია. სოციალიზმი შრომის მტერია... სოციალიზმი სიღარიბეა, რადგან მხოლოდ შრომას მოაქვს სიმდიდრე. შრომა განადგურებულია, ამიტომ ვართ ღარიბები. თუ არსებობს სურვილი, რომ ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოვიდეთ, უნდა აღდგეს თავისუფალი შრომა. თავისუფალი შრომა – ეს არის სამოქალაქო საზოგადოება“. მე მკონი, ამ ციტატას კომენტარები აღარ სჭირდება.

იმედი გვაქვს, ამ საკითხებზე დისკუსიით, სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებების შეჯერებით ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მე-20 წლიური კონფერენცია ხელს შეუწყობს საქართველოს მომავალი განვითარების ხედვის ჩამოყალიბებას. **F**

საქმე, რომელსაც შედეგი მოაქვს

412 ინფრასტრუქტურული პროექტი; 910 ახალი მცირე ბიზნესი; სულ მცირე 1542 ახალი სამუშაო ადგილი; ერთ ბიზნესზე საშუალო თვიური მოგება - 301 ლარი; სამიზნე ოჯახებში საშუალოდ 25%-ით გაზრდილი შემოსავალი - ასეთია იმ პროგრამის შედეგების მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელსაც „BP საქართველო“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებში ახორციელებს.

ავტორი: ელინა კვანჭილაშვილი
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი



21

ე საუკუნის ბიზნესისა და ეკონომიკის დღის წესრიგი გაჯერებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემით. ყველა მნიშვნელოვან გლობალურ ეკონომიკურ ფორუმზე ეს საკითხი აუცილებლად ხდება განხილვის თემა. ამ განხილვების დროს მთავარი ფოკუსი, როგორც წესი, არის ის, თუ ვისგან უნდა მოდიოდეს სოციალური პასუხისმგებლობის მუხტი: თავად ბიზნესებისგან, რომლებიც დამოუკიდებლად გადაწყვეტენ, რომ მოგების მიღების პროცესი საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვას შეუთავსონ, თუ მთავრობებისგან, რომლებიც ამ მიმართულებით გარკვეულ რეგულაციებს დააწესებენ და ამით აიძულებენ ბიზნესს სოციალურად საპასუხისმგებლო ნაბიჯები გადადგას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიდგომა ამ საკითხის მიმართ ასეთია - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიზნესის კონკურენტული უპირატესობა. ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, რომ ის ბიზნესები, რომელთა ბიზნესმოდელშიც თავიდანვე გათვალისწინებულია სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტი, გაცილებით უფრო სიცოცხლისუნარიანები არიან და სხვა ბიზნესებთან შედარებით, საშუალოდ 30%-ით უფრო სწრაფად იზრდებიან.

რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ სწორად დანახული და განხორციელებული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესს დადებითი რეპუტაციის შექმნაში ეხმარება, რაც ზრდის ნდობას ამ ბიზნესის მიმართ და, შესაბამისად, მისი ეფექტიანობის ზრდის მთავარი საფუძველიც ხდება.

რა შემთხვევაში შეიქმნება დადებითი რეპუტაცია? რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი ბიზნესს ამას მთავრობა ან რეგულაციები კი არ ავალდებულებს, არამედ, როდესაც ეს ბიზნესის თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანია. ბიზნესში კი ყოველთვის ის ადამიანები იგულისხმებიან, ვინც ფლობს და მართავს ამ ბიზნესს.

BP ერთ-ერთი ის კომპანიაა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მისი ბიზნესმოდელის ნაწილი აუცილებლად უნდა იყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. ამ ფონზე, კომპანია BP საქართველოში უკვე ოც წელზე მეტია, ნავთობისა და გაზის სამ - ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიურ მილსადენს ოპერირებს.

FORBES GEORGIA-ს ყურადღება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ერთმა პროგრამამ - ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივამ - მიიპყრო. ამ პროგრამაში 217 სოფელი მონაწილეობს. როგორც „BP საქართველოს“ სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი რუსუდან მემდარიაშვილი განმარტავს, პროგრამას სამი ძირითადი მიმართულება აქვს.

პირველი მიმართულება სათემო ორგანიზაციების გაძლიერებაა. ამ მიმართულების სქემა შემდგენიარად მუშაობს: პროგრამაში მონაწილე სოფლები სათემო ორგანიზაციებს ქმნიან. ეს ორგანიზაციები პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შედეგად, პროექტებს წერენ. პროექტებს სპეციალური კომისია არჩევს, რომლის შემადგენლობაშიც თავად BP არ არის. საუკეთესო პროექტი თავისუფალი კონკურენციის პირობებში ირჩევა,

„გამარჯვებული სათემო ორგანიზაცია ფინანსდება და პროექტს, ცხადია, მეთვალყურეობის ქვეშ, უკვე დამოუკიდებლად უძღვება. ერთ-ერთი მთავარი პირობა პროექტში თემის კონტრიბუციაა, რაც დროის, მასალის, მონეტარული თუ სხვა სახის თანამონაწილეობით გამოიხატება. „დაინტერესებული თემის კონტრიბუცია, მინიმუმ, 30% უნდა იყოს, რადგან, როდესაც გამარჯვებული საკუთარი რესურსებით მონაწილეობს, საქმის შენარჩუნებისა და წარმატების ინტერესი უფრო დიდია, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ფულს საჩუქრად მიიღებს“, - გვიხსნის რუსუდან მემდარიაშვილი. BP-ის მიერ წარმოებული დეტალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ფარგლებში 412 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული პროექტების ეკონომიკურმა უკუგებამ, სულ მცირე, 1 471 100 ლარი შეადგინა.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მეორე მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა: ამ კომპონენტის ფარგლებში ძირითადად სადემონსტრაციო ფერმები ყალიბდება, სადაც დაინტერესებული ფერმერების სწავლება, მათთვის ახალი მეთოდოლოგიის ან კულტურის გაცნობა მიმდინარეობს. დეტალური სტატისტიკა გვეუბნება, რომ ამ დრომდე უკვე მოწყობილია 507 სადემონსტრაციო ნაკვეთი, შექმნილია 28 სათესლე-სანერგე მეურნეობა, ტრენინგებსა თუ კონსულტაციებში კი, სულ მცირე, 3421 ფერმერი ჩაება. „ამ ტრენინგების შედეგად მიღებულ ცოდნას ერთი ფერმერი მეორეს გადასცემს და ასე ხდება ცოდნის გაგრძელება“, - გვიხსნის რუსუდან მემდარიაშვილი.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე მიმართულება მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა: აქაც იგივე სქემა მუშაობს, რაც პირველი მიმართულების - სათემო ორგანიზაციების გაძლიერების შემთხვევაში. წარმატებულ ბიზნესპროექტს დამოუკიდებელი კომისია აფასებს და კონკურენციის პირობებში გამარჯვებული დაფინანსებას იღებს. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ გამარჯვებულმა თავისი კონტრიბუცია შეიტანოს პროექტის წარმატებაში - იქნება ეს ფულადი, ძირითადი საშუალებებისა თუ სხვა რესურსების სახით.

ერთი, რაც BP-ის სხვა მსგავსი სტრატეგიის მქონე კომპანიებისგან მკვეთრად გამოარჩევს, ის არის, რომ გრანტის გაცემის შემდეგ კომპანია პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე გამარჯვებულ მცირე ბიზნესს მონიტორინგს უწევს და სუსტი მხარეების გამოვლენისთანავე, ტრენინგებს ან კონსულტაციებს სთავაზობს. ამით პრაქტიკულად იხსნება მცირე ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული მთავარი რისკი, რომ ის შეიძლება სიცოცხლისუნარი აღმოჩნდეს.

ისევ სტატისტიკას შევხედოთ: შექმნილი მცირე ბიზნესების რაოდენობა - 910; სულ მცირე, 1542 შექმნილი სამუშაო ადგილი; ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიზნესების მიერ გაწეული, სულ მცირე, 146 721 სერვისი; ბიზნესების ჯამური შემოსავალი - სულ მცირე, 3 016 913 ლარი; ერთ ბიზნესზე საშუალო თვიური მოგება - 301 ლარი; სულ მცირე, 119 ბიზნესი, რომლებმაც შექმნეს უნიკალური



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიაში ცხოვრობს და ბიზნესს აწარმოებს. „წარმატების არ მჯეროდა, - იხსენებს გია აბაშიძე. - მეშინოდა, რომ ჩემი პროექტი ვერ გაიმარჯვებდა. როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ გრანტი მოვიგე, ძალიან გამიხარდა. ჯერ ერთი, ჩემს ოჯახს ბუნებრივი თაფლით უზრუნველყოფდა და მეორეც - თაფლს გავყიდი და წელიწადში დამატებით, 3 ათასი ლარის შემოსავალი გამიჩინდება“.

კიდევ ერთი ბენეფიციარი - ანა ილურიძე - გორში, საზღვრისპირა სოფელ ქსოვრისში ცხოვრობს. BP-ის პროგრამამ მას შესაძლებლობა მისცა, თავისივე სოფელში მოეწყო სილამაზის სალონი, მით უმეტეს, რომ ასეთი სერვისი მანამდე სოფელს საერთოდ არ ჰქონდა. ანას შედეგები ბიზნესგეგმამ გაიმარჯვა, რის შემდეგაც ანა ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მისი ბიზნესპროექტი 2000 ლარით დაფინანსდა. „პატარა სალონის პატარა ისტორია“ - ამ სათაურით სტატია ანას ბიზნესის შესახებ ადგილობრივ მედიაში უკვე დაიბეჭდა. „იმის ილუზია ნურავის ექნება, რომ ამ პროექტით გამდიდრდება. მაგრამ ეს დიდი შეღავათია მცირე-შემოსავლიანი ოჯახებისთვის“, - ამბობს ანა.

„BP საქართველოს“ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროგრამის კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი, რომლითაც კომპანია ამყობს, სამიზნე სოფლებში მეწარმე ქალების ხელშეწყობაა. მათი რაოდენობა დღეს უკვე 239-ს ითვისებს. მათ შორისაა ნანა გურგენიძე მესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტოთუბნიდან, რომელსაც ჩიტილები გამოჰყავს. თავის დროზე სტატია მასზეც დაიწერა ქუთაისის გაზეთ P.S.-ში.

„ბედნიერი ვარ, რომ საკუთარი ბიზნესის დაწყების საშუალება მომეცა, - ამბობს ნანა გურგენიძე. - ბიზნესგეგმის დაწერა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება ადვილი საქმე ნამდვილად არ იყო, თუმცა პროექტი ამ უნარების დახვეწაში ძალიან დამეხმარა. მე ეს შევძელი, კონკურსში გავიმარჯვე. სათბურს თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვამუშავებ. ის ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სტაბილური შემოსავლის წყაროდ იქცა“.

ვინც კონკურსში გამარჯვებას ვერ ახერხებს, მათ მიზნების დეტალური განმარტება ეძლევათ იმისთვის, რომ ყურადღება კონკრეტული მიმართულებებით გაამახვილონ, როდესაც ტრენინგებსა და კონსულტაციებში ჩაერთვებიან და მომდევნო ეტაპზე უფრო დახვეწილი, კონკურენტული ბიზნესგეგმა შესთავაზონ დონორს.

„BP საქართველოს“ პროგრამას ამ ეტაპზე სამი პარტნიორი ჰყავს: კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, რეგიონული განვითარების ასოციაცია და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“. „თავდაპირველად, 2003 წელს, როცა პროგრამა დაიწყო, ორ უცხოურ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობდით, მაგრამ შემდეგ საქართველოში არასამთავრობო სექტორი განვითარდა და გადაწყვიტეთ, უცხოური კომპანიები ადგილობრივებით

სერვისები ან/და წარმოება, რაც ერთადერთი სოფელში, თემში თუ რეგიონში.

ამ პროექტის სამივე მიმართულების ერთი მთავარი ამოცანა სამიზნე ოჯახებში შემოსავლის ზრდაა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ მათი საშუალო შემოსავალი 25%-ით არის გაზრდილი.

„ძალიან კმაყოფილი ვარ“, - ამბობს გვეონდ პოლოსიანი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სხვილისიდან, რომელმაც პროგრამის ფარგლებში საჭირო ხელსაწყოები შეიძინა. მასზე ადგილობრივი გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ ჯერ კიდევ ორი წლის წინ წერდა. გვეონდი ხელოსანია და ტექნიკის შეკეთების გარდა, ახალი დანადგარების გამოგონება შეუძლია - რამდენიმე მისამართის ერთმანეთთან დაკავშირება, რითაც ერთის ნაცვლად ორ ოპერაციას შეასრულებს და ამით დროსა და ფულს დაზოგავს.

„სახელსონო დანადგარები მჭირდებოდა, რაც ჩემი საქმისათვის აუცილებელია: საჭრელები, შედუღების აპარატი, რკინის გასაპირიალებელი მოწყობილობა და ა.შ. აღნიშნული დანადგარებიდან ნაწილი მექონდა, მაგრამ ძველი და უხარისხო იყო. დაფინანსების შემდეგ ყველაფერი ახალი შევიძინე. ადრე არ მექონდა ასეთი საჭრელები, ახლა მიაღვიღებდა რკინის გაჭრა - იოლად, სწრაფად და ხარისხიანად ვაკეთებ საქმეს. ამ ეტაპზე მაქვს გაკეთებული კარტოილის ამოსაღები, რომლის მსგავსი ქვეყნის მასშტაბით, ვფიქრობ, არ არსებობს. ჩემი წილი 1,300 ლარი იყო, 2 600-ით კი პროგრამამ დამაფინანსა“, - ამბობს გვეონდ პოლოსიანი.

„BP საქართველოს“ პროგრამამ მეფუტკრეობისთვის გაუხსნა გზა კიდევ ერთ ბენეფიციარს, გია აბაშიძეს, რომელიც დღეს

ჩაგვენაცვლებინა, რამაც გაამართლა. კომპანიაშიც ძირითადად ადგილობრივი კადრები გვყავს დასაქმებული”, - ამბობს რუსუდანი მექმარიაშვილი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სახელმწიფოს მიერ აღიარებული ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომელმაც თვითდასაქმებულთა არმიას უნდა შეაღწიოს, ისინი ფორმალური დასაქმების ველში შეიყვანოს და ამით ქვეყნის ეკონომიკის ზრდას ხელი შეუწყოს. სწორედ ამიტომ Forbes Georgia-მ გადაწყვიტა, უფრო დეტალურად სწორედ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მოეძია ინფორმაცია. ინტერვიუსთვის ამ პროგრამის ყველაზე აქტიური პირს - პროგრამის მრჩეველს, ქალბატონ ეთერ კვირიკაშვილს მივაკითხეთ.

საუბრის დაწყებისთანავე მივხვდი, რომ პროგრამის ყველა დეტალი ზედმიწევნით აქვს გათვლილი. ყველა მოსაზრებას სტატისტიკით ან სხვა ქვეყნების გამოცდილებით ამყარებს. ჩემს კითხვებს ყურადღებით ისმენს, შემდეგ ცდილობს, ბოლომდე დამანახოს, თუ რა მნიშვნელოვანია ამ პროგრამის არსებობა სოფლებისთვის. პერიოდულად ჩერდება და მეკითხება, საუბრით ხომ არ დამღალა. მეც უარს ნიშნად თავს ვუქნევ და ჩვენი ინტერვიუ ისევ დინამიკურად გრძელდება.

სწორედ მისგან ვიგებთ, რომ სამიზნე სოფლებში გრანტები როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის ხელშეწყობას ემსახურება. სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში ძირითადად მეფუტკრეობა, სასაბურვე მეურნეობები, მეფრინველეობა, მეცხოველეობაში რძის პროდუქციულობის გაზრდა შედის. რაც შეეხება არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესს, ამ მხრივ ჭარბობს სიღამაზის სალონები, მარცვლეულის საფქვალები, მაღაზიები, სამკერვალოები, ავტოსახელოსნოები და ა.შ. „პროგრამა რომ დავიწყეთ, ეს მომსახურებები, რაც ჩამოვთვალე, თითქმის არც ერთ სოფელში არ იყო”, - ამბობს ეთერ კვირიკაშვილი.

როგორც ირკვევა, ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოპოვება თავიდან არც ისე ადვილი იყო. დღეს უკვე ვითარება მკვეთრად უკეთესობისკენ არის შეცვლილი, თუმცა თავიდან, როდესაც პროგრამის გეგმებს სამიზნე სოფლების მოსახლეობას აცნობდნენ, ადგილობრივები დიდად არ გვენდობოდნენ - არ სჯეროდათ, რომ ბიზნესკომპანია, რომლის მთავარი მიზანი მოგების მიღება იყო, მათ საკეთილდღეოდ დროსა და ენერჯიას დახარჯავდა.

„ყველაზე რთული სოფლის მოსახლეობის მიდგომების შეცვლაა”, - ამბობს ეთერ კვირიკაშვილი. - ვცდილობთ, მოსახლეობას გავაცნოთ ახალი ტექნოლოგიები, ახალი პროდუქტები. ინოვაციების შიში ზოგადად არსებობს და ამას ბევრი მიზეზი აქვს, რაზე საუბარაც შორს წავიყვანს. თუმცა ამ შიშმა არ უნდა შეაჩეროს განვითარება. ეს არის ჩვენი პროგრამის მთავარი მიზანი”.

ამ მიზნის მისაღწევად კი ეთერ კვირიკაშვილი მთავარ წინაპირობად სამიზნე თემებში განვითარების სურვილის არსებობას ასახელებს. „სწორედ ამიტომ ვხარჯავთ ბევრს და ყველა მიმართულების დეტალურ და უწყვეტ მონიტორინგს ვაწარმოებთ. ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელმაც იცის, როგორ იმუშაოს თემთან”, - ამბობს ეთერ კვირიკაშვილი და ამ საკმაოდ ამბიციურ განცხა-

დებას განმარტებასაც აყოლებს. მისი თქმით, მთავარია, თემი იმ აზრს შეეჩვიოს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ დამოუკიდებლად მოუწევს საქმიანობის გაგრძელება და მუდმივად გრანტის იმედად ვერ იქნება: „სწორედ ამიტომ ტრენინგებსა და კონსულტაციებზე გაცილებით მეტს ვხარჯავთ. ეს ამ კომპანიის ძალიან სწორი მიდგომაა”.

მიდგომა, როგორც ჩანს, მუშაობს: ორი წლის წინ, ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მცხოვრებმა ოცდაექვსმა ოჯახმა სახელმწიფოს დახმარებაზე, რომელიც უსახსრო ოჯახებისთვის არის განკუთვნილი, უარი განაცხადა. მათ თქვეს, რომ დარეგისტრირდებიან და ბიზნესს დაიწყებენ, რადგან სოციალურად სხვა სტატუსში გადასვლა სურთ.

პოზიტიური მაგალითების მიუხედავად, ეთერ კვირიკაშვილი შორს არის იმ აზრისგან, რომ „BP საქართველოს” დაფარვის არეალში მყოფი 217 სოფლის წარმატებას მთელ ქვეყანაში ამინდის შეცვლა შეუძლია, თუმცა ფაქტია, რომ „BP საქართველოს” მიერ შემუშავებული მცირე ბიზნესების ხელშეწყობის სქემა ხელისუფლებისთვის შთაგონების წყარო გახდა: როცა მცირე ბიზნესების გასაცნობად მთავრობის წარმომადგენლები ახალციხის რაიონში ჩავიდნენ, სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ მიკრო- და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამას (5000-ლარიანი გრანტების ფარგლებში) სახელმწიფოც დაიწყებდა. „მეთოდოლოგიური ნაწილი გავუზიარეთ: როგორ ხდება საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, მონაწილეობის მსურველთა სწავლება, პროექტის დაწერა, შერჩევა და გამყარება. ჩვენი პროგრამისა და ეკონომიკის სამინისტროს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა: მთავარია, მინიმუმამდე დავიდეს წაგებიანი პროექტების რაოდენობა”, - გვისსწის ეთერ კვირიკაშვილი. დღეის მონაცემებით, „BP საქართველოს” პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების 75% სიცოცხლისუნარიანია.

„BP საქართველოს” მცირე ბიზნესების ხელშეწყობის პროექტმა ჯერ დავოსში გამართულ ბოლო ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს პრემიერის, შემდეგ კი BP-ის მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელის, ბობ დადლის დადებითი შეფასება დაიმსახურა. ამ აღიარების საფუძველი უტყუარი ფაქტები გახდა: მას შემდეგ, რაც პროგრამამ ძალა მოიკრიბა, არატექნიკური რისკები პრაქტიკულად შემცირდა. „ბრენდისა და მისი ღირებულების, რეპუტაციის დასადგენად ეს საუკეთესო საზომია”, - ამბობს ეთერ კვირიკაშვილი, რომელიც უკვე 14 წელია, ამ პროგრამაშია ჩართული. მისი თქმით, პროგრამის ხანგრძლივობა კიდევ ერთი უპირატესობაა იმისთვის, რომ ნდობის არა მხოლოდ მოპოვება, არამედ შემდეგ მისი განმტკიცებაც მოხერხდეს.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა სამი ქვეყნის - აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ერთიანი, სოციალური ინვესტირების სტრატეგიის ნაწილია. 2016 წლის ბოლოს ახალი სტრატეგია შემუშავდა. გარკვეულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ, თუმცა - არარადიკალურს - ასეთია „BP-საქართველოს” ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი პროგრამის ხელმძღვანელების დაპირება. **F**



ღრუბლები ექსპორტიორი

მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის 80% ჩაანაცვლა, ქართული ღრუბლები ევროპულ ბაზრებს იპყრობს. აზერბაიჯანის შემდეგ „დენოლას“ ნაწარმი გერმანიაში შევიდა.

ავტორი: ხათუნა ხვიციანიძე
ფოტო: ჯაბა ჩიტიძე



ღობათ ბევრმა ჯერ არ იცის, ბევრისთვის კი რთული წარმოსადგენია, რომ ისეთ ინდუსტრიულ ქვეყანაში, როგორც გერმანიაა, რბილი ავეჯის, მატრასებისა და ზამბარების დასამზადებელ ნედლეულად ქართული წარმოების პარალონსა და პოლიურეთანს, ვგრეთ წოდებულ ღრუბელს, იყენებენ. მზა პროდუქტს კი ბევრ სხვა ქვეყანასთან ერთად ალბათ საქართველოშიც გზავნიან, მაგრამ უკვე გერმანული სამარკო ნიშნით.

როგორ აიჭრა ქართული ღრუბელი ევროპის ცაში? იდეა სამი წლის წინ გაჩნდა. მიზანი ქართული ბაზრის შესწავლის საფუძველზე ჩაისახა და დაიწყო იმის ძიება, რის წარმოებაც საქართველოში არ არსებობდა. ძველმა ანდამამ აქაც გაამართლა – მძებნელმა ამჯერადაც იპოვა. არჩევანი პარალონსა და პოლიურეთანზე, ვგრეთ წოდებულ ღრუბელზე გაკეთდა.

დასაწყისში ორი პარნიორის იდეა – მესამემ ტექნოლოგიურად გამართა, სამარკო ნიშნად ქალის ძველი ქართული სახელი „დენოლა“ შეირჩა და საწარმოს მშენებლობაც დაიწყო.

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, ავჭალაში, ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დაწყებული მშენებლობა მალე წარმოებად იქცა. სამშენებლო ტექნიკის ხმა დაბგების გუგუნმა ჩანაცვალა, მშენებლები – მუშახელმა და პრაქტიკაში პირველი ცდაც მალევე შედგა: „დენოლამ“ მიწაზე ღრუბლების შექმნა დაიწყო.

პირველი რბილი ავეჯი იყო, ბოლო – ჭურჭლის სარეცხი ღრუბელია, რომლის წარმოება ჯერ მხოლოდ ორ თვეს ითვლის, თუმცა ქართული ბაზრის 30 პროცენტი უკვე მისია.

„ჩვენი მთავარი მიზანი იმპორტის ჩანაცვლება იყო და პირველი ნაბიჯები სწორედ ამ მიმართულებით გადავდგი“, – ამბობს ლევან ჭიორელი, კომპანიის 41 წლის თანადამფუძნებელი – ბიზნესმენი, რომელიც „დენოლამდე“ 20-წლიანი ბიზნესგამოცდილებით მოვიდა. განათლებით ჰიდრომშენებელს საკუთარი პროფესიით არასდროს უმუშავია, ბიზნესში კი ბედი ბევრი მიმართულებით სცადა და ცოტაში არ გაუმართლა. ლევან ჭიორელის გამართლებების ჩამონათვალში მთავარ ადგილს ახლა „დენოლა“ იკავებს.

„დენოლას“ კი თურმე ჯერ კიდევ ათი წლის

წინ, მაშინ გამართლებია, როცა მისი დამფუძნებლებისა და „საქართველოს ბანკის“ გზები გადაკვეთილა.

„ნებისმიერ ახალ პროექტს პირველ რიგში „საქართველოს ბანკთან“ განვიხილავთ და ქმედებებს მათი რეკომენდაციების შემდეგ ვიწყებთ“, – ამბობს ლევან ჭიორელი და გვიყვება, რომ „დენოლას“ შემთხვევაშიც ასე მოხდა და ათწლიანმა გამოცდილებამ აქაც გაამართლა.

მცირე მასშტაბებით საცდელად დაწყებულ საქმეს გაფართოებაში სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და მის ფარგლებში „საქართველოს ბანკის“ მიერ გაცემული სესხი დაეხმარა.

„საქართველოს ბანკი“ ინოვაციური პროექტების ხელშეწყობაში რომ ერთ-ერთი ლიდერი და სახელმწიფო პროგრამების აქტიური მონაწილეა, ეს არასხალია. ბანკს „აწარმოე საქართველო“ ფარგლებში არაერთი საინტერესო პროექტი აქვს დაფინანსებული და ცხადია, უარი არც დიდი ხნის პარტნიორებს უთხრა.

„დენოლას“ პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 4,800,800 ლარს შეადგენს, დაფინანსების უდიდესი ნაწილი – \$2,000,000 – ბანკმა თავის თავზე აიღო და თანამშრომლობა კიდევ ერთხელ შედგა.

„საქართველოს ბანკისთვის“ მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს ისეთი ტიპის წარმოებებს, რაც ინოვაციურია საქართველოსთვის, რაც უზრუნველყოფს იმპორტის ჩანაცვლებას, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას და ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღებას“, – ამბობს Forbes Georgia-სთან საუბრისას „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების ხელმძღვანელი ვასილ ხოდელი.

სტარტაპ-პროექტებისთვის დაფინანსების გაცემა რომ გარკვეულ რისკებს შეიცავს, ეს ბანკისთვის ცნობილია, თუმცა ამ რისკების სწორად შეფასებამ და „დენოლას“ დამფუძნებლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ ნეგატიური მოლოდინები მინიმუმამდე დაიყვანა. „საქართველოს ბანკი“ ღრუბლების საწარმოო პროცესში „დენოლას“ პარტნიორი კიდევ ერთხელ გახდა.

„გარდა იმისა, რომ თითოეულ დაფინანსებულ პროექტს თავისი ფინანსური უკუგება



აქვს, კიდევ რამდენიმე მახასიათებლის გათვალისწინებაა საჭირო: მათ შორის მთავარი და უფრო მასშტაბური ეფექტის, რაც საზოგადოებისა და ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური კეთილდღეობის გაზრდას გულისხმობს, - ამბობს ვასილ ხოდელი.

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებამდე, ნულიდან დაწყებულ საქმეს ნულები ახლა ბოლოში აქვს, თან არცთუ ისე ცოტა. „დენოლას“ საბაზრო ღირებულება სამი წლის თავზე 20%-ით გაიზარდა, საწარმოს წლიური ბრუნვა კი უკვე 10 მილიონს აღწევს.

„დენოლას“ საწარმოში ქართული ღრუბლების შექმნაზე ახლა 100 ადამიანი ზრუნავს. მათ თვეში 3000 კუბამდე პარალონისა და პოლიუ-

რეთანის დამზადება და ღრუბლების შეკვეთების მიხედვით დაჭრა, დახარისხება და სადისტრიბუციოდ გამზადება უწევთ და „ღრუბელი უკვე შენს ხელშია“ - ჩემი რესპონდენტი მიმხელს, რომ თვიური ნავაჭრი ნახევარ მილიონ ლარს აღემატება, თუმცა წლის ბოლომდე მილიონამდე ავა.

ციფრები იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ნაწარმი ქართულმა ბაზარმა მიიღო და მოიწონა. „დენოლას“ გამოჩენამდე ქვეყანაში 10 მილიონის იმპორტირებული პარალონი შემოდიოდა, „დენოლამ“ კი ადგილობრივი ბაზრის 80% უკვე სრულად აითვისა და საუკეთესო ხარისხითა და მომხიბლავი ფასით იმპორტირებული ღრუბელი წარმატებით ჩაანაცვლა.



„ქვეყანაში ქართული ნაწარმის უნდობლობის ეტაპი ჩავლილია, წარსულში დარჩა შეფასებაც, რომ ქართული უხარისხოდ კეთდებოდა. შედეგად კი ის ფეხს იკიდებს როგორც ადგილობრივ, ისე დაშვებულ საექსპორტო ბაზრებზე“, – ამბობს „დენოლას“ დამფუძნებელი, რომელსაც, მართალია, ადგილობრივ მწარმოებლებში კონკურენტი არ ჰყავს, მაგრამ უკონკურენტო მაინც არაა. „დენოლა“ რუსული, თურქული და ყაზახური პროდუქციის სრულად ჩანაცვლებას სწორი საფასო პოლიტიკით, მაღალი ხარისხით, შეკვეთა-მიწოდების ვადების შემცირებითა და მოხილურობის გაზრდით აპირებს.

„დენოლას“ ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი მალე ყველა დახლებზე გაჩნდება, პოტენციურ კლიენტს არჩევანისას უნდა ახსოვდეს, რომ აირჩიოს ქართული“, – ასეთია ქართული ღრუბლების პირველი მწარმოებლისა და ექსპორტიორის სურვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სხვა „მოძმეების“ მსგავსად მალე ბოლო ნაწარმსაც შეფუთავენ და საექსპორტო გზას გაუყენებენ. **F**



IN TRUMP THEY TRUST




სპორტი: დენ ალექსანდერი

აქამდე ნაკლებად ცნობი-
ლი მილიარდერებისა და
ბოგოლების წყება მთელი
მსოფლიოდან უცებ უკრეცე-
დნებო კოზინიაში აღმოჩნ-
და: როგორ უნდა ისარგებ-
ლო ამერიკის შეერთებული
შტატების კრეზიდენტთან
პარტნიორობით? ხარბი
დიღერებით დაწყებული,
მიტოვებული გარიგებებით
დამთავრებული, გაიცანით
36 მინი-ტრაპი.



IN TRUMP THEY TRUST



ერთი ღამით

ადრე, ვიდრე დონალდ ჯ. ტრამპი შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდებოდა, მისმა ახლად გახსნილმა Trump International Hotel-მა ვაშინგტონში დედაქალაქის დე ფაქტო წმიდათაწმიდა სახიზნავის ფუნქცია ითავა. იქაურობა ბარიკადების ალყაში იყო. ოთახი ან ჯავშანი თუ არ გქონდა, ბედის ამარა იყავი დარჩენილი.

როგორც ნებისმიერ კლუბს შეშვენის, აქაც ერთგვარად იდუმალ წრეზე ისხდნენ ექსკლუზიური ადამიანები. მათი დანახვა იოლი იყო. ერთ-ერთი მათგანი „დონ პერინონის“ ბოთლებით სავსე და ამერიკის გიგანტური დროშით შეფუთულ ვესტიბულის ბარს მიუახლოვდა. მეორე - ტრამპის ინდონეზიელი ბიზნესპარტნიორი, მილიარდერი ჰარი ტანოესოედიბოჯო პლუშის ტახტზე იჯდა და ტრამპის დუბაიელ პარტნიორს, ჰუსაინ საჯვანის სწერდა მესიჯებს; რაღაც მომენტში ნახეს კიდევ ერთმანეთი, მოგვიანებით კი ტანოესოედიბოჯომ Instagram-ზე ფოტო დადო: თავად, საჯვანი და მათი ცოლები Trump International Hotel-ის ვესტიბულში კამერასთან პოზირებენ.

ზემოთა სართულზე ტრამპის მილიარდერმა პარტნიორმა ლას-ვეგასში, ფილ რაფინმა \$18,000-იანი აპარტამენტი აიღო. საპრეზიდენტო ნომერი, რაფინის თქმით, არჩეული პრეზიდენტისთვის იყო დაჯავშნილი. როცა მოგვიანებით ტრამპთან ფასზე დაიწუწუნა, პრეზიდენტმა დაიმორცხვა. რაფინს, შესაძლოა, ეს ფული დასჭირდეს: მისი ცოლი, ყოფილი „მის უკრაინა“ ოლეკსანდრა აშკარად კარგად შეეწყო საჯვანის ცოლს; ქალბატონები

ძვირად ღირებული სამკაულების სიყვარულმა დააახლოვა.

ასე იყო თუ ისე, პარტნიორთა ამ ჯგუფის, სულ ცოტა, 14 წარმომადგენელი თურქეთიდან, ინდოეთიდან, ფილიპინებიდან და მსოფლიოს სხვა კუთხეებიდან, ინაუგურაციის საზეიმო ღონისძიებებს დაესწრო.

„ხალხი პარტნიორებზე ისე ლაპარაკობს, თითქოს შეუძლებელია, ეს ადამიანები მეგობრებზე იყვნენ, თითქოს ორი ურთიერთგამომრიცხავი რამაა. თუ პარტნიორი ხარ, მეგობარი ვერ იქნები და თუ მეგობარი ხარ, მაშინ პარტნიორი არ ხარ, - ამბობს ერიკ ტრამპი, პრეზიდენტის ვაჟი და Trump Organization-ის თანამმართველი, რომელიც ძმასთან, დონ უმცროსთან ერთად, ახლა ამ გლობალური ქსელის სათავეშია. - ჩემი აზრით, ეს არასწორი მიდგომაა“.

ყველა ეს მეგობარი, ახალი თუ ძვე-

ლი, რომელთაც გასაოცარი ოდენობის ძალაუფლება და ფული გამოარჩევთ, ნამდვილად ვერ ქმნიან კარგ რეცეპტს რვასაათიანი ძილისთვის. ჯუ კიმ ტია, მალაიზიელი მემკვიდრე, რომელიც ვანკუვერში მალე Trump-ის ცათამბჯენს გახსნის, უკმაყოფილებას გამოთქვამს: „იცით, ხალხო, რომელი საათია?“

„ვწუხვარ, მისტერ ტია. მუსიკას ვერ გამოვრთავთ, - პასუხობენ სასტუმროს ადმინისტრაციაში. - ასეთი რამეები ცხოვრებაში ერთხელ ხდება“.

მართალია. არც ერთ ამერიკელ პრეზიდენტს არ ჰქონია ასეთი უშველებელი და ჩახლართული აქტივები. არც ამდენი მდიდარი პარტნიორისთვის მოუყრია თავი, რომლებიც, უწინდელი გარიგებებისა და ბრენდთან ასოცირების წყალობით, რეალურ დროში, პრეზიდენტის მმართველობის კვალდაკვალ, მოგებების მოხვეჭაზე არიან ორიენტირებულნი.

უკეთ რომ გაგვეგო, რას წარმოადგენს ეს გლობალური ქსელი, Forbes-მა ამ 36-დან თითოეული პარტნიორის სამზარეულოს სიღრმეში შეიხედა, ხუთ ქვეყანაში იმოგზაურა და ათზე მეტთან ინტერვიუ ჩაწერა. პროცესში შემდეგი აღმოჩენები გაგაკეთეთ:

- **პოტენციური ბიზნესპარტნიორი** რუსეთიდან ამბობს, რომ სულ რაღაც იანვარში, მას მიმოწერა ჰქონდა ტრამპის ოჯახთან.
- **რაფინი და Trump Organization-ი** ლას-ვეგასში კაზინოს გახსნას განიხილავენ, რაც, სავარაუდოდ, ფედერალურ დონეზე მხარდაჭერილი პროექტით - ლოს-ანჯელესთან დამაკავშირებელი ჩქაროსნული მატარებლის ლიანდაგების გაყვანით არის შეგულიანებული, თანაც, რაფინი ამბობს, რომ ამ საკითხზე თავად პრეზიდენტთან იმსჯელა.
- **ტრამპის პარტნიორს ინდონეზიაში**, ჰარი ტანოესოედიბოჯოს განზრახული აქვს, ტრამპის რეცეპტების წიგნს დაესესხოს და ათ წელიწადში მსოფლიოს მეოთხე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს... თანაც,

ტრამპის ქსელი, სულ მცირე, 19 ქვეყანასა მოდებულს. და ამ კაცებს (ჰომ, ყველანი კაცები არიან) გარკვეული თვისებები აერთიანებთ.

ამას წინათ, ბრალი წაუყენეს სავარაუდო კრიმინალურ სქემაში ნათამაშები როლის გამო, სქემა კი ინდონეზიის მთავრობის მაღალჩინოსნისთვის მკვლელობის დაბრალებას გულისხმობდა.

• ტრამპის დამოკიდებულება

მუსლიმთა მიმართ გარკვეულწილად მის თურქ პარტნიორებში სავგარეულო შუღლის პროვოცირება მოახდინა.

თუმცა ყველაზე საინტერესო ინფორმაცია ალბათ მთლიან სურათში იჩენს თავს. ტრამპის ქსელი, სულ მცირე, 19 ქვეყანასაა მოდებული. და ამ კაცებს (ჰო, ყველანი კაცები არიან) გარკვეული კონსისტენციური თვისებები აერთიანებთ, უძრავი ქონების დეველოპერობის კვალობაზე კი. ეს ცალსახად მდიდარი ჯგუფია: შვიდი მათგანი Forbes-ის მილიარდერთა რეიტინგის წევრია, მრავალი სხვა კი ასმილიონიანი ქონების პრეტენდენტი. ისინი თავიანთ პარტნიორს განასახიერებენ, განსაკუთრებით ამ სამი ასპექტით: მყვირალა მარკეტინგი, უტრირებული სტილი და პოლიტიკური კავშირები.

და ყველა მათგანი, სხვადასხვა დონეზე, ცდილობს, გაარკვიოს, როგორ იხიერებს 45-ე პრეზიდენტის ხარჯზე.

ერიკ ტრამპი პატარა ტელევიზორისკენ მიდის, Trump Tower-ში, საკუთარი კაბინეტის კუთხეში რომ უდგას.

„ტელევიზორი რომ ჩავრთო... მოდო, აბა ვნახოთ... დავგინდლავებით, ეკრანზე [მამაჩემი] იქნება რაიმე სახით ან ფორმით“. პულტს იღებს და ტელევიზორს რთავს. სარეკლამო ჭრიდან ახლად დაბრუნებული წამყვანი პირდაპირ კამერაში იყურება: „დღევანდელი მოსმენა ფედერალურ სასამართლოში საშუალებას მისცემს ასობით ადამიანს, რომლებიც დეპორტირებულ იქნენ პრეზიდენტ ტრამპის...“ ერიკი იღიმის და ტელევიზორს თიშავს. „მთელი დღე, ყოველდღე აქ ვხედავ. და ვაცნობიერებ, რამხელა მასშტაბები აქვს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და იმას, რასაც სთავაზობს ხალხს“.

მამამისის მნიშვნელობა ბიზნესში მისი ოფისის ტელევიზორში გამოჩენით არ შემოიფარგლება. იანვარში ტრამპმა Trump Tower-იდან განაცხადა, რომ საკუთარი ბიზნესის კონტროლის სადავეებს ვაუიშვილებს გადასცემდა, რათა ბიზნესი პრეზიდენტობისგან განეცალკეებინა... თუმცა აქტივების მათთვის გადაცემით ის, სინამდვილეში, კი არ თავისუფლდება მათგან, არამედ თავის ჰოლდინგებს უსაფრთხო ადგილას ინახავს, და რადგან ზუსტად იცის, რა აქტივები სადა აქვს, მის საქციელს უკვე თვალის ახვევაც აღარ ეთქმის.

ერთი თვის თავზე ერიკმა, როგორც ჩანს, ეს აღიარა. ხან პირობას დებს, მამაჩემთან, სანამ ის თეთრ სახლში მსახურობს, ბიზნესზე არასდროს დავილაპარაკებო, მეორე წუთას კი ამბობს, მამაჩემს კომპანიის ფინანსურ საკითხებზე საქმის კურსში ჩავაყენებ, „სავარაუდოდ, კვარტალურად“-ო.

ამასთან, ამტკიცებს, რომ ბიზნესი გეგმას მიჰყვება, რომლის თანახმადაც, სასტუმროებში უცხოელი მაღალჩინოსნებისგან მიღებული მოგებები აშშ-ის ხაზინას უნდა გადაეცეს, თუმცა ტრამპის ლას-ვეგასის ბიზნესპარტნიორის თქმით, მათ სასტუმროში მსგავსი რამ ნამდვილად არ ხდება. პირობა იმიტომ დაიდო, რომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის გასამრჯელოს მუხლის დარღვევის გარშემო ატეხილი ვნებათაღელვა მოგვარებულიყო – ამერიკის მთავარი დოკუმენტის ნაკლებალსრულებადი სექციისა, რომელიც ფედერალურ ჩინონებს უკრძალავს, მიიღონ „ნებისმიერი საჩუქარი, გასამრჯელო, თანამდებობა, ნებისმიერი სახის, უცხოური ქვეყნის ნებისმიერი მეფისგან, პრინციგან“. სამართლებრივი მკვლევარებისა და ორპარტიული ეთიკის ექსპერტების ჯგუფმა ტრამპის სასამართლოში დევნის ხანგრძლივი პროცესი დაიწყო. „მას დღემდე აქვს ყველა ის ინტერესთა კონფლიქტი, რაც ჰქონდა“, – ამბობს ჯორჯ ჯ. ბუშის ადმინისტრაციის ეთიკის ყოფილი უფროსი, რიჩარდ პენტერი –

ერთ-ერთი იურისტი, რომელიც სასამართლოში ტრამპს უპირისპირდება.

ტრამპის ზოგიერთი უცხოელი პარტნიორი პოლიტიკის კუთხით უკვე იხვეჭს პოპულარობას თავის სამშობლოში. ფილიპინების კუნთმაგარმა პრეზიდენტმა, როდრიგო დუტერტემ, ტრამპის ნოემბრის გამარჯვებამდე ტრამპის პარტნიორი ხოლხე ანტონიო შეერთებულ შტატებში საგანგებო დესპანად დანიშნა. ინდოეთში, მილიარდერი მანგალ ლოქჰა 75-სართულიან Trump-ის შენობას აშენებს, პარალელურად კი მსხვილი პოლიტიკური პარტიის რევიონულ ვიდეო-პრეზიდენტად მსახურობს. ხოლო ტანოესოედიბო ინდონეზიაში მორიგ შენობას აგებს და საპრეზიდენტო კამპანიაში ჩართვას განიზრახავს.

„არაჩვეულებრივი ურთიერთობები გვაქვს იმ ადამიანებთან, რომლებთან ერთადაც პროექტებს ვახორციელებთ, – ამბობს ერიკ ტრამპი. – ისეთი ადამიანი გჭირდება, ვისაც ენდობი. უნდა შეგეძლოს ნდობა“.

რამდენი უხმრხულობას არ

უნდა ახლდეს თან პრეზიდენტ ტრამპის ბიზნესისგან დისტანცირების საკითხს, მენეჯმენტის თვალსაზრისით, უცხოელი პარტნიორებისთვის არაფერი შეცვლილა. მართალია, დონალდ ტრამპის \$3.5-მილიარდიანი ქონება აშშ-ის სტაბილურ შენობებსა და გოლფის მოედნებში უნდა ვეძიოთ, მისი ბიზნესის ყველაზე დინამიკური ნაწილი მაინც უცხოური სალიცენზია და მენეჯმენტური გარიგებებია, რომლებიც, შეფასებათა თანახმად, ყოველგვარი დამატებითი რისკის გარეშე, შემოსავლების 3%-5%-ს იძლევა. ერიკი და დონალდ უმცროსი კი წლებია, გარიგებათა მამიებლებად მუშაობდნენ, ასიათასობით მილს გადიოდნენ და მჭიდრო ურთიერთობისთვის უცხოელ პარტნიორებს პოულობდნენ. თავის ვაჟებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების დიდ უფლებას აძლევს, – ამბობს პაულო ფიგუერედო ფილო,

IN TRUMP THEY TRUST

რომელიც ტრამპების პარტნიორი იყო ბრაზილიაში. - ბიზნესის 90%-ს პრეზიდენტობამდეც კი ისინი მართავდნენ”.


ტრამპის ბიჭებს არაფორმალური მიდგომა აქვთ პოტენციური პარტნიორების ინსპექციისადმი და, მამის არ იყოს, ციფრებსა და ანალიზზე არანაკლებ, ინტუიციას ეყრდნობიან. „ცოტათი ჩაკეტილი კომპანია ვართ იმ მხრივ, რომ ამ ტიპის საქმეებს თავად ვაკეთებთ, - ამბობს ერიკი. - პირველი კრიტერიუმი, რომელითაც ვხელმძღვანელობთ, ისაა, არის თუ არა ადამიანი, ვისთანაც საქმის დაჭერას გვგეგმავთ, 'კარგი ადამიანი'. ასეც უნდა იყოს. დოკუმენტებს თუ შეხვდავ, კონტრაქტებს თუ შეხვდავ, შესაძლოა, რაღაც შეგეშალოს“.

ბრენდი გარკვეული ტიპის პარტნიორებს იზიდავს - ექსტრავაგანტურებსა და ამბიციურებს. ფილიპინებში ხოსე და რობი ანტონიოებმა სანაპირო კლუბიც გახსნეს პერიზ ჰილტონ ერთად. დუბაის ჰუსაინ საჯვანიმ \$3.7-მილიარდიანი ქონება იშოვა უძრავი ქონების გაყიდვითა და ექსტრავაგანტური ბონუსების, მათ შორის, BMW-ებისა და Lamborghini-ების დამატებით. რუსეთში ემინ აგალაროვი მილიარდერ მამასთან, არასთან, ერთად მუშაობს უძრავი ქონების პროექტებზე და ამავე დროს, პოპვარკვლავის კარიერაზეც ზრუნავს (მის ერთ-ერთ მუსიკალურ ვიდეოში ტრამპი ე.წ. კამეო-როლშიც კი გამოჩენილა).

ეს იმ ტიპის ბიზნესმენები როდი არიან, არად რომ ჩააგდონ თავიანთი კავშირები მსოფლიოში ყველაზე ცნობილ, სკანდალურ პერსონასთან. თავად ტრამპისვე ორგანიზაციამ აჩვენა ხალხს, თუ როგორ უნდა მომენტის გამოყენება. ინაუგურაციის შაბათ-კვირას სტუმრები ვაშინგტონის Trump-სასტუმროს შეესივნენ და ოთხი ღამისთვის \$70,000 და მეტი გადაიხადეს. გავრცელებული ცნობებით, იანვარში, ტრამპის პალე-ბიჩის კურორტზე, Mar-a-Lago-ში, საწევრო შენატანები \$100,000-დან \$200,000-მდე ახტა. ეს უძრავი ქონება დღეს \$175 მილიონადაა შეფასებული - 15%-ით უფრო ძვირად, ვიდრე ექვსი თვის წინ. ბოლო-ბოლო ერთ კვირაში მისი ისტორიული მნიშვნელობა ხომ რადიკალურად შეიცვალა!

„არის თუ არა პრეზიდენტობა ბიზნესის თვალსაზრისით მოგებიანი? - კითხვას სვამს ერიკ ტრამპი. - ორივე მხრიდან უნდა შეხედო. თუ არსებულ აქტივებზე ვლაპარაკობთ, მათი საქმე არარეკლამებრივად მიდის. თუ უფრო შოგად სურათზე ვილაპარაკებთ, მსხვერპლზე მოგვიხდა წასვლა, რათა მისთვის საშუალება მიგვეცა... და ისიც წავიდა მსხვერპლზე, რათა საკუთარი თავისთვის საშუალება მიეცა, მსოფლიოს ყველაზე მაღალი თანამდებობა დაეკავებინა“.

იგივე ეხება მის პარტნიორებსაც. ინაუგურაციამ თავმყერილი ჯგუფი უდავოდ გულაფანცქალებული იყო როგორც ძალაუფლებასთან სიახლოვის, ისე პოტენციური შესაძლებლობების გამო. აგალაროვის თქმით, ის ალბათ იმუშავებდა რუსეთის Trump Tower-ზე, აშშ-ის უძრავი ქონების მაგნატი საარჩევნო კამპანიაში რომ არ ჩაბმულიყო. ტრამპის პარტნიორი საქართველოში ამბობს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მას თავად



Trump Organization-მა სთხოვა, რათა კონსტიტუციის გასამრჯელოს მუხლთან მოსულიყო შესაბამისობაში (გაუგებარია, რატომ შეიძლება, ეფიქრა Trump Organization-ს, რომ მაინცდამაინც ქართული ხელშეკრულება გამოიწვევდა კონსტიტუციურ პრობლემებს და არა სხვა მოქმედი უცხოური პარტნიორობები. Trump Organization-ის იურისტს ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია). და სწორედ იმ დროს, სანამ თეთრ სახლში პოსტს დაიკა-

ტრამპის გლობალური იმპერია



ტორონტო
TRUMP INTERNATIONAL HOTEL & TOWER TORONTO
გაიხსნა 2012 წელს
ალექს შნაიდერი

მოსკოვი, რუსეთი
MISS UNIVERSE PAGEANT
არას და ემინ აგალაროვები

სტამბული
TRUMP TOWERS
ISTANBUL
გაიხსნა 2012 წელს
დოლანების ოჯახი

ბაქუ, აზერბაიჯანი
TRUMP INTERNATIONAL HOTEL AND TOWER BAKU
ანარ მამადლი

ამერბაიჯანით დაწყებული, რიო-დე-ჟანეიროთი დამთავრებული, ტრამპის ბიზნეს-პარტნიორთა ქსელი ოთხ კონტინენტსა და, სულ მცირე, 19 ქვეყანაშია გადაჭიმული. ეს საოფისე ცათამბეჭვენების, რეზიდენციების, სასტუმროებისა და გოლფის მოედნების აბლანდული ქსელია.

გურგაონი, ინდოეთი
უსახელო პროექტი
გამოხსნა 2016 წელს
ლალი გოიალი

გურგაონი, ინდოეთი
უსახელო პროექტი
კალემ შეტა ბასანტ ბანსალი

შალაბა, ინდოეთი
უსახელო პროექტი
გნადი 2017 წელს
კალემ შეტა პარმ ვარდანი პატოლია

ჰერსი, ნიუ-ჰერსი
TRUMP BAY STREET
გაიხსნა 2016 წელს
ვარდ კუმნერი KABR Group

დომინიკელთა რესპუბლიკა
TRUMP FARALLON ESTATES AT CAP CANA
გაიხსნა 2007 წელს
რიკარდო აზური

ბათუმი, საქართველო
TRUMP TOWER, BATUMI
გიორგი რამიშვილი

განილა, ფილიპინები
TRUMP TOWER AT CENTURY CITY
ხოსე და რობი ანტონიოები

პუნტა-დე-ესტი, ურუგვაი
TRUMP PUNTA DEL ESTE
გამოხსნა 2012 წელს
ფელიპე იარიურა მოისი იელატი

დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები
TRUMP INTERNATIONAL GOLF CLUB DUBAI
გაიხსნა 2017 წელს
ჰუსაინ სავვანი

მუმბაი
TRUMP TOWER MUMBAI
იხსნება 2018 წელს
მანგალ პრაბჰატ ლოდჰა

ლიდო, ინდონეზია
TRUMP INTERNATIONAL HOTEL & TOWER LIDO
გამოხსნა 2015 წელს
პარი ტანოსოედინო

დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები
TRUMP WORLD GOLF CLUB
გაიხსნა 2018 წელს
ჰუსაინ სავვანი

პუნა, ინდოეთი
TRUMP TOWERS PUNE
გაიხსნა 2016 წელს
ატულ და სავარ ჩორდია

ბალი, ინდონეზია
TRUMP INTERNATIONAL HOTEL & TOWER BALI
გამოხსნა 2015 წელს
პარი ტანოსოედინო

ვება, ტრამპმა განაცხადა, რომ ჰუსაინ სავვანიმ მას ახალი, \$2-მილიარდიანი გარიგება შესთავაზა, რაზეც უარი უთხრა. თუმცა, აი, სტამბულში, დოლანების ოჯახმა ტრამპთან დადებული ხელშეკრულების დასრულება სცადა. ხოლო ტორონტოში, გავრცელებული ინფორმაციით, პარტნიორებს მცდელობა ჰქონდათ, ერთ-ერთი შენობიდან Trump-ის სახელი ჩამოეხსნათ. პარტნიორთა უმეტესობა კვლავ იძლევა მხარდაჭერის პირო-

ბას... საჯაროდ თუ არა, პირადად მაინც. „დღეს Trump-ის ბრენდი მთელ მსოფლიოში მძლავრია, - ამბობს აგალაროვი. ცათამბეჭენის აუშენებლობის გამო განაწყენებული ხომ არ არის? „მისტერ ტრამპი აირჩიეს თუ არა, მისალოცი წერილები გავგზავნეთ, რაზეც გვიპასუხეს... მიმოწერა გვქონდა, - დასძენს აგალაროვი. - თავის მეგობრებს ის არ იგიწყებს.“



ტრამპის კლონი

ჰარი ტანოესტოდიბაჰოს უფრო მეტი სამართო აქვს 45-ე პრეზიდენტთან, ვიდრე ძვირფასი კურორტებია. ინდონეზიელი მილიარდერი ნამდვილ მინიტრამპად იქცა თავისი სილაჸაგის კონკურსების, საბელევიზიო შოუებისა და გაუთავებელი ტვიტინგის წყალობით. ახლა კი უკვე ნიადებს იმგადებს, მსოფლიოს მეოთხე ყველაზე დიდი ქვეყნის პრეზიდენტი რომ გახდეს.

ავტორი: ებრაჸ ბრაუნ

Q ინდონეზიელი მილიარდერი ჰარი ტანოესტოდიბაჸ დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობს, მაგრამ არის ერთი სიტყვა, რომელიც ძალიან კარგად იცის: „დიდი“. მისი მეფის სადარი სახლი ჯაკარტაში? „დიდი“. მისი ბიზნესიმიპერია? „ძალიან დიდი“. მისი აზრი ბალის კურორტის შესახებ, ახლა რომ აშენებს? „ყველაზე დიდი და საუკეთესო“.

მის Hummer H2-ს მძღოლი მართავს, ჩვენ უკან ვსხედვართ და ლიდოდან ვბრუნდებით - ეს მისი მორიგი დეველოპერული პროექტია ჯაკარტის გარეთ და 30-ჯერ დიდი, ვიდრე რასაც ახლა ბალიზე აკეთებს.

„დიდი პროექტია, არა?“ - კითხულობს ტანოესტოდიბაჸ.

დადებითი პასუხის მოსმენის სურვილით შეპყრობილი, მძღოლს მეტოქე კურორტზე შესვლისკენ მოუწოდებს - და ახლოებით ნახევარი საათის სავალზე, რანკამაიაში. ამერიკულ სტილში გადაწყვეტილ McMansion-ებს რომ ჩაგუვლით, მას სურს, მიმახვედროს, რომ ლიდოს ვიღები,

დიახაც, „გაცილებით დიდი“ იქნება, ვიდრე რანკამაიასი; რანკამაიას ვიღები დაახლოებით 1,300 კვადრატული ფუტისაა. გეგმავს, რომ ლიდოს მამულები 100,000 კვადრატული ფუტის იყოს. „არც ესაა ცუდი, მაგრამ ჩვენი უკეთესი იქნება“.

ეს სიტყვები ამერიკის რომელიმე პრეზიდენტს ხომ არ გახსენებთ? ეს შემთხვევითობა როდია. ტანოესტოდიბაჸ ტრამპის პარტნიორია ინდონეზიაში, მათი კავშირი კი გაცილებით ძლიერია. პრეზიდენტის ლამის ყველა უცხოელ პარტნიორს მასთან ერთი-ორი თვისება აერთიანებს: უმთავრესად, ეს თვითრეკლამირების ნიჭია - რაღაც ისეთი, კარნავალის თავმოძრონე წამყვანებს რომ ახასიათებთ. მაგრამ 51 წლის ტანოესტოდიბაჸოსთვის ტრამპი 360-გრადუსიანი როლური მოდელია, რომელსაც ყველა შესაძლო გზით ბადავს.

ტრამპის მსგავსად, თავისი ქონება - \$1.1 მილიარდად შეფასებული - უშველევბელი ვალის ხარჯზე უძრავი ქონებიდან და მედიიდან დაავროვა. ის გაუთავებ-

IN TRUMP THEY TRUST

ლად წერს ტვიტერში და 1 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს. სილაშხლის კონკურსებს აწყოებს. უყვარს რეალიტი-შოუები. გლამურული ცოლი ჰყავს. და ზუსტად ისე, როგორც ტაბლოიდები ტრამპს სახელით - დონალდით - მოიხსენიებენ, ინდონეზიურ პრესასაც ურჩევნია, მას უბრალოდ ჰარი დაუძახოს.

მაგრამ ჰარის, როგორც ჩანს, ეს არ აკმაყოფილებს. დღეს უკვე ისიც ავლენს მისწრაფებას პოლიტიკური ძალაუფლებისკენ - მან მსოფლიოში ყველაზე დიდი მუსლიმური ქვეყნის, მეოთხე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და მშპ-ის მიხედვით მეთექვსმეტე უმსხვილესი ეკონომიკის პრეზიდენტობა მოისურვა. ტრამპის მსგავსად, ეს მილიარდერიც ანტიელიტისტურ კამპანიაში ხედავს გზას ძალაუფლებისკენ. და ტრამპის მსგავსად, ისიც სკანდალების მაგნიტი ხდება, მათ შორისაა ბოლოდროინდელი ბრალდება (რაზეც ცნობები დასავლეთში დღემდე არ გავრცელებულა), რომლის თანახმადაც, ის ინდონეზიის წინა პრეზიდენტის დანაშაულებრივ საქმეში მონაწილეობდა, საქმა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სიტუაცია ისე მოეწყო, ინდონეზიის ყოფილი მაღალჩინოსანი მკვლელად რომ გამოეყვანათ; ჰარი ნებისმიერ როლს მრისხანედ უარყოფს.

„ტანოესოედიბზოს აქვს ფული, საარჩევნო მანქანა რომ დააფინანსოს, და მედია, რეალური გავლენა რომ იქონიოს საზოგადოებრივ აზრზე, - ამბობს რეინერ ჰეფერსი, ჯაკარტაში მდებარე ორგანიზაცია Center for Indonesian Policy Studies-ის თანადამფუძნებელი. - შესაბამისად, მას აქვს პოტენციალი, შედარებით მოკლე დროში აქტუალურ პოლიტიკურ მოთამაშედ იქცეს“. ჰეფერსის აზრით, ჰარი ყველანიშანს ავლენს, ინდონეზია მონაწილეობაზე დაფუძნებული დემოკრატიიდან უფრო ავტორიტარულ სტილზე რომ გადაიყვანოს.

იანვარში ჰარი ამერიკაში ჩავიდა, ტრამპის ინაუგურაციას რომ დასწრებოდა. შეხვედრა მის ვაჟებთან, ერიკ და დონალდ უმცროსთან, და ლანჩი ნიუ-იორკის მედიის თავმჯდომარის ადგილას, Michael's-ში, ვაშინ-

გტონში ახალი ადმინისტრაციის დაბადებით გამოწვეულ ზარ-ზეიმში გადაიზარდა. ინდონეზიაში ჰარი თავს იკავებს თავისი პოლიტიკური ამბიციების ხაზგასმისაგან, მაგრამ ინაუგურაციის წინა ღამეს, ვაშინგტონში, Trump International Hotel-ის ვესტიბულში მჯდომისთვის სასიამოვნოდ აღელვებული ფუსფუსი გადამდებია.

„ათ წელიწადში, ვფიქრობ, ქვეყნის მართვას შევძლებ“, - ამბობს ის და ამაში ისევეა დარწმუნებულია, როგორც მისი მეტორი.

NIRWANA BALI GOLF CLUB-ი კურორტის მთავარი გასართობია, რომელსაც ჰარი და ტრამპები ძალიან უყვართ. ხოლო ამ კურორტის კვლავ მდებარე გოლფის მეშვიდე მოედანი უკვე ერთ-ერთ ყველაზე განსაკუთრებულ პანორამას ქმნის. 214-იარდიანი პარ-3-ის გვერდით Tanah Lot-ი მდებარეობს - მე-16 საუკუნის ინდუსტური კუნძულის ტაძარი. წმინდა ადგილიდან მონაბერი საკმეფლის სურნელი ხშირად დაიქროლებს გოლფის მოედანზე, სადაც Nirwana-ს ბურთის მომწოდებელი ქალბატონები (მხოლოდ მდებარეობითი სქესის არიან), მწვანე უნიფორმებსა და კონუსისებრ ქუდეებში გამოწყობილები, როგორც წესი, გოლფის გრძელ ჯოხებს გთავაზობენ, ბოლო სამიზნე სვრელამდე რომ მიაღწიო, რომელსაც მთავარი მოედნიდან შავი ქვიშიანი ნაპირი ამოუბრუნებს.

„ეს საუკეთესო უძრავი ქონებაა ბალიზე, საკულტოდ უნდა ვაქციოთ, ამბობს ჰარი და ინდოეთის ოკეანეს გადაჰყურებს. - ვერტმფრენების ასაფრენ-დასაფრენი ბილიკიც უნდა გავაკეთოთ“, - განაგრძობს ამოუსუნთქავად.

პერსონალი მას ახლად გამოწერულ ქოქოსის წვეს აწვდის საწრუპით. მისი გუნდი ზრუნავს, რომ მუდამ მომარაგებული ჰქონდეთ მისთვის ჰიგიენური ხელსაწმენდები (ტრამპის მსგავსად, მიკრობები მასაც აფრთხობს), ზრუნავს იმაზეც, რომ ლიფტში ის პირველი შევიდეს და საგანგებოდ დახარისხებული, ამბოხილი დღის განრიგი მიიღოს. დაეცის თანამშრომლები

მას ენერგიული ღიმილითა და საღმით ეგებებიან. ხშირად პოლიციის ესკორტთან ერთად მოძრაობს და ნებას რთავს მძღოლს, ინდონეზიის საცობებიან ქუჩებში გზის ორივე მხარეს გაძვრეს. ხოლო იმ დღეს, დილას, ვიდრე Nirwana-ში ჩამოაღწევდა, მისი პერსონალის პატარა ჯგუფი შემოქმედაზე გამოსული ჯარივით ჩამწკრივდა წინა კიბეებზე, ოღონდ ხელში არა იარაღი, არამედ ქათქათა ხელის პირსახოცები და ანანასის წვენი უჭირათ.

2013-ში ჰარიმ Nirwana-ს კურორტი დაახლოებით \$200 მილიონად იყიდა, ისევე როგორც Lido - იმავე ფასის მქონე უძრავი ქონება ჯაკარტის გარეთ. Lido-ს სასტუმროსა და გოლფის მოედნის ნაწილი იმავე წლის ბოლოს დახურა, ხოლო Nirwana ღია დატოვა და იმაზე დაიწყო ფიქრი, რა უნდა ექნა ამ ორი უძრავი ქონებისთვის. გუნდს სთხოვა, ბაზარზე დამკვიდრებული მდიდრული სასტუმროების კომპანიათა მოკლე სია შეედგინათ, ჰოდა, ასე გავიდა Trump Organization-თან კონტაქტზე. „ტრამპი სასტუმროებსა და გოლფის მოედნებზე სპეციალიზირდება. ამიტომაც შევარჩიეთ ტრამპი, - ამბობს ჰარი. - ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ ტრამპის იმიჯი საკმაოდ მაღალი კლასისაა“.

2015 წლის ხელშეკრულებებმა ტრამპებს საშუალება მისცა, სასტუმროები და გოლფის მოედნები Trump-ისბრენდის უძრავი ქონების სახით ემართათ, პარალელურად კი თავიანთი სახელის ლიცენზირებას ადგილზე მდებარე ვილებისა და სასტუმრო-აპარტამენტებისთვის ახდენდნენ. ჰარი არ აკეთებს Trump-თან დადებული ხელშეკრულების ფინანსურ პირობებზე კომენტარს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა მიანიათ ინდუსტრიის წყაროებს ტიპურად, მაშინ ტრამპები, სავარაუდოდ, სასტუმროს შემოსავლიდან - 5%-ს, გოლფის მოედნიდან კი 3%-ს აიღებენ (თავის მხრივ, ამ თემზე ტრამპებიც დუმილს არჩევენ). ყველაფრის მფლობელი ჰარია და ყველარისკენ ის მიდის, აბანდებს რა ფულს Lido-სა და Nirwana-ს მშენებლობაში.

ჰარის საქმე, უმეტესწილად, დონალდ

უმცროსსა და ერიკთან აქვს. პირველად მათ რამდენიმე თვით ადრე შეხვდა, სანამ პარტნიორობის შესახებ გახდებოდა ცნობილი. პრეზიდენტ ტრამპს „ერთი-ორჯერ“ შეხვედრია, მათ შორის, არჩევნების შემდგომ შეკრებაზე იანვარში, თუმცა დეტალებს არ გვიამბობს, მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ახლად არჩეული პრეზიდენტი „ისეთივე იყო, უბრალოდ გარს სულ დაცვა და საიდუმლო სამსახურის აგენტები ეხვედნენ“.

რემონტი Nirwana-ში წელს მოგვიანებით უნდა დაიწყოს და, როგორც ჰარი ამბობს, მან უკვე მოაგვარა, რომ ფილ ნიკელსონმა გოლფის მოედნის (ამ მოედნის თავდაპირველი დიზაინი გრეგ ნორმანს ეკუთვნის 1990-იანებში) ახალ კონცეფციასა და გაზრდაზე იფიქროს, რადგან იმედი აქვს, რომ PGA-ის ღონისძიებას გამოჰკრავს ხელს. სასტუმროზე გრანდიოზულ იმედებს ამყარებს, სადაც ღამე ამჟამად \$100-დან \$200-მდე ღირს. როცა ორი წლის შემდეგ ის Trump-ის სასტუმროს რანგში გაიხსნება, ჰარი იმედოვნებს, რომ ფასები ღამეში \$600-დან დაიწყება და \$3,000-ს მიაღწევს.

Lido Nirwana-ზე უფრო ვრცელ რემონტს საჭიროებს და ჰარი მისი დიდი ნაწილის დემონტაჟს მანამდე გეგმავს, ვიდრე ერთი ელსი გოლფის მოედნის დიზაინს შექმნის, რომლის ადგილასაც ჯერჯერობით დიდი ტალახიანი მდელოა. Lido-ს მასიური ზომა ჰარის საშუალებას აძლევს, იქ 250-აკრიანი თემატური პარკი დაამატოს. „ხალხი რომ შემოდის, ეს იდეა მაშინვე აღაფრთოვანებთ“, – ამბობს ის. პროექტის დასრულებისთვის, რაც 2018-დან 2020-მდე პერიოდშია ნავარაუდები, მისი თქმით, ის თითქმის \$2 მილიარდს დააბანდება Lido-სა და Nirwana-ს ტრანსფორმაციაში.

ცხადია, ყველა ამ ამბიციას ამკარა რისკები ახლავს: ჰარიმ Trump-ი იმ ქვეყანაში უნდა გაეიდოს, რომლის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობაც მუსლიმია – 258 მილიონი მოქალაქედან დაახლოებით 90%. ინაუგურაციამდე, ჰარიმ არად ჩაავდო ტრამპის კამპანიის ანტიმუსლიმური კომენტარები

და თქვა, რომ ხალხმა მას „სწორად ვერ გაუგო“ და რომ ტრამპი მხოლოდ „რადიკალ მუსლიმებს“ გულისხმობდა. პრეზიდენტ ტრამპის სკანდალური სტარტის შემდეგ, მათ შორის მისი სამგზავრო აკრძალვის შემდეგ, ჰარი ჩართულ დიქტოფონთან ტრამპთან დაკავშირებულ საკითხებზე დიდად აღარ ლაპარაკობს.

ტრამპის პრეზიდენტად არჩევის წინა ღამეა. ჰარი Trump International Hotel-ის ვესტიბილის ბართან ახლო ზის. მილიარდერმა, როგორც ჩანს, ცოტაოდენი დაღია. ძაღვების აღდგენას პიტნის ჩაით ცდილობს და მოწადინებულია, მას შევეუბნოთ, თავის ჩაის ფინჯანს ჩემი სკოლის ჭიქას უჭახუნებს და მეუბნება: „დამთავრე“.

„სულ მალე დონალდ ტრამპი პრეზიდენტი გახდება, – ამბობს ჰარი და თავისი დალხენილი განწყობის მიზეზს ააშკარავებს. – ის ყველასათვის შთაგონების წყაროა, მათ შორის, ჩემთვისაც“.

ამ შთაგონების ფესვები ჰარის ბავშვობაში უნდა ვეძებოთ. ტრამპის მსგავსად, მამამისი მშენებელი იყო – აღმოსავლეთ იაგის საპორტო ქალაქ სურაბაიაში. შვილთან დაკავშირებით ამბიციური გეგმები ჰქონდა და ის სასწავლებლად კანადაში გაგზავნა. ჰარიმ მართლაც ოტავაში, კარლტონის უნივერსიტეტში ისწავლა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ისევ, ტრამპის მსგავსად, საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად, 1989-ში, ფული მამას გამოართვა. ჰარიმ მამამისის \$5,000 საბროკერო ბიზნესის დაფინანსებაში დახარჯა; ერთ წელიწადში ეს ბიზნესი მან ჯაკარტიდან დასავლეთით, 15 საათის სავალზე გადაიტანა და გაყიდვებით \$24 მილიონის კეთება დაიწყო, მერე კი, 1997 წელს, თავისი კომპანია, რომელსაც მოგვიანებით MNC Group-ი დაერქვა, საჯარო ბაზარზე გაიტანა – პირდაპირ ამერიკის ფინანსური კრიზისის ხასიაში. გემი იცვალა და გადაწყვიტა, ეკონომიკური არეულობა კომპანიების იაფად შესყიდვისთვის გამოეყენებინა. „ეს ჩემი ოქროს ხანა იყო“, – ამბობს ის.

მომდევნო რამდენიმე წელიწადში ათობით გარიგება გაჩარხა და დაახლოებით \$1 მილიარდამდე ინვესტიცია განახორციელა.

მის მენაძენთა შორის ოთხი სატელევიზიო არხი იყო, მათ შორის, ორის მფლობელებად ცოტა ხნით ადრე გადაგდებული დიქტატორის, სუჰარტოს შვილები ირიცხებოდნენ.

არხებზე სხვა კომპანიათა შოუები გადიოდა, ჰოდა, 2000-იანებში ჰარიმ ეს მოდელი შეცვალა და MNC-ის მიერ შექმნილი სერიალების გადაცემა დაიწყო, რისთვისაც ტალანტების მენეჯმენტის ბიზნესიც დააფუძნა, რათა თავისი შექმნილი ვარსკვლავები ეკონტროლებინა. მიხვდა, რომ ტალანტების მამიებელი შოუები ინდონეზიაში კარგად იმუშავებდა: უკიდურესად დაყოფილი კლასები, ამერიკასთან შედარებით, იქ გაცილებით რთულს ხდის ტალანტი დიდებად და ქონებად აქციო; ამიტომაც, XFactor-ისა და American Idol-ის ადგილობრივი ვერსიები ჩაუშვა (MNC სხვა სახის პროგრამებსაც ამზადებს, მათ შორის, პოპულარულ დრამას, რომლის სახელი დაახლოებით „თავდაყირა მსოფლიოდ“ ითარგმნება. შოუს მთავარი გმირი ოჯახის მარჩენალი ქალია, კაცი კი „სახლში ზის და ყველა საქმეს აკეთებს“, – განმარტავს ჰარი და სულ მთლად კაცებით დაკომპლექტებულ მსლებელთა გუნდში ხითხითს იწვევს). 2015-დან მოყოლებული, მან სილამაზის კონკურსის, „მის ინდონეზიის“ გამართვა დაიწყო, 2013-ში კი „მის მსოფლიოს“ უმასპინძლა. MNC-ს ინდონეზიის პრაიმტაიმ-მაყურებლის 40% ჰყავს დაპყრობილი და ქვეყნის ათი ყველაზე პოპულარული პროგრამის მფლობელია.

დაულალავი ჰარი ცდილობს, ერთ დღეში მაქსიმალურად ბევრი რამ ჩატიოს. ტრამპის მსგავსად, მასაც თითქმის არ სძინავს – ღამეში დაახლოებით ოთხი საათი და დილის ოთხ ან ხუთ საათზე იღვიძებს, ი-მეილებსა და WhatsApp-ის მესიჯებს რომ უპასუხოს (მთელი დღის მანძილზე ტელეფონს არ იცილებს ხელიდან და რამდენიმე წუთში ერთხელ ეკრანს ჩასცქერის). მისი აღმასრულებლები მალ-ღონეს არ იმურებენ, ფეხი რომ აუწყონ. „ყველაფერს ძალიან სწრაფად

IN TRUMP THEY TRUST

აკეთებს. ვერც კი წარმოიდგენთ, რას გვიშვრება ოფისში, – ამბობს MNC-ს ვიცე-პრეზიდენტი ივან კასადვეალი, რომელიც Trump-ის პროექტებშია ჩართული. – 18-საათიანი დღეები გვაქვს, 12-იანი კი არა“.

თავისი მოუსვენარი ტემპერამენტის წყალობით MNC მნიშვნელოვნად გააფართოვა და ვალდებულმა აიღო ამისთვის. დღეს კომპანია ფლობს 60-ზე მეტ ადგილობრივ ტელეარხს, ოთხ ნაციონალურ ტელეარხს, გაზეთს, უძრავი ქონების დეველოპერ ბიზნესს (რომელმაც MNC-ს ოფისები ააშენა ჯაკარტაში, სანამ Trump-ის კურორტებზე გადავიდოდა) და მთელ რიგ ფართო ასორტიმენტის ინვესტიციებს, მათ შორის, ქვანახშირის საბადოებში. შედეგად, გალი გაიბერა. ხუთ წელიწადში დავალიანებები დაახლოებით 350%-ით, \$2.2 მილიარდამდე გაიზარდა, ხოლო S&P-ს შეფასებით, 2018-ისთვის \$800 მილიონის სესხს აიღებენ. ჰარი ამ მაჩვენებლებს არ ეთანხმება და ამბობს, რომ სინამდვილეში, ციფრების ნახევარზეა ლაპარაკი.

როგორც Moody, ისე S&P-ის მშობელი კომპანია MNC-ის ობლიგაციებს უვარგისად აფასებს და უარყოფითად აღიქვამს. „როცა ამ დონეზე ხარ, ფინანსური გაჭირვების მაღალ რისკზე იწყებ ლაპარაკს“, – ამბობს S&P-ის სინგაპურში დაფუძნებული საკრედიტო ანალიტიკოსი ქსავიე ჯანი, რომლის თანახმადაც, დეფოლტის თავიდან ასარიდებლად, მომდევნო თვეებში, MNC-ს, შესაძლოა, ზოგიერთი სესხის რესტრუქტურირება მოუხდეს.

ეს ყველაფერი კი იმ დროს ხდება, როცა ჰარი, როგორც ტრამპი კამპანიის დროს, აშკარად ნაკლებ ყურადღებას უთმობს თავის ბიზნესს. შარშან MNC-ის უმსხვილესი მედიაპლატფორმის აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია დატოვა. „უკვე ვიბნევი, აქ როცა მოვდივარ“, – ამბობს ის, როცა MNC-ს ერთ-ერთ ოფის-ცაბაბზეწმინდას ესკაპატორზე არასწორ ადგილას ტრიალდება.

MNC-ის ვალთან დაკავშირებულ დარღვევებს არად აგდებს და ამბობს, რომ კომპა-

ნიის მეტად გაზრდას აღარ გეგმავს. „კიდევ რომ გავფართოვდე, დიდი დრო დაიჭირდება, მე კი პოლიტიკაში მინდა წასვლა, – ამბობს ის. – ბიზნესს უნდა დავცილდე და პოლიტიკისკენ დავიწყო სვლა“.

ინდონეზიის მრეწველ პოლიტიკაში ჰარის გააქტიურებას ქაოსი ახლდა თან. ეს 2014 წელს მოხდა, არჩევნებამდე, ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო, მან ერთი პარტია, Nasdem-ი, დატოვა, მეორეს, Hanura-ს, შეუერთდა და არმიის ყოფილი გენერლის, ვირანტოს (რომელსაც, ბევრი ინდონეზიელის მსგავსად, მხოლოდ ერთი სახელით მოიხსენიებენ) კამპანიამ ჩაერთო, როგორც ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი. მაღევე, უფრო ძლიერი და ცნობილი კანდიდატების გამოჩენასთან ერთად, მათმა კამპანიამ მარცხი იწვნია.

ამის შემდეგ ჰარიმ პრაბოვო სუბიანტოს დაუჭირა მხარი – კიდევ ერთ ყოფილ გენერალს, რომელიც ახირებულ კამპა-

ტრამპის მოსკოვური კავშირები

რუსეთი: სისხლის სამართლის დამანაშავე და პოპვარსკვლავი დონალდ ტრამპი ამტკიცებს, არავითარი კავშირები არ მაქვს რუსეთთან. ეს მთლად სიმართლე არ არის. მას იქ აშკარად აქვს ორი ბიზნესკავშირი. ერთში მსჯავრდებული კრიმინალია გარეული, მეორეში კი... მოსკოვის უძრავი ქონების დეველოპერი, რომელსაც გლობალური დონის პოპმომღერლობაც უნდა.

პირველი ფელიქს სატერია. რუსეთში დაბადებული სატერი Bayrock-ში მუშაობდა – ნიუ-იორკში დაფუძნებულ ფირმაში, რომელსაც 2000-იანების დასაწყისში, უძრავი ქონების გარიგებების თაობაზე, ტრამპთან ჰქონდა პარტნიორული ურთიერთობები, მათ შორის, Trump SoHo-ს თაობაზე (აქამდე სატერი უოლ-სტრიტის ბროკერი იყო, მერე კი ერთი წელი ცხებში გაატარა – ბარში ჩხუბის დროს კაცი სახეში კოქტეილ მარგარიტას ჭიქით დაჭრა, ხოლო შემდეგ FBI-ის ინფორმატორი გახდა; 1998-ში მან დანაშაული აღიარა: ბრალად ედებოდა რეკეტის დროს მაფიასთან ერთად საფონდო ბირჟასთან დაკავშირებულ თაღლითურ სქემებში მონაწილეობა, და სწორედ ამ აღიარების მერე დაიწყო ფედერალურ ჩინოვნიკებთან თანამშრომლო-

ბა). Bayrock-ში, სატერის თქმით, ის ექსკლუზიურ ხელშეკრულებაზე მუშაობდა ტრამპთან ერთად, რომ რუსეთში Trump-ის ბრენდირებული პროექტი აუშენებინათ, ხოლო 2016-ში მას გარკვეული დრო აქვს გატარებული დონალდ უმცროსთან და ივანკასთან. როგორც სატერი ამბობს, ტრამპმა მას სთხოვა, მისი შვილებისთვის ქალაქი დაეთვალაიერებინა; ტრამპის ოურისტის თქმით, სრულიად შემთხვევით მოხდა, სამი რომ ერთდროულად აღმოჩნდნენ ქალაქში.

New York Times-ის ცნობებით, 2007-ში სატერის კრიმინალური წარსული გამოაშკარავდა, მაგრამ ამას არ შეუჩერებია ტრამპი – სამი წლის შემდეგ მან სატერი „უფროს მრჩეველად“ დანიშნა და ამ როლს თან ახლდა Trump Organization-ის ბიზნესბარათი, ი-მეილი და ოფისი Trump Tower-ში. 51 წლის სატერი დღეს თითქოს არაა ტრამპის თანამშრომელი, მაგრამ გაურკვეველია, როდის დასრულდა მისი ურთიერთობა Trump Organization-თან. ტრამპმა, ამას წინათ, სატერთან მისი ნაცნობობის მნიშვნელობის დაკნინება სცადა. „ბიჭო, რა ფელიქს სატერი?! მოიცა, უნდა დავფიქრდე, ამ დონეზე მას ნამდვილად არ ვიცნობ“, – უთხრა მან AP-ის 2015 წლის დეკემბერს.

მიუხედავად ამისა, იანვრის მიწურულს, გავრცელებული ცნობებით, სატერი და უკრაინე-

ლი კანონმდებელი ნიუ-იორკის სასტუმროში ტრამპის პირად ოურისტს, მაიკლ კოენს შეხვდნენ. Times-ის მიხედვით, ისინი განიხილავდნენ გეგმას, რომ აშშ-ს რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მოეხსნა, ხოლო კოენის თქმით, მან დალუქულ კონვერტში ხელით გადასცა გეგმა მაშინდელი ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველს, მაიკლ ფლინს. Washington Post-ის მიხედვით, კოენმა მოგვიანებით უარყო კონვერტის გადაცემის ფაქტი – თეთრი სახლის არც ერთი წარმომადგენლისთვის არ გადაამიგიაო.

ტრამპის მეორე რუსული კავშირი 37 წლის ემი აგალაროვს, მონადინებულ პოპვარსკვლავს გულისხმობს. აგალაროვი მილიარდერ მამასთან, 61 წლის არასთან მუშაობს უძრავი ქონების დეველოპერულ პროექტებზე.

ტრამპთან მათი ურთიერთობა 2013-ში დაიწყო, როცა მოსკოვში „მის სამყაროს“ კონკურსის ჩატანის სანაცვლოდ, Trump Organization-ს \$7 მილიონი გადაუხადეს (კონკურსანტებთან ერთად, კონკურსში ემიც მონაწილეობდა) მოსკოვის სილაამაზის კონკურსის საკმაოდ კარგად წარმართა საიმისოდ, რომ აგალაროვებს ტრამპთან კიდევ ერთი გეგმის დასახვა არ მონდომებოდათ; რუსეთში Trump Tower-ის აშენება გვაქვს შედეგობაში. სანამ გეგმებს დაამუშა-

ნიას ატარებდა და უფრო ავტოკრატიული პრეზიდენტობისკენ დაბრუნების ნიშნებს აგვლენდა. ბოლოს უფრო ზომიერმა ჯოკო ვიდოლომ გაიმარჯვა.

ჰარიმ არც აცია, არც აცხელა და 2014 წლის ოქტომბერში თავისი პოლიტიკური პარტია, Perindo, ჩამოაყალიბა. სოციალური მედია მალე იქცა მისი საჯარო პროფილის მომძღავერების მთავარ ინსტრუმენტად. დაქირავებული ფოტოგრაფები მას ლამის ყველგან დაჰყვებიან და ყოველი მისი ნაბიჯის დოკუმენტირებას ახდენენ, ხოლო მრავალი ასეთი სურათი Twitter-ზე პოულობს ბინას. ჰარი ხშირად პოსტავს Twitter-ზე – დღეში ათჯერ ან მეტჯერ.

ჰარის აქამდე ერთგვარად დაუშოშმინებია მისი საპრეზიდენტო ამბიციების ირგვლივ გაჩენილი სპეკულაციები: „ყველას უნდა, რომ ვიყარო კენჭი, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია“. თუმცა იანვარში, ვაშინგტონში, ჩემთან საუბრის დროს, პრეტენზია კვლავ გამოთქვა: „ჩემი პოლიტიკური

პარტია პროგრესის მამოძრავებელია... პროგრესის მამოძრავებელი და შეუძლია, ქვეყნისთვის რაღაც გააკეთოს. უნდა ვიყარო კენჭი“.

მას ბევრი დაბრკოლება ექნება გადასალახნი: გარდა იმისა, რომ პოპულისტის მანტიაში შემოსილი მილიარდერია, ჰარი ეთნიკური ჩინელია ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 99% სხვა წარმოშობისაა, და არის ქრისტიანი მსოფლიოს ყველაზე დიდ მუსლიმურ ქვეყანაში. მაგრამ, გარკვეულწილად, ჰარის გზავნილისთვის სიტუაცია მომწიფებულია. ეკონომიკური ზრდა შეფერხებულია: ბოლო მონაცემებით, თუ 2011-ში ინდონეზიის ეკონომიკა 6.2%-ით იზრდებოდა, 2015-ში ეს მაჩვენებელი 4.8%-ია. „ამერიკაში თქვენ გაქვთ 'დავუბრუნოთ ამერიკას ძველი დიდება', – ამბობს ჰარი, – აქ კი 'დავუბრუნოთ ინდონეზიას ძველი დიდება' გვექნება. ამიტომაც მივდივარ პოლიტიკაში“.

ჰარი „მოდიფიცირებული“ დემოკრა-

ტიის სარგებელს ხედავს: „ისეთის კი არა, თქვენ რომ გაქვთ შტატებში“ – და არათავისუფალი ბაზრის მომხრეა. „ეს ჩემთვის არის კარგი, მაგრამ არა ინდონეზიისთვის“, – ამბობს ის. მისთვის პარადიგმა ჩინეთი და მისი მთავრობის მიერ კონტროლირებული ეკონომიკაა. მაგალითად, წარმოუდგენია, რომ ინდონეზიამ უნდა შეამციროს შაქრის ლერწმის იმპორტი ადგილობრივი მკის დროს ისე, რომ ფერმერებმა შეძლონ თავიანთი მოსავლის უფრო ძვირად გაყიდვა. გამოხატვის თავისუფლებას ემხრობა... გარკვეულწილად. „ყველას უნდა ჰქონდეს სიტყვის თავისუფლება, თუმცა არა მას, ვინც ხელისუფლებაშია“, – ამბობს ის, რითაც ბოლომდე ვერ ნიღბავს ინდონეზიის იმ ამჟამინდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, რომელიც დემონსტრანტებს გარკვეული მოსაზრებების გახმოვანებისთვის ფულს უხდის. მხარს უჭერს დაბინავებისა და განათლების სესხების სუბსიდირებას ღარიბთათვის.

ვებდენ, ტრამპმა თავი პრეზიდენტობის კანდიდატად გამოაცხადა და პროექტიც შეჩერდა. „პრეზიდენტად რომ არ ეყარა კენჭი, დღეს ალბათ უკვე მშენებლობის ეტაპზე ვიქნებოდით“, – ამბობს ემინი.

მართალია, ასაკით არასი უფრო ახლოა ტრამპთან, მაგრამ ამ უკანასკნელს სწორედ ემინი დაუახლოვდა. 2013-ში ემინმა ტრამპი დაარწმუნა, მის ერთ-ერთ ვიდეოში გამოჩენილიყო. ერთი წლის თავზე, ემინის 35-ე დაბადების დღეზე, ტრამპმა მას ვიდეო გაუგზავნა გზავნილით: „გამარჯვებული ხარ. ჩემიონი ხარ. მაგარი ხარ უძრავ ქონებაში“. ემინი კი ტრამპს არცთუ დიდი ხნის წინ, 2015-ში ეწვია. „მის ოფისში ვიყავი ზუსტად მანამ, სანამ გამოაცხადებდა, რომ არჩენებში მიიღებდა მონაწილეობას, – ამბობს ემინი. – თუ მოსწონხარ, ყურადღებას არ იშურებს“.

ემინს, რომელიც აშშ-ში ტურებს მაისში გამართავს და მაიაში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესსა და ჩიკაგოში გამოვა, ბოლო თვეებში ვერიკ ტრამპთან აქვს SMS-მიმოწერა და მონადინებულია, Trump-თან პარტნიორობა მართლაც განახორციელოს. ყველაფერს, რაც Trump-ს უკავშირდება, ინტერესით მოგვიკიდებოდი“, – ამბობს ის.

– ნოა კორჩი და ჩემ პიტერსონ-უითორნი



„მის სამყაროს“ ბატონ-პატრონები: 2013-ში ემინ და არას აგალაროვებმა მოსკოვში დონალდ ტრამპის სილამაზის კონკურსი ჩაიტანეს, მოგვიანებით კი რუსეთში Trump Tower-ის აშენებაზე ისაუბრეს ერთობლივად.

IN TRUMP THEY TRUST

„ფიქრობ, ტრამპის სტრატეგია კარგი რამეების კეთება დაბალი ფენის ხალხისთვის, - ამბობს ჰარი. - და მეც ამაზე ვარ აქორინტირებული“. რაც შეეხება დასავლურ გავლენებს მის ქვეყანაში, ჰარი ამაზე ჯერ დადებითად საუბრობს („როცა ქვეყანას უჭირს, ძალიან ადვილია მათგან დახმარების მიღება, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან“), მაგრამ მეორე წუთას დამცინავად იხსენიებს („მსოფლიო ბანკი, გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ ჯაკარტას ხედავენ, სხვა არაფერი იციან“).

„ჩვენი პარტია დღეს ამომავალი ვარსკვლავია“, - აცხადებს ის რაღაც მომენტში, თუმცა ამ მოსაზრებას ლამის ყველა ინდონეზიელი პოლიტიკური ექსპერტი უარყოფს, რომელთა აზრით, მისი კანდიდატურა შანსებსაა მოკლებული მისი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების გამო და იმის გამოც, რომ მისი სახელი დაბალი ცნობადობისაა ქვეყანაში, რომლის 13,466 კუნძულზე 700-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობენ. მისი ყველაზე რეალისტური კურსი, შესაძლოა, კვლავ ვინმეს ვიცე-პრეზიდენტად კენჭისყრა იყოს 2019 წლის არჩევნებში, კამპანიის დაფინანსება და მერე, მოგვიანებით, პრეზიდენტად გახდომის უკვე პირადად ცდა.

თუმცა მას ორი ღირებული აქტივი აქვს: თავისი მედიაბიზნესი, რომელიც მძლავრი მეგაფონით უზრუნველყოფს, და კავშირები ტრამპთან. „შესაძლოა, გაჩნდეს ალქმები, რომ აშშ-ის პრეზიდენტთან ურთიერთობის გამო უპირატესობით სარგებლობს“, - ამბობს კვინ ო'რურკი, სტაჟიანი ინდონეზიელი ანალიტიკოსი და კორპორაციული რისკების კონსულტანტი.

„ყველა მისტერ ტრამპთან დაკავშირებით მისვამს კითხვებს, - ამბობს ჰარი ერთ-ერთ საღამოს, სადილის შემდგომ, Cohiba-ს სიგარეტისა და \$3,500-იანი კონიაკის თანხლებით. - ი-მეილებს მწერენ, მესიჯებს მწერენ. ვეუბნები, რომ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ბიზნესს ნიშნავს და არა მისტერ ტრამპთან პერსონალურ კონტაქტს“. არც პოლიტიკას. „ბიზნესშიც კი არაა ჩართული“. და მაინც, ჰარი ამბობს, რომ პრეზიდენტ ვიდოდოს

რომ ეთხოვა, ტრამპთან დააკავშირებდა. „შუამავლობა რომ მოხვონ, - ამბობს მხრების ჩერით, - სიამოვნებით დაგვხმარებოდი“.

ჰარის თემირი სახლი მისი როლური მოდელისას არ უდებს ტოლს. ჯაკარტაში თითქმის მთლიანი უბანი უკავია და თავისი პალმებითა და მარმარილოს მაღალი სვეტებით, გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „ნაიარევი სახის“ სახლს... ან Mar-a-Lago-ს. იქ ნახავთ კოი-თევზებით საცხე გუბურებს, ათ საძინებელსა და 23 ადამიანისგან დაკომპლექტებულ პერსონალს, რომელიც 24 საათი/კვირაში 7 დღე თქვენს განკარგულებაშია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი მეთად ტრამპისეულია.

ჰარი მშვიდ განწყობაზეა. კარგია, იმიტომ რომ სადილად საკმაოდ დაძაბულ ღამეს დამპატიყა. რვა წლის წინ ინდონეზია გახმაურებული სკანდალის მოწმე შეიქნა. ქვეყნის ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარე ანტასარი აჟარი დააკავეს, გაასამართლეს და მეგობრის მკვლელობის გამო 18-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ორნი, გავრცელებული ცნობებით, სასიყვარულო სამკუთხედში იყვნენ ჩაბმულნი. მაგრამ სპეკულაციები იმაზე დაიწყო, იქნებ აჟარი, კორუფციის შეფის რანგში, „არასწორ“ ადამიანს დაედგენა და სასჯელს ამისთვის იხდისო. აჟარი დროზე ადრე, 2016 წლის ნოემბერში გამოუშვეს; ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ის შეიწყალა.

ერთი დღით ადრე, სანამ ჰარის სახლში ვეწვეოდი, აჟარი ყოვლად სკანდალური საჯარო ბრალდებით გამოვიდა: ინდონეზიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ მომიწყო ყველაფერი, მუქარის გადმოსაცემად კი ჰარი გამოიყენა; ამ უკანასკნელმა აჟარის, თითქოსდა, უთხრა, რომ იუდჰოიონოს ნათესავის გამოძიებისთვის თავი უნდა მიენებინა, თუ არა და უსიამოვნებებს ვერ აუვიდოდა. „ფრთხილად უნდა იყო“, - აჟარის თქმით, ასე უთხრა მას ჰარიმ. აჟარი ამ საკითხზე დიდად არც დაფიქრებულა

(„კანონალურებაში მუშაობის გამო ასეთ რამეებს მიჩვეული ვიყავი“, - ამბობს ის), სანამ სასამართლოში არ ამოჰყო თავი.

აუბთან მოკალათებული ჰარი ინდი-ფერენტულობის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ აშკარად თავის შემდეგ სვლაზეა ჩაფიქრებული. „პოლიტიკა ბინძური თამაშია, - აღნიშნავს ის, პირიდან Cohiba-ს სქელ ბოლს უშვებს და ახლად დასხმულ ბორდოს წრუპავს. - პოკერის მოთამაშის სახე უნდა შეინარჩუნო და აუღელვებელი უნდა დარჩე“. იუდჰოიონოს მსგავსად, ისიც ამბობს, რომ აჟარის კომენტარები უღირსია და პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმა მასზე.

და ამ სიტყვებზე ტრამპის სადარსაოჯახო სადილზე მეპატყება შიგნით: მაგიდა 18 კაცზეა გაშლილი, ვარდებითა და შროშანებით მორთული, მიმტანებს შავი ჰალსტუხები უკეთიათ და შავი ჟილეტები აცვიათ და მაგიდაზე, ყველა სკამთან მენიუ დევს. მისი ცოლი და ოთხი შვილი (ერთ-ერთი ლოს-ანჯელესში ცხოვრობს) გვიერთდებიან, მათ შორის, მისი ერთადერთი ვაჟი, 15 წლის უორენი, რომელსაც მამამ უორენ ბაფეტის პატივსაცემად შეურჩია სახელი.

შვეფცევით ცივ ხორცს, იხვის კონსომეს, მოლუსკებს, ვაგიუს ხორცსა და თეთრი შოკოლადის მუსს, ღვინო, მათ შორის, 2000 წლის Chateau Lafite Rothschild-ი, ბარაქიანად იღვრება ჭიქებში, ხოლო ჰარი, როგორც ხდება ხოლმე, მთავარი მოსაუბრეა; ხელებს ცოცხლად იქნევს და ყოველ ჯერზე თვალს მისთვის საგანგებოდ შექმნილი Richard Mille-ის საათი ჭრის, რომელზეც ბრილიანტებით გველია ამოტვიფრული („ეს ერთადერთია მსოფლიოში“, - ამბობს ის საათზე, რომელიც, სავარაუდოდ, \$1 მილიონი დაჯდა). გულწრფელი ოჯახური ურთიერთობის მომენტებიც გამოერევა - ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ გაიღწეს ერთმანეთი ბავშვობაში ჰარიმ და ლილიანამ ან როგორც წავიდნენ იერუსალიმში, სადაც ღრმად ქრისტიანმა ცოლ-ქმარმა ვაჟისთვის ილოცა, ცხრა თვეში კი უორენი ეყოლა. მაგრამ, ძირითადად,

ჰარი მისვამს კითხვებს პრეზიდენტ ტრამპის შესახებ – აინტერესებს, როგორ მოიგო არჩევნები, ქვეყნის რომელ რეგიონებში გაიმარჯვა და, ზოგადად, სხვა შეკითხვებსაც ვიღებ ამერიკაზე.

„ვინ გააგრძელა შევირდი?“ – კითხულობს ჰარი, რომელიც ადგილობრივი ვერ-

სიის წამოწყებას განიხილავს. წამყვანი, ცხადია, თავად იქნება. ბოლო-ბოლო, ეს ხომ ის როლია, დონალდ ტრამპი ახლებურად რომ შეფუთა, როგორც ბიზნესწარმატების უზენაესი არბიტრი, საბოლოოდ კი პრეზიდენტად აქცია?!

მაშინ, აბა, თუ პრეზიდენტის საფირმო

ფრაზა „გაგდებული ხარ“ იყო, ჰარი რას გამოიყენებს? მილიარდერს მცისვე აფიქრდება ფრაზა, რომელიც პრეზიდენტ ტრამპს სამდღეილად მოეწონებოდა: „ბრიყვი ხარ“.

ამ წერილის კონტრიბუტორები დენ ალექსანდერი და შინთა ფელისიტასი არიან. **F**

კაპიტალისტის ფარდა

თურქეთი: თურქული უკმაყოფილება

სტამბულის ორი Trump Tower-ი ავბედიდად ეჩხირება მუსლიმურ ერს თვალში. გასულ ივნისს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა შენობების მფლობელ ოჯახს, დოღანებს, მოუწოდა, შენობებიდან ტრამპის სახელი ჩამოეხსნათ. ეს დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ მოხდა, როცა დონალდ ტრამპმა, საპრეზიდენტო კამპანიისას, შეერთებულ შტატებში ყველა მუსლიმის შეშვების აკრძალვასთან დაკავშირებით გაკვირვებით განაცხადა.

დოღანებმა თვეებიანი ადრე სცადეს ტრამპთან ურთიერთობის დასრულება. 2015 წლის დეკემბერში ტრამპთან სალიცენზიო ხელშეკრულება გაიარეს, მაგრამ ვერ იპოვეს გზა, რომ კონტრაქტი დაერღვიათ და ტრამპის სახელი ჩამოეხსნათ. მოკლედ, გაჭედილები არიან და ამიტომ ოჯახმა გადაწყვიტა, გამბედავი საჯარო იმიჯი შეინარჩუნოს, თანაც, დოღანებთან დაახლოებული წყაროს მტკიცებით, ტრამპის სახელს 40-სართულიან შენობებზე (ერთი მათგანი საცხოვრებელი, მეორე კი საოფისე კომპლექსია) შემოსავლები არ დაუზიანებია.

მიუხედავად ამისა, ტრამპთან კავშირებმა საგარეულო შუღლი გააღვივა დოღანებში: ოჯახის ერთ-ერთ ფრთას უნდოდა ტრამპის სახელის ჩამოსხრა, სამაგიეროდ ერთი გადახვეწილი ოჯახის წევრი გამოჩნდა, რომელიც კომფორტულად გრძნობს ტრამპთან თავს.

ეს გადახვეწილი წევრი მემპრეტი ალი იალიჩინდაგი, რომელსაც აიდი დოღანის ქალიშვილი ჰყავს ცოლად – \$100 მილიონის მეპატრონის, რომელმაც ოჯახის \$1.6-მილიარდიანი (გაყიდვებით) კონგლომერატი, Dogan Holding-ი დააფუძნა. იალიჩინდაგი ოჯახურ კლანში პერსონა ნონ გრატად იქცა მას მერე, რაც გასულ სექტემბერს მედიაბიზნესის მართვის სადავეები დაკარგა, ეს ბიზნესი კი ხუთი წელიწადის განმავლობაში აერთიანებს. იალიჩინდაგი თანამდებობიდან მაშინ გადადგა, როცა თურქმა აქტივისტმა ჰაკერებმა ი-მეილები გამოაქვეყნეს და ის მთავრობის წინააღმდეგ ლილივობასა და იმის მცდელობაში დაადანაშაულეს, თავის გაზეთში რეჟიმის უარყოფითი გაშუქებისთვის მოეკლოთ. იალიჩინდაგმა Forbes-თან კომენტარზე უარი განაცხადა.

როგორც ჩანს, ტრამპს ის მოსწონს. იალიჩინდაგი, ოჯახის სამ წევრთან ერთად, პრეზიდენტის ინაუგურაციას ესწრებოდა. მეტიც, არჩევნების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრისას, ტრამპს თავი არ დაუზოგავს იალიჩინდაგის ქებისაგან. – დანიელა სიტორი-კორტინა

სამართლები: შავი (ზღვის) მიქცევა

როცა უძრავი ქონების ქართულმა დეველოპერმა გიორგი რამიშვილმა გადაწყვიტა, შავი ზღვის სანაპიროზე მაღალი კლასის სარემიდიაციო ცათამბეჭენი წამოეჭმა, თქვა, რომ პროექტის შესაკამამად და საერთაშორისო მყიდველებს მოსაზიად ძალიან დიდი სახელი სჭირდებოდა. 2011 წელს მან Trump Organization-თან სალიცენზიო კონტრაქტს მოაწერა ხელი. 2012-ში პროექტის განხორციელების ადგილას ტრამპი ჩავიდა... მერე კი, ორი წლის თავზე, როცა ქართული ეკონომიკა შენედა, რამიშვილმა პროექტი შეაჩერა. ეკონომიკის ფეხზე წამოდგომის პერიოდში, შარშან, რამიშვილმა მისი თავიდან წამოწყება სცადა, მაგრამ ინვესტირება განაცხადა, რომ ის და ტრამპები ასრულებდნენ ურთიერთობას. მისი თქმით, პარტნიორობის განწყვეტა ტრამპებმა სთხოვეს, რათა თავიდან აერიდებინათ აშშ-ის კონსტიტუციის გასაშრველოს მუხლის დარღვევა, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებს უცხოური ქვეყნიდან საჩუქრების მიღებას უკრძალავს. გაუგებარია, რატომ იფიქრეს ტრამპებმა, რომ მაინცდამაინც საქართველოს პროექტით დაირღვეოდა ეს მუხლი, მაშინ როცა სხვა უცხოური პროექტები მას არ არღვევს. Trump Organization-ის იურისტმა, ალან გარტენმა უარი თქვა Forbes-თან კომენტარზე. მაგრამ 2016 წლის დეკემბერში გარტენმა AP-ს უთხრა, რომ ტრამპები აუქმებდნენ კონტრაქტს, ვინაიდან რამიშვილი ვერ აკმაყოფილებდა სალიცენზიო ხელშეკრულების ვადებსა და პირობებს. რამიშვილი ამას უარყოფს და საკუთარი კავშირით დონალდთან მაინც ამაყოფს. „მისტერ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო მისი სახელის ჩამოტანა ჩვენი პროექტისთვის“, – ამბობს ის. – D.S.C.

ამერბაიჯანი: დაკარგული ოაზისი

2014-ში დონალდ ტრამპმა პირობა დადო, ამერბაიჯანში „ოაზისს“ ჩავიტანო, რაც 33-სართულიანი ცათამბეჭენის სახით უნდა განხორციელებინა დედაქალაქ ბაქოში – ფუსფუსა ქალაქში კასპიის ზღვაზე. თავისი სახელის ლიცენზია ადგილობრივ დეველოპერს, Garant Holding-ს მისცა, რომელსაც უკვე დაეწყო იალქნის ფორმის ცათამბეჭენის შენება 72 ულტრამოდერული აპარტამენტითა და 189 სასტუმრო ნომრით. ამერბაიჯანელები ვეღარ ელირსნენ ამ განხორციელებული შენობის დაპირებული სიდიადის ხილვას. ბაქოს ცათამბეჭენების მშენებლობა ტრამპ-თან პარტნიორობის გამოცხადებიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე, ნავთობზე დამოკიდებული ამერბაიჯანული ეკონომიკის სწრაფი ვარდნის კვალდაკვალ გაჩერდა. ამასობაში, Garant-ის დამფუძნებელსა და ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრის ვაჟ ანარ მამადოვს \$1 მილიარდზე მეტის ტოლფასი გარიგებების უზრუნველსაყოფად მამამისის კავშირების გამოყენება დააბრალეს. ბრალი ოფიციალურად მისთვის არ წაუყენებიათ. მასთან დაკავშირება კომენტარისთვის ვერ მოხერხდა. შეჩერებული მშენებლობის შედეგად, 2016 წლის დეკემბერში, Trump Organization-მა გამოაცხადა, რომ პარტნიორობიდან ადგილია. – D.S.C.



ანარ მამადოვი

აიდინ დოღანი

პრეზიდენტის აგარტული მეგობარი

ცნობილი ფაქტია, რომ დონალდ ტრამპი ატლანტიკ-სიტიში ჩაფლავდა, მაგრამ ვეგასში მეტად წარმატებული იყო, რაც მისი პარტნიორის, მილიარდერ ფილ რაფინის დამსახურებაა. ეს უკანასკნელი იქ ახალი TRUMP CASINO-ს გახსნისთვის დგამს ნაბიჯებს.

ავტორი: დენ ალექსანდერი

დიდ ხანი არაა გასული, რაც მაიკლ ფლინმა ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის თანამდებობა დატოვა, ახალ ამბებში კი სულ დონალდ ტრამპია, მთავარი აქცენტით მის კავშირებზე რუსეთთან. უამრავი შეკითხვა ჩნდება. რას განიხილავდა ფლინი რუსეთის ელჩთან ტრამპის პრეზიდენტად არჩევამდე კვირებით ადრე? ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსთან საუბრის შესახებ იცნობა? საერთოდ, ვინ უთხრა, რუს დიპლომატებთან რომ დაერეკა? თავად ტრამპი ჩართული იყო?

ფილ რაფინი Trump International Hotel Las Vegas-ში, დონალდ ჯ. ტრამპის სახელობის რესტორანში, DJT-ში, ჯდება და მაგიდაზე ტრამპით გაზეზვილ გაზეთს დებს. „ეს ლაპარაკი, რომ მთელ რუსეთში ფინანსური ინვესტიციები აქვს, წმინდა წყლის ბოდვია, – ამბობს ის. – რუსეთში მასთან ერთად ვიყავი. ჩემი თვითმფრინავით ჩავდივით. იქ ერთ-ერთ ოლიგარქთან

ლანი გვექონდა. დონალდს არავითარი ინვესტიცია არა აქვს რუსეთში, არც ფული უსესხებია რუსეთისგან. რაიმე ბიზნესგარიგება რომ ჰქონდეს, მეტყობა, შემომიერთდით“.

რაფინის ურყევი ნდობა ტრამპისადმი 25-წლიანი ახლო მეგობრობისა და ერთი მეტად სარფიანი გარიგების შედეგია. ტრამპის ოცზე მეტი საერთაშორისო ბიზნესპარტნიორიდან, არავინაა მასთან ისე ახლო, როგორც რაფინი. ტრამპის „პარტნიორთა“ უმეტესობა უფრო კლიენტებისგან არიან, რომლებიც ფულს იმაში იხდიან, მისი სახელი რომ დააწერონ უძრავ ქონებას და მერე მას შემოსავლის პროცენტები მისცენ. ერთადერთი ადამიანი, რომელთან ერთადაც პრეზიდენტმა Trump-ის ბრენდთან კერძო საკუთრებაში ინვესტიცია გააკეთა, ფილ რაფინია.

უკეთესი პარტნიორი ძნელი წარმოსადგენია, – ამბობს ერიკ ტრამპი, რომელიც ლას-ვეგასის სასტუმროს მართავს





შენობა, რომელიც რაფინმა – და ტრამპმა – ააშენა. აშენდება კი მის გვერდით კაზინო?

- მამამისისა და რაფინის ერთობლივ (50/50) ბიზნესს. - ძალიან კარგი იყო, ასეთი სტატუსის ორი ადამიანი რომ გვყავდა პროექტში: (ა) მამაჩემი და (ბ) ფილ რაფინი. ვფიქრობ, ამ გარემოებამ პროექტს უზარმაზარი სარწმუნოება შესძინა, მით უფრო, ბაზარზე, სადაც, გულწრფელად რომ ვთქვათ, ბევრი არაადამაჯერებელი გარეგება იდება. მგონი, ეს ყოველთვის კარგი ამბია. ვინ არის შენი პარტნიორი? ფილ რაფინი. ამით ყველაფერი ნათქვამია”.

რაფინის ოფისი მისი და პრეზიდენტის ჩარჩოში ჩასმული ფოტოთი იწონებს თავს; ფოტო რაფინის კერძო თვითმფრინავშია გადაღებული - ჰამბურგერების შეჭმამდე ცოტა ადრე, და ტრამპის ხელმოწერა აქვს გაკეთებული, მისი საფირმო ოქროსფერი მარკერით: „ფილ - შენ ყველაზე მაგარი ხარ“. სიყვარული ორმხრივია. როცა 72 წლის რაფინმა ყოფილი მის უკრაინა, მასზე 46 წლით უმცროსი ოლეკსანდრა მოიყვანა ცოლად, ტრამპი მისი მეჯვარე იყო.

შარშან აგვისტოში, როცა პრეზიდენტის მექსიკელ პრეზიდენტთან, ენრიკე პენიანიეტოსთან შესახვედრად ჩაფრინდა, თვითმფრინავი რაფინს სთხოვა - იცოდა,

რომ სახელ Trump-ს, შესაძლოა, უსაფრთხოების პრობლემები გამოეწვია (რაფინმა იბრუნა, რომ სადაზღვევო კომპანიას ეს არ გაეგო). დღეს მილიარდერი მეგობრები ალბათ კვირაში ერთხელ მაინც ლაპარაკობენ და საუბრები ხანდახან პოლიტიკას ეხება. „რაიმე თუ ხდება, ვურეკავ, - ამბობს რაფინი. - ყოველთვის მაკავშირებენ. მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი თუ არაა, არ ვრეკავ“.

მისთვის მნიშვნელოვანი, ყოველ შემთხვევაში. რაფინს განსაკუთრებით ახარებს შესაძლებლობა, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურის გადახალისების ტრამპისეულ გეგმას შესაძლოა, შეჩერებული პროექტის განახლება მოჰყვას, რომელიც ჩქაროსნული მატარებლის ხაზის მშენებლობას ითვალისწინებს სამხრეთ კალიფორნიასა და ლოს-ანჯელესში. ეს პროექტი, სავარაუდოდ, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს ჩაიყვანს „ცოდვების ქალაქში“ და ფინანსურად გააძლიერებს რაფინს... და ტრამპს. უკვე მათ მფლობელობაში არსებული სასტუმროს გარდა, Forbes-მა შეიტყო, რომ რაფინი და Trump Organization-ი ახალი კაზინოს აშენებას გეგმავენ ლას-ვეგას-სტრიობთან.

რაფინის თქმით, მატარებლის პროექტი ტრამპთან მაშინ ახსენა, როცა ეს უკანასკნელი უკვე პრეზიდენტი გამხდარიყო. „თქვა, კარგი რაზე უნდა იყოსო, მით უმეტეს, თუ 80,000 ადამიანს დაასაქმებსო, თუმცა ამაზე შორს არ წასულა“, - ამბობს რაფინი. და ნუთუ მართლაც კარგი რაზე არ იქნება რაფინისთვის და თავად ტრამპისთვისაც? - რაღაც სარგებელს ვნახავდით, მაგრამ აქ უამრავი სასტუმრო ნომერია. უამრავი ადგილი, სადაც შეუძლიათ, წავიდნენ“.

ეს საუბარი ეთიკის ექსპერტებს აშფოთებს. „ტრანსპორტის მინისტრი რომ ფლობდეს კაზინოს ლას-ვეგასში და ამ პროექტში ჩაბმულიყვნენ და ემსჯულათ, უნდა მიეღო თუ არა ამ პროექტს ფედერალური დაფინანსება, ვფიქრობ, ტრანსპორტის მინისტრი კრიმინალის ჩამდენი გამოვიდოდა, - ამბობს ჯორჯ ე. ბუშის ადმინისტრაციის ეთიკის მთავარი იურისტი, რიჩარდ პეინტერი. - ეს სტატუსი ტექნიკურად პრეზიდენტზე არ ვრცელდება. მაგრამ ეს არის იდეალური მაგალითი იმ ტიპის სიტუაციისა, სადაც პრეზიდენტს ინტერესთა კონფლიქტი არ უნდა ჰქონდეს. თუ ექნება ინტერესთა კონფლიქტი, უნდა

მოერიდოს და არ უნდა განახორციელოს ინვესტიცია ლას-ვეგასის კაზინოში“.

რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ პრეზიდენტის პარტნიორი ლას-ვეგასში ფილ რაფინია. ფილ რაფინი, რომელსაც ლამის ნახევარი საუკუნე აქვს გატარებული კაზინოების, წესებისა და კონვენციებისთვის ცხვირის აბზუებასა თუ გვერდის ავლაში. მან ასე იშოვა \$2.5 მილიარდი... და არც ახლა აპირებს გაჩერებას.

რაფინი დასავლეთის ჭეშმარიტი პროდუქტია. ის ვირიტიკაში გაიზარდა; მამამისი იმ ხნის იყო, რომ უაიპტ ერპის თანამედროვის, შერიფ ბილ ტილგემენის იარაღით მკვლელობა ენახა. რაფინი მამის სურსათის მაღაზიაში კარტოფილებს აწყობდა ტომრებში, სკოლაში კი 147 გირვანქის წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. შტატის ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მამამ, რომელიც არც ერთხელ არ დასწრებია მატჩს, ჰკითხა, ეს შენ ხარ, ვისზეც გაზეთში წერენო?

რაფინმა უოშინგტონის უნივერსიტეტში ჩააბარა, ხოლო მალე უკვე იმდენ დროს ატარებდა მუშაობაში, რამდენსაც მამამისი: სკოლის მეგობრებთან ერთად ჰამბურგერის ბიზნესს ედგა სათავეში. დიდი დრო არ დასჭირვებიათ, რომ თითოეულ მათგანს თვეში ათასი დოლარი გაეკეთებინა. რაფინმა საქმე მიატოვა, საკუთარი წილი \$29,000-ად გაყიდა და ტენესისში ხანმოკლე ცხოვრების შემდეგ, ვირიტიკა და იმ ბიზნესს დაუბრუნდა, მამამ რომ ასწავლა.

1959 წელს პატარა მარკეტი იყიდა; ცოტა ხანში კანზასმა კანონი შემოიღო, რომლითაც 1,200 კვადრატულ ფუტზე დიდ სურსათის მაღაზიებს კვირაობით მუშაობას უკრძალავდა. უნებლიეთ, მთავრობამ რაფინს ერთგვარი პრივილეგია მიანიჭა: მისი 1,100 კვადრატული ფუტის მაღაზია კვირაში ერთხელ მონოპოლისტი იყო, ჰოდა, მანაც თავისი მოგებები 13-პუნქტიან მინიმიუმპერიად გარდაქმნა. როცა ოკლაჰომაში, მის ერთ-ერთ ახალ მაღაზიაში ნავთობკომპანიამ თვითმომსახურე

სატუმბები დააყენა, რაფინმა ბიზნესის წარმატება იყნოსა და სატუმბოების დამონტაჟება კანზასშიც დაიწყო.

მაგრამ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი: თვითმომსახურე სატუმბოები კანზასში არალეგალური იყო. ერთ დღეს სახანძროს უფროსი შევიდა რაფინის მაღაზიაში და უფლებები განუმარტა. რაფინმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და როგორც ჰყვება, გაუმართლა: კოლორადოში სკოლისკენ მიმავალ მოსამართლის ქალიშვილს ასეთი სატუმბოთი ესარგებლა. მოსამართლემ კანონი გააუქმა, ხოლო 1972 წელს რაფინი თვითმომსახურე სატუმბოების ერთ-ერთი პირველი მფლობელი გახდა. ოთხ შტატში 63 ობიექტი შეიძინა, მერე კი გარიგებათა სერეები გაჩარხა და მილიარდერადაც იქცა.

პირველი გარიგება 1994 წელს შედგა, როცა \$50 მილიონის სანაცვლოდ, თავისი ყველა ავტოგასამართი სადგური იჯარით გადასცა ფრანგულ ნავთობკომპანია Total-ს. კონტრაქტი მყისვე \$20-მილიონიანი სესხისთვის გამოიყენა, რამაც საშუალება მისცა, ბაჰამის კუნძულებზე Crystal Palace Casino ეყიდა. რატომ შეუჩინდა ახარტული თამაშების ჭია? „არასდროს იცი, როდის შემოვა ვინმე ტიპი და როდის წაგებს მთელ ფულს“. ათი წლის თავზე ამ კერძო საკუთრებისგან \$147 მილიონად განთავისუფლდა.

კაზინოებით მონუსხულმა, 1998 წელს ვეგასს მიაშურა. Frontier-ში \$165 მილიონი გადაიხადა – ლას-ვეგას-სტრიპის ბოლოში მდებარე ძველ, კაგბოს თემზე შექმნილ ადგილში, რომელიც თანამშრომელთა ექვსწლიანი გაფიცვის შედეგად გაპარტახებულიყო. რაფინი კულინარიული კავშირის პრეზიდენტს შეხვდა და ორ საათში გარიგებაც გაჩარხა, რომ \$6 მილიონის სანაცვლოდ დაგა მოეგვარებინა, რაც \$1 მილიონით აღემატებოდა Frontier-ის იმდროინდელ წლიურ მოგებას. მაგრამ გაფიცულთა დამწიხვებულ შემდეგ Frontier-ის მოგება გაორმაგდა, ლას-ვეგასის უძრავი ქონების ბაზარი კი ყვავდა. 2004 და 2005 წლებში,

რაფინმა ისეთი კორპორაციებისგან დაიწყო წინადადებების მიღება, როგორც Harrah's-ი და Wynn-ია. ისინი \$500 მილიონზე მეტს სთავაზობდნენ. მაგრამ რაფინი არ არქარებულა, ამტკიცებდა, Frontier-ი ორჯერ ძვირი ღირსო. საბოლოოდ, 2007-ში, მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ისრაელურ საინვესტიციო ფირმასთან; საუბარია \$1.24 მილიარდზე – შვიდჯერ დიდ თანხაზე, ვიდრე ცხრა წლის წინ მან ამ ადგილში გადაიხადა.

„მათ გარდა, მსოფლიოში ამდენს არავინ გადაიხდიდა. მან ეს ადამიანები იბოვა, – ამბობს სტივ ვინი. – მერე კი ჩვეული ეშმაკური მზერით შემომხედა – ესეც შენო. მკლავზე წამომარტყა – ხომ გუებნებოდიო. მე კიდევ პირღია ვიდექი და ვუებნებოდი, ყველაზე იბლბიანი გაიძვერა ხარ-მეთქი“.

რაფინის იბლბიანი ეტაპი ის-ისაა, იწყებოდა, გაყიდვიდან ერთი წლის თავზე აშშ-ის ეკონომიკამ დადამსვლა რომ დაიწყო. MGM-ის \$13 მილიარდზე მეტი ვალითა და სულ რაღაც \$250 მილიონი ნაღდი ფულით დარჩენილიყო. მაგრამ რაფინს რეზერვში \$1.1 მილიარდი ჰქონდა, რაც თავისი კაზინოს, Treasure Island-ის \$775-მილიონიანი შესყიდვისთვის გამოიყენა. „ლას-ვეგასის ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ დიდი სიმდიდრე მაშინ შეიქმნა, როცა ხალხი იაფად ყიდულობდა და ძვირად ყიდდა, – ამბობს MGM-ის აღმასრულებელი დირექტორი ჯიმ მურენი. – მაგრამ ძალიან ცოტაა მაგალითი, როცა ხალხმა იყიდა იაფად, გაყიდა ძვირად და მერე ისევ იაფად იყიდა“.

ტრამპსა და რაფინს შორის პარტნიორობას სადილზე ჩაეყარა საფუძველი. მანამდე ერთმანეთს Trump Tower-ში შეხვედროდნენ და სხვა რამეებთან ერთად, კაზინოებსა და უძრავ ქონებაში თავიანთ საერთო ინტერესებზე მსჯელობდნენ. 2005 წელს რაფინმა ტრამპი „ცოდვების ქალაქში“, სადილზე დაპატიჟა. თავ-თავიანთი გაცილებით ახალგაზრდა, გაცილებით მომხიბლავი ცოლებით,

IN TRUMP THEY TRUST

ორმაგი პაემანივით გამოვიდა. სადილის შემდეგ, ერთგვარი დესერტის სახით, რაფინმა მათ საკუთარი მიწის ნაკვეთის ნახვა შესთავაზა, ძველი Frontier-ს უკან.

ადგილმდებარეობით მოხიბლული ტრამპი დათანხმდა, ნაკვეთის ნახევარი \$12.5 მილიონად ვყიდა. მილიარდერები კიდევ \$20-20 მილიონს ჩამოვიდნენ და ბანკების კონსორციუმიდან \$523 მილიონი აიღეს, რათა სასტუმრო-აპარტამენტი აეშენებინათ. პროექტმა მყისვე მოიტანა წარმატება და თითქმის ყველა, 1,283 ნომრისთვის ხელშეკრულებები დაიდო, თანაც ჯერ კიდევ მანამ, სანამ მშენებლობა დასრულდებოდა. მაგრამ დაწესებულება ოფიციალურად 2008-ში გახსნა - ზუსტად იმ დროს, როცა ფინანსური კრიზისი ფეხს იკიდებდა. ყველა მყიდველმა, 300 ნომრის მყიდველთა გარდა, უკან დაიხია და რაფინი და ტრამპი \$500-მილიონიანი ვალის და, პრაქტიკულად, ცარიელი შენობის ამარა დატოვა.

პრობლემური აქტივების იურისტის რჩევა იყო, თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინათ. როგორც რაფინი ამბობს, ტრამპი უარზე იყო. „დონალდი ამბობდა, 'არა, არა, არა. ეს ატლანტიკ-სიტი არ არის. ეს ლას-ვეგასია... გავედი'“, - იხსენებს რაფინი. სამი წლის მანძილზე თითოეული კიდევ \$30 მილიონზე მეტს ჩამოვიდა, სასტუმრო რომ როგორმე შეენარჩუნებინათ.

დღეს იქაურობა ტრამპის მხარდამჭერებით, საერთაშორისო ტურისტებითა და მოგზაური ბიზნესმენებითაა გატენილი. ტრამპი და რაფინი შენობაში კვლავაც 398 ნომერს ფლობენ, რაც \$169 მილიონადაა შეფასებული.

შენობის სტუდია-აპარტამენტების ფასი, შეფასებათა თანახმად, 13%-ით დაეცა ერთი წლის თავზე მას მერე, რაც ტრამპმა თავისი სკანდალური კანდიდატურა შესთავაზა ამერიკას, თუმცა Forbes-ის უახლესი გაყიდვების ანალიტიკოსის თანახმად, მისი გამარჯვების შემდეგ 3%-ით გაიზარდა. ხოლო პენტაგონების ღირებულება, რომელთა შენარჩუნებაზე ტრამპმა

და რაფინმა საგანგებოდ იზრუნეს, განაგრძობს ზრდას.

ტრამპის პრეზიდენტობა დამატებითი გართულებების წყაროა. იანვარში, Trump Tower-ში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ტრამპის იურისტი გამოვიდა და განაცხადა, რომ უცხოური მთავრობებიდან მიღებული მოგება მის სასტუმროებში მხოლოდ აშშ-ის საზღვარს გადაეცემოდა. ერიკ ტრამპის მტკიცებით, უკვე ასეც ხდება, თუმცა რაფინი სხვაგვარად ფიქრობს: „ამას არ გააკეთებენ“, - ამბობს მხრების ჩეჩი.

მისი ვარაუდით, მომდევნო ოთხ წელს ყველა ის შენობა, რომელსაც ლას-ვეგას-სტრიპში 25-ფუტისანი ასობით TRUMP აწერია, მოგებას მოიტანს: „ბიზნესში ნამდვილად არავითარი ჩაგარდნა არაა. სახელი Trump-ი კვლავაც მძლავრია“.

არჩევნების ღამეს, ისტორია რომ იწერებოდა, რაფინი ტრამპთან ერთად იყო.

სხვა ბობოლევიც, უილბურ როს უმცროსი და კარლ იკანიც იქ იყვნენ, მაგრამ მათგან განსხვავებით, რაფინს ვაშინგტონისგან არაფერი უნდა. „ან სამთავრობო როლს უნდა დათანხმდე, ან დილას თავი ჩამოიხრჩო, - ამბობს ის. - მე ალბათ ჩამოხრჩობას ვამჯობინებდი“.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკას თავს არიდებს. იმ დღიდან მოყოლებული, კანზასის „ლურჯ კანონზე“ გავლენის მოხდენის გზით რომ გამდიდრდა, სამთავრობო პოლიტიკის ექსპლუატაციის ძალაუფლებას გაუგო გემო. „გუშინ პოლრაიანს ველაპარაკე, - ამბობს რაფინი თეთრი სახლის სპიკერზე. - ეგონა, საბღვრის გადასახადზე 20%-ს დააწესებდნენ. ჩემი აზრით, ეს ძალიან მაღალი ტარიფია... კიდევ რა თქვა? \$100,000 უნდოდა სხვა რამეებისთვის. რაიანის ფონდში დავრეკე. მივეცი“.

შავ Escalade-ში მძღოლის გვერდით მჯდომი Trump International Hotel Las Vegas-თან ჩავივლის - ამ 64-სართულიან, ოქროსფერი შუშის შენობასთან - და თავის მომდევნო დიდ შესაძლებლობას

შეპყურებს. „შეანელე, - ეუბნება მძღოლს, მაგრამ ხელს არა ცათამბჯენის, არამედ მის გვერდით მდებარე ავტოსადგომისკენ იშვრს. - აი, აქედან იწყება და ოთხი აკრია“. რაფინი ცარიელ ტალახიან ალაგს უმზერს. ის ტრამპის სასტუმროსგან დამოუკიდებელ მიწას ფლობს, რომელიც ლამის იხვეწება განვითარებას. „კაზინოს აშენება ამ ადგილის იდეალური გამოყენება იქნებოდა, - ამბობს რაფინი. - დონალდს ამაზე ვერ დავგლაპარაკები. ერიკს ან დონალდ უმცროსს უნდა დავგლაპარაკო“. სხვაობები დამაბნეველია, თვით რაფინისთვისაც კი, რომელიც მოგვიანებით ამატებს: „მინდა, დონალდთან ერთად გავაკეთო... ჰმმ, მოდი, ასე ვთქვათ: ტრამპის ოჯახთან“.

როგორც სურსათის მაღაზიის ეპოქაში, რაფინი ახლაც აცნობიერებს სამთავრობო ზღურბლებს: რაფინსა და ტრამპს გადაწყვეტილი აქვთ, სულ ცოტა, 300 აპარტამენტი ჰქონდეთ - სასტუმროს ნომრების მინიმალური რაოდენობა, რაც ნევადაში კაზინოს ოპერირებისთვის არის საჭირო.

და მართალია, დეკემბერში ტრამპმა თავის 17 მილიონ მიმდევარს Twitter-ზე უთხრა, პრეზიდენტობის დროს ახალ გარიგებებს არ წამოვიწყებო, ერთი თვის შემდეგ უფრო დეტალურ სამთავრობო განცხადებაში მან მხოლოდ უცხოური პარტნიორობები აუკრძალა თავს. შიდა გარიგებები მკაცრ ინსპექციას გაივლის და გაგრძელდება. ახალი კაზინო ლას-ვეგასში, რომელიც, სავარაუდოდ, სასტუმროს მსგავსად, Trump-ის ბრენდით იქნება წარმოდგენილი, ამ მოთხოვნებს ალბათ დააკმაყოფილებს; მოსაზრებას ერიკ ტრამპიც არ უარყოფს: „პატივი იქნებოდა ფილთან ერთად ამის გაკეთება, რადგან არაჩვეულებრივი კაცია... ადმინისტრაცია ჩვენთან არაფერ შუაშია. ვაპირებთ, გავაგრძელოთ ის, რასაც ძალიან, ძალიან დიდი ხანია, ვაკეთებთ“. რაც, შესაძლოა, იმას ნიშნავს, რომ ტრამპი კაზინოების ინდუსტრიას დაუბრუნდება, ფილ რაფინი კი მეტად მოწადინებულია, ამ საქმის ცენტრში იყოს. P



COMMERSANT
95.5 FM

შენობით ბიზნესთან

პირველი ბიზნეს
რადიო საქართველოში

www.commersant.ge



კუნთმაგარი კაცის შუაგული

რობი და ხოსე ანტონიოები სულ მალე მანილაში TRUMP TOWER-ს გახსნიან. ამასთან, ხოსე ფილიპინების სავაჭრო დესკანინცაა ამერიკაში. დამთხვევაა?

ავტორი: მარამ ბრანდი



ტრამპის ბიზნესპარტნიორი ხოსე ანტონიო

